

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, №5

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი
ს ა მ ა რ თ ა ლ ი

1. **ვალდებულების შესრულება-შეუსრულებლობა**
 - დაკისრებული ვალდებულების შესრულება
 - ვალდებულების შესრულება ვადის გადაცილებით
 - ვალდებულების ჯეროვნად შესრულება
 - საშინაო ვალის ანაზღაურება
2. **პირგასამტეხლო**
 - პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ
 - საურავის და პირგასამტეხლოს დაკისრება
 - შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე
 - შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება
3. **სოლიდარული ვალდებულება**
4. **მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურების შემოწმება**
5. **ანაზღაურება რიცხული თანხის დაბრუნება**
6. **დაჯარიმება და ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას**
 - გადაზიდვის ხელშეკრულება; ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისათვის
 - დაჯარიმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დარღვევისათვის
 - იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება
 - ზიანის ანაზღაურება ვაგონების მოცდენის გამო
 - ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო
 - ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებების დადგენა
 - მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას გამოწვეული ზიანის ანაზღაურება
7. **უსაფუძვლო გამდიდრება**

1. ვალდებულების შესრულება-შეუსრულებლობა

საშინაო ვალის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1660-1614(23-08) 23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 აგვისტოს მ. თ-ძემ, ვ. დ-ძემ და გ. ც-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, მესამე პირად კი საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციაზე მიუთითეს.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელებმა 2007 წლის 8 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს მოპასუხეებს სადავო საკითხის გადასაჭრელად, რაზეც პასუხი არ მიუღიათ.

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების განმავლობაში მოსარჩელეთა მოთხოვნაზე პასუხობდა, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის მოწესრიგებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც უფლებამოსილი იყო, შეემუშავებინა საქართველოში კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების მექანიზმი და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის. ამდენად, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების მექანიზმის დატკიცებამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ დაადგენდა თითოეული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის მიმართ არსებული ვალის მოცულობას.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების წინაშე იკისრა ვალდებულებები მშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის თანხა გაეცა რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე, კოოპერატივის თითოეული წევრის მიერ ხარჯთაღრიცხვით გამოწვეული მთლიანი თანხის დაფარვის შემდეგ და დაუმთავრებელი კოოპერატიული სახლების მშენებლობა დასრულებულიყო 1992-1995 წლებში.

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებმა უმოკლეს ვადაში დაფარეს საკუთარი ბინების მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. საქართველოს მთავრობამ კი 1995 წლამდე ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ანუ არ დაასრულა კოოპერატიული სახლების მშენებლობა. სახელმწიფომ აღნიშნული ვალდებულება 1998 წლის 5 მარტის "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საშინაო ვალად აღიარა. 1998 წლის 5 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონი აწესრიგებდა საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღიარებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტზე სახელმწიფო გარანტიების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენდა სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს. "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი ადგენდა, რომ ამ კანონის მიღებამდე სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებული უნდა ყოფილიყო კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება. ამასთან აღსანიშნავი იყო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის საფუძველზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, ჩაითვალებოდა გაუქმებულად 1997 წლის 25 ნოემბრიდან, ხოლო სახელმწიფოს ვალდებულებები ადრე შექმნილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წინაშე დარჩა ძალაში.

მოსარჩელებმა ასევე მიუთითეს, რომ ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული იქნა ნორმატიული აქტები: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილება "კოოპერატიული ბინათმშენებლობის ღირებულების გაძვირებით გამოწვეული ფასთა სხვაობის კომპენსაციის შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის #413 ბრძანებულება "ზოგიერთი სახის სახელმწიფო ვალის დაფარვის ღონისძიებათა შესახებ"; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 11 ოქტომბრის #226 ბრძანება "საქართველოში კოოპერაციული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შესახებ"; საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულება "საქართველოში კოოპერაციული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშეწყობ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამების შესახებ". აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება ამოიწურა 2005 წლის 31 დეკემბერს ისე, რომ მოსარჩელეთა მიმართ ვალდებულება არც ნაწილობრივ და არც მთლიანად არ შესრულებულა, ანუ უშედეგოდ გავიდა ვადა, რა ვადაშიც აუცილებელი იყო ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება მაინც.

მოსარჩელებმა ასევე აღნიშნეს, რომ სახელმწიფო ვალის პრობლემების მოწესრიგების მიზნით საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი იყო საქართველოს სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენდა მათ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს. ასეთი კომისია შექმნილი იყო ჯერ კიდევ 1999 წლის 30 ივნისის შესაბამისი ბრძანებულებით, რომლის შექმნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. კომისიას ევალებოდა ზოგადად სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვა, მოწესრიგება და რეკომენდაციების შემუშავება და არა კონკრეტულად საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე კომისია, რომელიც შექმნილი იყო მხოლოდ რეკომენდაციების შემუშავებისათვის და არა გადაწყვეტილების მისაღებად ვერ გაათავისუფლებდა სახელმწიფოს ვალდებულების შესრულებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეებისათვის კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებისა და მოსარჩელეთათვის ძირითადი და ფასთა სხვაობით წარმოქმნილი თანხის დაკისრება, კერძოდ: მ. თ-ძის სასარგებლოდ ძირითადი თანხის - 21538 აშშ დოლარის, ფასთა სხვაობით გამოწვეული ზიანის - 32307 აშშ დოლარის, სულ - 53845 აშშ დოლარის, ვ. დ-ძის სასარგებლოდ ძირითადი თანხის - 23958 აშშ დოლარის, ფასთა სხვაობით გამოწვეული ზიანის - 35937 აშშ დოლარის, სულ 59895 აშშ დოლარის, ხოლო გ. ც-ძის სასარგებლოდ ძირითადი თანხის - 8615 აშშ დოლარის, ფასთა სხვაობით გამოწვეული ზიანის - 12923 აშშ დოლარის, სულ - 21538 აშშ დოლარის დაკისრება.

2007 წლის 22 ოქტომბერს მ. თ-ძემ, ვ. დ-ძემ და გ. ც-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარადგინეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომელშიც მიუთითეს, რომ 2007 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიიღეს სადავო საკითხზე შეტანილ ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2007 წლის 21 სექტემბრის #1071 ბრძანება, რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც მოსარჩელებმა უკანონოდ მიიჩნიეს და მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 21 სექტემბრის #1071 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხეებისათვის სოლიდარულად კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებისა და მოსარჩელეთათვის ძირითადი და ფასთა სხვაობით წარმოქმნილი საკომპენსაციო თანხის გადახდის დაკისრება, კერძოდ: მ. თ-ძის სასარგებლოდ 97,9 კვ.მ-ის 1989-1992 წლებში გადახდილი 100% ღირებულების სანაცვლოდ ამ გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის განაშენიანების იმავე ზოლში, 97,9 კვ.მ-ის ფაქტობრივი საბაზრო ღირებულების გადახდის, ვ. დ-ძის სასარგებლოდ - 108,6 კვ.მ-ისათვის 1989-1992 წლებში გადახდილი 100% ღირებულების სანაცვლოდ, ამ გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის, განაშენიანების იმავე ზოლში, 108,6 კვ.მ-ის ფაქტიური საბაზრო ღირებულების გადახდის, გ. ც-ძის სასარგებლოდ კი 97,9 კვ.მ-ისათვის 1989-1992 წლებში გადახდილი 40% ღირებულების სანაცვლოდ, ამ გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის, განაშენიანების იმავე ზოლში, 39,16 კვ.მ-ის ფაქტიური საბაზრო ღირებულების გადახდის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და გ. ც-ძის სარჩელი მოპასუხე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ მიჩ-

ნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა; საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და გ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 21 სექტემბრის #1071 ბრძანება და მოპასუხეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. თ-ძემ, ვ. დ-ძემ და გ. ც-ძემ, რომლებმაც ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომაც, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მ. თ-ძის, ვ. დ-ძის, გ. ც-ძისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და აღნიშნა, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით არსებული ვალდებულება. ამავ კანონის პირველი მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი იყო ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი. მითითებული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით დადგინდა, რომ (კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანება) მოცემული სავალო ვალდებულებების დაფარვის წესი 1998 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შემუშავებულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ და შეთანხმებულიყო საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 11 ოქტომბერს #226 ბრძანებით დამტკიცდა "საქართველოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი", რომელიც, მართალია, რეგისტრირებული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, მაგრამ ის საკანონმდებლო მაცნეში არ გამოქვეყნებულა, ამდენად აღნიშნულ ნორმატიულ აქტს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად, იურიდიული ძალა არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ შეუმუშავებია "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების დაფარვის წესი. ამასთან, "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი იყო საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომელსაც, დებულების მე-2 მუხლის თანახმად, დაევალა "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა, თუმცა აღნიშნული ვალდებულება არ იყო შესრულებული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშეწყობ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის თანახმად, განსახორციელებელ ღონისძიებებად დაისახა საქართველოში არსებული 92 საშინაო-სამშენებლო კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის დაყოფა ორ კატეგორიად: ა) დამთავრებას დაქვემდებარებული კატეგორიის სახლები, რომელსაც მიეკუთვნებოდა ის სახლები, რომლებზეც შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღემატებოდა საცხოვრებელი სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20%-ს; ბ) დამთავრებას დაუქვემდებარე-

ბელი კატეგორიის სახლები, რომელსაც მიეკუთვნებოდა ის სახლები, რომლებზეც შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება ნაკლები იყო საცხოვრებელი სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20%-ზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ბრძანებულების გაანალიზების საფუძველზე განმარტა, რომ მოსარჩელების მოთხოვნის დაკმაყოფილება იმჟამად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ზემოხსენებულმა ბრძანებულებამ თითოეულ განსახორციელებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით განსაზღვრა პასუხისმგებელი ორგანო, რომელთა ფუნქციას სასამართლო ვერ განახორციელებდა. აღნიშნულმა ბრძანებულებამ დაადგინა კოოპერატიულ ბინათმშენებლობის წევრთათვის სახელმწიფო ვალად აღიარებული თანხების გასტუმრების რთული და მრავალკომპონენტური მექანიზმი. აღნიშნული ვალდებულების შესრულება უნდა განხორციელებულიყო მთელი რიგი ღონისძიებების შემდეგ, რაც გულისხმობდა მშენებარე სახლების შეფასებას, ბინათმშენებლობის წევრთა კლასიფიკაციის სახლების მდგომარეობის მიხედვით, აღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად კი ნაწილის (კრედიტორების) ბინებით, ხოლო ნაწილის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფას. ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სადავოდ არ გამბედავს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მისი დებულებები განსაზღვრავდნენ, რომ სახელმწიფოს კონკრეტულ სტრუქტურებს უნდა განეხორციელებინათ მათ დისკრეციულ უფლებამოსილებას მიეკუთვნებული და ბრძანებულებითა და კანონით დაკისრებული საქმიანობები, რომელთა შედეგი უნდა ყოფილიყო მოსარჩელეთა და მათი კატეგორიის მენაშენეთა უზრუნველყოფა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ სახით დაყენებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იმჟამად არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად ვალის სახელმწიფოს მიერ აღიარების უდავოობისა, სპეციალური ნორმატიული აქტები ადგენდნენ საგამონაკლისო ნორმებს, რომელთა თანახმად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა მოსარჩელეთა მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 ნოემბრის #259 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდა და განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვრამდე. ამდენად ცალსახა იყო, რომ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას მისი უფლებამოსილების ვადაში ევალებოდა კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ორგანოებისათვის მისი წარდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე ცალსახა იყო, რომ საქართველოს მთავრობა მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე, ხოლო ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო ვერ ჩაეროდა ზემოთ დასახელებული სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში, რაც არ ნიშნავდა მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბოლოოდ უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაეკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი. აპელანტმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განჩინებას გასაჩივრებულ ნაწილში და აღნიშნა, რომ ხსენებულ ნაწილში განჩინება კანონის დარღვევით იყო გამოტანილი, იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო და უნდა გაუქმებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს და აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ ან უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალეებს, განახორციელოს ეს ქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უარი კანონიერი იყო, სრულად შეესაბამებოდა "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლისა და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე და 48-ე მუხლების მოთხოვნებს, თუმცა სასამართლომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადავო ბრძანება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ბათილად ცნო.

კასატორი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის კონკრეტულ საფუძვლებს განსაზღვრავდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების დროს შესწავლილი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს არ გამოცხადდა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები და არც მათი წარმომადგენელი, მაშინ როდესაც ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 7 სექტემბრის #08.02/9187 წერილით, მათ ასევე განემარტათ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, რომლის თანახმად სამინისტრო უფლებამოსილი იყო, საჩივრის ავტორთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე განეხილა და გადაეწყვიტა მათი მონაწილეობის გარეშე. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან საჩივრის განხილვის დროს გამოკვლეული იყო საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რასაც სასამართლო ადასტურებს თავის გადაწყვეტილებაში და მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უარი თანხის ანაზღაურებაზე კანონიერია.

ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 21 სექტემბრის #1071 ბრძანება შეესაბამება "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილების მოთხოვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ასევე გ. ც-მემ, მ. თ-მემ და ვ. დ-მემ იმ ნაწილში, რომლითაც მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კასატორებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათი სასარჩელო მოთხოვნა თანხების დაკისრების თაობაზე უკანონო იყო და უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 11 ოქტომბრის #226 ბრძანება არ არის იურიდიული ძალის მქონე, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან დარღვეულია ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-4¹ ნაწილის მოთხოვნა, აღნიშნული ბრძანება არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, კერძოდ კი საკანონმდებლო მაცნეში. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის #226 ბრძანება მიღებულია 1999 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლში მე-4¹ პუნქტი დაემატა 2005 წლის 9 ნოემბრის #2019 ცვლილების შემდეგ. აღნიშნული ცვლილებით კონკრეტულად განისაზღვრა, რომ საქართველოს კანონმდებლარე ნორმატიულ აქტებს არ გააჩნიათ იურიდიული ძალა საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებამდე. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. აღნიშნულმა კანონმა 38-ე მუხლის მე-4¹ პუნქტს უკუძალა მიანიჭა მხოლოდ ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნის ნაწილში. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 11 ოქტომბრის #226 ბრძანება რეგისტრირებულია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში, რაც ნიშნავს იმას, რომ #226 ბრძანება იურიდიული ძალის მქონეა, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად 2004 წლის 14 ივლისამდე მდგომარეობით (2004 წლის #213 ცვლილებამდე) საქართველოს მინისტრის ბრძანება ძალაში შედიოდა ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან მე-10 დღეს და მისი გამოქვეყნების მოთხოვნას არ ითვალისწინებდა.

კასატორთა განმარტებით, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 11 ოქტომბრის #226 ბრძანება იურიდიული ძალის მქონეა და ამ-

ჟამად მოქმედი "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის მოთხოვნა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების თაობაზე მასზე არ ვრცელდება.

კასატორები მიუთითებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულების თანახმად, სახელმწიფოს მიერ საშინაო ვალად აღიარებული ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა 1999 წლის 31 დეკემბრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ამავე ბრძანებულებით განისაზღვრა გასაცემი საკომპენსაციო თანხების ოდენობის განსაზღვრის წესი. აღნიშნული ბრძანებულებითვე დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს თავიანთ ტერიტორიაზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დავალიანების დასაფარავად გაითვალისწინონ საჭირო სახსრები შესაბამისი წლების ბიუჯეტის ფორმირებისას.

კასატორები მიუთითებენ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულებაზე, რომლითაც დამტკიცდა სახელმწიფო დავალიანებათა დაფარვის ხელშეწყობ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, ვინაიდან აღნიშნული ბრძანებულებით თითოეულ ღონისძიებათა განხორციელებლად განსაზღვრული იყო პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ბინათმშენებლობების კლასიფიკაცია, სახლების შეფასება და ამის შემდგომ ზოგის ბინებით უზრუნველყოფა უნდა განხორციელებულიყო, ზოგის კი საკომპენსაციო თანხებით, რაც ჯერ არ იყო განხორციელებული, შესაბამისად, სასამართლო ვერ ჩაეროდა სახელმწიფო ორგანოების დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში. კასატორთა განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ აღიარა მათი სასარჩელო მოთხოვნის კანონიერება, მაგრამ არასწორად განმარტა აღნიშნული ბრძანებულება, ვინაიდან ხსენებული ბრძანებულებით შემსრულებელი ორგანო მითითებული იყო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია და ის პროცედურები და კლასიფიკაცია რასაც აღნიშნული ბრძანებულება ითვალისწინებდა უკვე განხორციელებული და შესრულებული იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ც-ძის, მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრებები, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 26 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით გ. ც-ძის, მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 23 აპრილს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში მოყვანილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 21 სექტემბრის #1071 ბრძანების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შესული იყო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი #...-ის წევრების მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და გ. ც-ძის 2007 წლის 13 აგვისტოს #2786-6 ადმინისტრაციული საჩივარი, ქმედების განხორციელების შესახებ. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ქმედების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით სახელმწიფოს საშინაო ვალად აღებული თანხების - მათ მიერ კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის გაღებული თანხების და ამ თანხების დათქმულ ვადაში გადაუხდელობით გამოწვეული ზარალის გამო. მათი აზრით, აღნიშნული თანხა შედგებოდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის რეესტრში მითითებული საკომპენსაციო თანხისა და იგივე ფართის პირვანდელი ღირებულების ერთობლიობით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხსენებული ბრძანებით არ დააკმაყოფილა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი #...-ის წევრების მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და გ. ც-ძის 2007 წლის 13 აგვისტოს

#2786-6 ადმინისტრაციული საჩივარი ქმედების განხორციელების შესახებ. ხსენებული ბრძანებით საჩივრის ავტორებს განემარტათ, რომ მართალია, "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო ვალად იქნა აღიარებული კოოპერატიულ ბინათმშენებლობებთან დაკავშირებით არსებული ვალდებულებები, მათი გასტუმრება უნდა განხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. ამდენად, როგორც მითითებული ვალდებულებების ღირებულებების შეფასება, ისე მათი გასტუმრების ვადა და წესი უნდა დადგენილიყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. ვალდებულების შესრულების დრო დადგებოდა მას შემდეგ, რაც შემუშავდებოდა მითითებული ბრძანება და ეს ბრძანება დაადგენდა ვალდებულების კონკრეტულ ვადასა და წინაპირობებს. ხსენებული ბრძანებით განისაზღვრა, რომ, ვინაიდან არ დამდგარა ვალდებულების შესრულების ვადა, შესაბამისად ზიანის ანაზღაურებაზე საუბარი არ იყო მართებული. ამასთან, აღსანიშნავი იყო, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, მოწესრიგებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის #232 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული კომისია უფლებამოსილი იყო, შეემუშავებინა საქართველოში კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების მექანიზმი და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის. ამდენად, საქართველოს მთავრობის მიერ ანაზღაურების მექანიზმის დამტკიცებამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ გამოსცემდა ბრძანებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის მიმართ არსებული ვალის საკითხის დარეგულირების მიზნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის #519 დადგენილებით სახელმწიფო სესხის დავალიანება (ნაშთი) მთლიანად ჩამოეწერა და სახელმწიფო სესხის დავალიანების დაფარვისაგან გათავისუფლდნენ 1993 წლის 1 იანვარს საექსპლუატაციოდ მიღებული კოოპერატივების საცხოვრებელი სახლები. "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით, სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება. იმავე მუხლის მე-4 პუნქტით კი განისაზღვრა, რომ ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესს შეიმუშავებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 1998 წლის 1 სექტემბრამდე და შეუთანხმებდა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ამ პერიოდამდე არ აქვს შესრულებული "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება - არ აქვს შემუშავებული იმავე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებაზე, რომლითაც "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და ამავე ბრძანებით დამტკიცდა კომისიის დებულება. "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2008 წლის 23 დეკემბრის #248 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვრამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია ამაჟამად კვლავ ფუნქციონირებს, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2010 წლის 1 იანვრამდე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების შესახებ მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს, ვინა-

იდან ამისათვის აუცილებელია, რომ "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილმა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ უფლებამოსილების ვადაში (2010 წლის 1 იანვრამდე) შეიმუშავოს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას - სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვის წესის დადგენას. რეკომენდაციები რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ისინი, სახელმწიფოსათვის არ შეიძენს სავალდებულოდ შესასრულებელ ძალას, თუ ისინი ასახვას არ ჰპოვებს კანონით დადგენილი წესით, შესაბამისი სუბიექტის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე აქტში - სავალო ვალდებულების შესრულების (ვალის დაფარვის) წესში, რომელიც დღეის მდგომარეობით სახელმწიფოს არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელეთა - მ. თ-ძის, ვ. დ-ძისა და გ. ც-ძის სარჩელიდან გამომდინარე, დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ დღეის მდგომარეობით სახელმწიფოს არ გააჩნია "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ადეკვატური სამართლებრივი აქტი - "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვის წესის თაობაზე. ამდენად, სანამ არ იქნება დადგენილი კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებათა გასტუმრების წესი სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას დავალიანებასთან დაკავშირებით სხვა არსებითი გარემოების გამორკვევის პარალელურად დააკმაყოფილოს მოსარჩელეთა მოთხოვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ საკითხის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ საქართველოს მთავრობა მუშაობს აღნიშნულ საკითხზე, ხოლო ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე სასამართლო ვერ ჩაერევა ზემოთ დასახელებული სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში, რაც არ ნიშნავს მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბოლოოდ უარის თქმას.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 21 სექტემბრის #1071 ბრძანებასთან მიმართებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების თაობაზე აღნიშნულს საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული აქტის გაუქმებას საფუძვლად დაუდო მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და კონკრეტულად ვერც იმ პროცედურულ დარღვევაზე მიუთითა, რომელსაც შეეძლო მოცემულ შემთხვევაში ემოქმედა გადაწყვეტილების მიღებაზე, რის გამოც არ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ც-მის, მ. თ-მისა და ვ. დ-მის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გ. ც-მის, მ. თ-მისა და ვ. დ-მის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბერის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ც-მის, მ. თ-მისა და ვ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვალდებულების ჯეროვნად შესრულება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-1135-1082 (2კ-09) 2 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელმა - ფოტენტმა" 2008 წლის 17 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ და 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილების მე-3 მუხლის ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ს/ს საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის განცხადების განხილვის შედეგად, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითხოვდა ქ. ფოთში შთM მულტიპლექსორის პორტებთან დაშვებას, საერთაშორისო ორ მეგაბიტწამიანი არხების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო ასეთი რესურსის არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური აპარატურის მონტაჟის განხორციელებაზე ნებართვის გაცემას. კომისიის გადაწ-

ყვეტილების მე-3 მუხლის თანახმად, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნა და დაევალა შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტენტს" ს/ს საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის დაშვება მაგისტრალურ ქსელთან საერთაშორისო ორ მეგაბიტწამიანი პორტების უზრუნველყოფისათვის ქ. ფოთში, ს/ს "საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის" მიერ სათანადო აპარატურის შეძენისა და მონტაჟის შემთხვევაში.

შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელმა - ფოპტენტმა" სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის "გ" პუნქტი, ამავე კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილი, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლი და განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი შპს ფოპტენტის" მიერ წარდგენილი მტკიცებულებანი და მოსაზრებები, არ მოხდა ტექნიკური საკითხების სრულად შესწავლა, არ იქნა პასუხი გაცემული იმ ტექნიკურ და სამართლებრივ საკითხებზე, რაც კომისიის წინაშე შპს "ფოპტენტმა" არაერთხელ დააყენა, სადავო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობის უდავო საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ჩაბმული იქნა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია". ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში ს/ს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ნაცვლად მესამე პირად ჩაბმულ იქნა მისი უფლებამონაცვლე - სს "გაერთიანებული ტელეკომი". ამავე სხდომაზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა რ. ს-ია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტენტის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს #498/9 გადაწყვეტილებით შპს "ფოპტენტის" ცნობილ იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და საერთაშორისო მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე და მას დაკისრებული ჰქონდა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 თავით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები. სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ" 2008 წლის 11 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მოპასუხე შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ ფოპტენტის"-ს მიმართ და მოითხოვა ქ. ფოთში მოპასუხის კუთვნილ შთM მულტიპრექსორთან სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" დაშვების და ვალდებულება, ასევე მოპასუხის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება. 2008 წლის 18 აპრილს სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანია-მ" დაზუსტებული განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და ასევე მოითხოვა კომპანია "როსტელეკომთან" პირდაპირი ოპტიკური არხით (წყვილით) ფოთი-სოჭი-ნოვოროსისკის მაგისტრალური კაბელის მეშვეობით მიერთების დავალდებულება.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ ს.ს. "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიასა" და შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტენტს-ს" შორის დავის განხილვის შესახებ 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მოთხოვნა ქ. ფოთში შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტენტის-ს" კუთვნილ შთM მულტიპრექსორთან საერთაშორისო არხებთან, ასევე ფოთი-სოჭი-ნოვოროსისკის ოპტიკურ კაბელთან დაშვების შესახებ. ასევე არ დაკმაყოფილდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მოთხოვნა შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტენტის" სანქციონების შესახებ. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მოთხოვნა და დაევალა შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტენტს", სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" დაშვება შპს "ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტენტის-ს" მაგისტრალის ქსელთან საერთაშორისო ორ მეგაბიტწამიანი პორტების უზრუნველყოფისათვის ქ. ფოთში, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ სათანადო აპარატურის შეძენისა და მონტაჟის შემთხვევაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი კავშირის დამყარება ტექნიკურად შეუძლებელი იყო, ხოლო შპს "ფოპ-

ტნეტს" საკუთარი ფართი ქალაქ ფოთში არ გააჩნდა და როგორც მოქირავნე შეზღუდული იყო მე-საკუთრის თანხმობის გარეშე გაეცა ნებართვა თანალოკაციის ფართში დაშვებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "ფოპტნეტს" დაკისრებული ჰქონდა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 თავით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის ქსელის შესაბამის რესურსთან დაშვების სპეციფიკური ვალდებულება. იგი იყო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის ქ. ფოთში), რომელიც ფლობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს და ზემოაღნიშნული საკანონდებლო აქტის შესაბამისად ვალდებული იყო უზრუნველყო მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება. ამასთან, მასვე უნდა მოეწესრიგებინა სამართლებრივი ურთიერთობა გამქირავებელთან თუ თანამესაკუთრებთან იმგვარად, რომ დაუბრკოლებლად წარემართა თავისი საქმიანობა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონისა და კომისიის გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესაბამისად.

სასამართლომ მიუთითა ასევე კომისიის აპარატის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 18 სექტემბერს წარმოდგენილ დასკვნაზე, რომლის თანახმადაც ქ. ფოთში, სხვა ოპერატორის დაშვება შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტი"-ს კუთვნილ მაგისტრალურ ქსელთან, შესაძლებელი იყო სათანადო აპარატურის შეძენის შემთხვევაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის იმპერტიული-ნორმატიული მოთხოვნებს, რის გამოც მიიჩნია, რომ სარჩელი იყო უსაფუძვლო, რადგან არ მომხდარა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევა, მოპასუხის მიერ აქტის გამოცემისას დაცული იყო "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 თავით დადგენილ დებულებანი, სადავო გადაწყვეტილება მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, აგრეთვე, დაცული იყო ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელმა - ფოპტნეტმა" და განმარტა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებული უნდა ყოფილიყო "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-5 თავით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის "რ" ქვეპუნქტის, 29-ე და 34-ე მუხლების სწორი შეფასების შემთხვევაში სასამართლო ნათლად შეაფასებდა, რომ კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა უფლებამოსილების გადაჭარბებას, როდესაც მან თავისი გადაწყვეტილებით შპს "ფოპტნეტს" თვითონ დაუდგინა დავების კონკრეტული პირობები, მაშინ, როდესაც კანონით ამის უფლება მინიჭებული ჰქონდა თავად ოპერატორს. კომისიას უფლება ჰქონდა განესაზღვრა ზოგადი დაშვების პირობები, რომლის დროსაც უნდა გაეთვალისწინებია კანონით გათვალისწინებული მისი უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტორები. ამასთან, კომისიამ იმსჯელა იმ ქონებაზე, რომელიც სამი ქვეყნის იურიდიული პირის თანასაკუთრებას წარმოადგენდა და მისი მართვა რეგულირდებოდა შესაბამისი შეთანხმებით. სააპელაციო საჩივრის ავტორი თვლიდა, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებულად ცნო მხოლოდ კომისიის აპარატის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 18 სექტემბრის დასკვნის საფუძველზე ისე, რომ არც მის შინაარსზე, არც "ფოპტნეტის" მიერ კომისიაში წარდგენილ ტექნიკურ დასკვნებსა და სასამართლო სხდომაზე "ფოპტნეტის" წარმომადგენლის დეტალურ განმარტებებზე არ უმსჯელა. აღნიშნული დასკვნები და განმარტებები ასაბუთებდნენ შპს "ფოპტნეტის" პოზიციას და მათი გათვალისწინება პირდაპირ ევალებოდა კომისიას, ვინაიდან ეხებოდა დაშვების ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობას, დაშვების ქსელის ელემენტების თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებს და მოთხოვნილი სიმძლავრეების არსებობას, ასევე ოპერატორის მიერ გასაწევი ინვესტიციების მოცულობას და შესაბამის საინვესტიციო რისკებს.

აპელანტი მიიჩნევდა, რომ ქსელის ელემენტების განცალკევება ტექნიკურად და ტექნოლოგიურად შეუძლებელი იყო და გამოიწვევდა ქსელის მთლიანობის დარღვევას, ამასთან დაშვების განხორციელება ქ. ფოთში არ იყო გამოწვეული დაშვების აუცილებლობით, ვინაიდან იგივე მომსახურების მიღება შესაძლებელი იყო ფოპტნეტის მიერ გამოცხადებულ დაშვების წერტილში, ქ. თბილისში. აპელანტი მიიჩნევდა, რომ კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს #498/9 გადაწყვეტილების თანახმად, შპს "ფოპტნეტმა" მოწვევის ოფერტა გამოაქვეყნა კანონით განსაზღვრულ ვადაში და იგი

შესაბამისობაში იყო კომისიის გადაწყვეტილებასთან, ვინაიდან კომისიას კანონით განსაზღვრულ ვადაში და არც შემდგომ მოუთხოვია მასში რაიმე სახის ცვლილებების შეტანა. აღნიშნული ოფერტით დაშვების წერტილად დადგინდა იქნა ქ. თბილისი, ... ქ. #16, დადგინდა იქნა ასევე მომსახურების ტარიფებიც. კომისიამ არათუ არ დაავალდებულა ს/ს "გაერთიანებული ტელეკომი" უპირობოდ მიეღო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის დაშვების შეთავაზების წინადადებით განსაზღვრული პირობები, არამედ შეცვალა ისინი და სრულიად სხვა, კანონსაწინააღმდეგო ვალდებულებები დააკისრა მას. აღნიშნული კანონდარღვევა აპელანტის მოსაზრებით არ შეუფასებია სასამართლოს.

სააპელაციო საჩივრის ავტორი თვლიდა, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, რომ შპს "ფოპტნეტს" დავალდებული ჰქონდა ქ. ფოთში ამ მისამართზე დაშვება ან ეს ფართი წარმოადგენდა თანალოკაციის ფართს. სააპელაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ არც კომისია და არც სასამართლო არ იყო უფლებამოსილი შეეზღუდა კერძო პირთა უფლება - ხელშეკრულება დადონ თავისუფლად. სასამართლომ მტკიცებულებებზე მიუთითებლად მიიჩნია, რომ შპს "ფოპტნეტსა" და რ. ს-იას შორის ფართის ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 2009 წლის 1 იანვარი, მაშინ, როცა აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ იყო განსაზღვრული და მხარეები დღემდე განაგრძობენ ურთიერთობას. სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით ვერც სს გაერთიანებული ტელეკომი და ვერც კომისია ვერ ასაბუთებენ, თუ რა სამართლებრივი ან ეკონომიური ინტერესი ჰქონდა ქ. ფოთში ორმეგაბიტწამიან პორტებთან დაშვების უზრუნველყოფას, მაშინ, როცა იგივე მომსახურება, იგივე ტარიფებით შეთავაზებულ იქნა ქ. თბილისში.

სააპელაციო საჩივრის ავტორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს "ფოპტნეტის" სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტი-ს" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტი-ს" სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას და მიუთითა, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "რ" ქვეპუნქტის თანახმად, დაშვება გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით (მათ შორის ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტებით, ტექნიკური საშუალებებით, ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას. ამავე კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა უნდა იქნეს გათვალისწინებული კომისიის მიერ დაშვების ვალდებულების დაკისრებისას, ხოლო ამავე მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს ელექტრონული ქსელის ოპერატორის უფლებამოსილებას, უარი განაცხადოს ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების განცალკევებაზე, თუ მისი განხორციელება ტექნოლოგიურად შეუძლებელია.

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება - არსებული ციფრული მაგისტრალური სატელეკომუნიკაციო არხებით მომსახურების შეთავაზების წინადადების გამოქვეყნება, შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტი-ს" მიერ შესრულებულ იქნა, კერძოდ დაშვების წერტილად გამოცხადდა ქ. თბილისი, ... ქ. #16; სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების, 2008 წლის 18 სექტემბრის მონიტორინგის სამსახურის დასკვნისა და სადავო 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების მიღებისას და არც საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დღისათვის შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტს" ფოთში არ გააჩნდა ტექნიკური საშუალება ქ. ფოთში რუსეთის მიმართულებით კუთვნილ მაგისტრალურ ქსელთან სხვა ოპერატორის დაშვებისათვის, ხოლო ტექნიკური საშუალება შთM-16-ზე 2 მეგაბიტის დონეზე ჩართვისათვის შესაძლებელი იყო მხოლოდ ქ. თბილისში.

სააპელაციო პალატამ საქმეში "დანტელკოს" წარმომადგენლის წერილზე დაყრდნობით, დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ფოთი-სოჭი-ნოვოროსისკის ოპტიკური კაბელი წარმოადგენდა კონსორციუმის საკუთრებას და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მაგისტრალის მართვის პირობების დადგენა არ შედიოდა მხოლოდ ერთი მხარის კომპეტენციაში.

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტისას კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებული იყო, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მოეწვია დაინტერესებული მხარე, რაც მას არ გაუკეთებია. ამასთან, შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი" არ იყო უფლებამოსილი კონტრაქტისათვის უსაფუძვლოდ შეეთავაზებია ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. ამასთან, განმარტა, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნასა და ფიზიკურ პირ - რ. ს-ისათან დადებულ იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, იმოქმედებდა კანონით გაწერილი ვალდებულებები. შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი ვალდებული იყო დაეცვა კანონის მოთხოვნები და კერძო სამართლის ორ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კანონთან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილების მე-3 ნაწილი წინააღმდეგობაში იყო "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ არსებობდა მისი ბათილობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და ს/ს "გაერთიანებულმა ტელეკომმა".

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 105-ე მუხლი და საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების გარეშე, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო პალატამ სწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა მონიტორინგის სამსახურის 2008 წლის 18 სექტემბრის დასკვნას, რომლითაც დადგენილია, რომ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების შემდგომ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მაგისტრალურ ქსელთან სხვა ოპერატორის დაშვება. კასატორი თვლის, რომ აღნიშნული დასკვნა ეფუძნება მხოლოდ მხარის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს #498/9 გადაწყვეტილების შესრულებად ურთიერთჩართვის წერტილად თბილისი, ... ქუჩა #16-ის გამოცხადება და განმარტა, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 31.2 მუხლის შესრულების მიზნით "ფოპტნეტი" ვალდებული იყო საჯარო გაეხადა ინფორმაცია, როგორც თავისუფალი, ისე დატვირთული ელემენტების სიმძლავრეებისა და ტერმინალური ელემენტების მისამართების თაობაზე. ამ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობა არ ათავისუფლებდა მას კანონისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, თითქოს კომისიამ 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილებით დაადგინა დაშვების კონკრეტული პირობები. "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიამ მიღებული გადაწყვეტილებით მოახდინა ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელთან სხვა ოპერატორის დაშვება, რაც შეეხება პირობებს, აღნიშნული კომისიას არ დაუდგენია, ეს იქნება მხარეთა შორის შეთანხმების საგანი. კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების ფაქტობრივად შეუძლებლობის გამო მის ბათილად ცნობასთან მიმართებით და განმარტავს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, არამედ ქმნის მის არარად გამოცხადების შესაძლებლობას. კომისია მიიჩნევს, რომ სასამართლომ არათუ იმსჯელა სარჩელის საფუძველებზე, არამედ თავისი ინიციატივით შეცვალა ისინი.

ს/ს "გაერთიანებული ტელეკომიგ" ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ არასწორი შეფასება მიეცა მონიტორინგის სამსახურის დასკვნას და სასამართლომ მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე მიიჩნია, რომ სათანადო აპარატურის შექმნის შემთხვევაში ფოტში რომელიმე სხვა მომხმარებლის მიერთება გამოიწვევდა კავშირის შეწყვეტას. გასაჩივრებული აქტი სრულ შესაბამისობაშია "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 34-ე მუხლის მოთხოვნებთან. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 34-ე მუხლის მე-9 პუნქტი, ვინაიდან საქმეში არ არსებობს მტკიცებულება იმისა, თუ რატომ არის შეუძლებელი გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება ტექნოლოგიურად ან აღნიშნული რატომ დაარღვევს ქსელის მთლიანობას. კასატორმა ასევე განმარტა, რომ კომისიამ 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილებით დააკონკრეტა 2007 წლის 31 აგვისტოს #489/9 გადაწყვეტილებით შპს-სათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები, რისი უფლებამოსილებაც გააჩნდა "ელექტრონული

კომუნიკაციების შესახებ” კანონის 30.3 მუხლის შესაბამისად. კასატორი ასევე მიუთითებს კომპანია “დანტელკოს” წერილზე და თვლის, რომ აღნიშნული წერილი არ ეხება კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილების მე-3 ნაწილით დადგენილ საკითხს, შესაბამისად სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებია აღნიშნული წერილი.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, არასწორად განმარტა კანონი, ამასთან, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ს/ს “გაერთიანებული ტელეკომის” საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ს/ს “გაერთიანებული ტელეკომის” საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილია, რომ მხარეთა შორის დავის დაწყების საფუძველი გახდა სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისა” და “როსტელეკომს” შორის ქ. ფოთში შპს “ფოპტნეტის” მეშვეობით კავშირის მოწყობის სანაცვლოდ შპს “ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტის” შეთავაზება ხსენებული კავშირის დასამყარებლად ქ. თბილისში, ... ქ. #16-ში კავშირის მოწყობის თაობაზე.

დადგენილია, რომ ს.ს. “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისა” და შპს “ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტს” შორის დავის განხილვის შესახებ 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილების მე-3 ნაწილით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის” მოთხოვნა და დაევალა შპს “ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტს”, სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის” დაშვება შპს “ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს მაგისტრალის ქსელთან საერთაშორისო ორ მეგაბიტწამიანი პორტების უზრუნველყოფისათვის ქ. ფოთში, სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მიერ სათანადო აპარატურის შეძენისა და მონტაჟის შემთხვევაში.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს “ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტს” არ გააჩნდა ქ. ფოთში ტექნიკური საშუალება საქართველო-რუსეთის ოპტიკურ მაგისტრალთან მიერთების უზრუნველსაყოფად სხვა ოპერატორის დაშვებისა, ვინაიდან აღნიშნული მაგისტრალი არ წარმოადგენდა მის ერთპიროვნულ საკუთრებას, ამასთან, მაგისტრალზე დაკავშირება ხორციელდებოდა 2,4 მგბტ/წმ დონეზე და სხვა მომხმარებლის მიერთება გამოიწვევდა კავშირის შეწყვეტას საერთაშორისო მაგისტრალთან, ამასთან, მას ასევე არ გააჩნდა თანალოკაციისათვის საჭირო ფართი.

საკასაციო პალატა უპირველეს ყოვლისა მიუთითებს “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” კანონის 34-ე მუხლზე, რომლის თანახმად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, რომელიც ფლობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, ვალდებულია უზრუნველყოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება. გარდა ამისა, ამავე ნორმის მე-3 პუნქტი, ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთმართვის მიწოდების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს ავალდებულებს უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები, საკმარისი თანალოკაციის ფართობებისა და ამ ფართობებზე განთავსებულ ურთიერთმართვის წერტილებში საოპერაციო სიმძლავრეების მიწოდება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე კომისიის აპარატის მონიტორინგის დეპარტამენტის 2008 წლის 18 სექტემბრის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, ქ. ფოთში, სხვა ოპერატორის დაშვება შპს “ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტის” კუთვნილ მაგისტრალურ ქსელთან, შესაძლებელი იქნება სათანადო აპარატურის შეძენის შემთხვევაში. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” კანონის მოთხოვნებსა და კერძო სამართლის ორ სუბიექტს შორის ხელშეკრულებით ნა-

კისრ ვალდებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვალდებულებები. ამასთან, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ფოთში ტერმინალურ კომპლექსზე თანასაკუთრების უფლების არსებობა წარმოადგენდა დაშვების დამაბრკოლებელ გარემოებას, ვინაიდან სადავო არაა ის გარემოება, რომ შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტს" დაკისრებული აქვს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 თავით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის ქსელის შესაბამის რესურსთან დაშვების სპეციფიკური ვალდებულება. იგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის ქ. ფოთი), რომელიც ფლობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს და მიუხედავად სახელმწიფოებო შეზღუდვისა იგი ვალდებულია უზრუნველყოს მის ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სს საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტს" გააჩნდა როგორც კანონისმიერი ვალდებულება ასევე ტექნიკური შესაძლებლობა მოეხდინა მისი დაშვება შპს-ს მაგისტრალურ ქსელთან საერთაშორისო ორ მეგაბიტ/წამიანი პორტების უზრუნველყოფისათვის, კომპანიის მიერ სათანადო აპარატურის შეძენისა და მონტაჟის შემთხვევაში. იგი ასევე ვალდებული იყო სახელმწიფოებო ურთიერთობა მიესადაგებია კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ ვალდებულებებისა და კომისიის გადაწყვეტილებისათვის, მისი აღსრულების მიზნით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ფოთში სხვა მომხმარებლის მიერთება გამოიწვევდა კავშირის შეწყვეტას საერთაშორისო მაგისტრალთან. მონიტორინგის სამსახურის დასკვნის თანახმად, ქ. ფოთში სათანადო აპარატურის საშუალებით სხვა მომხმარებლის მიერთება არ გამოიწვევს საერთაშორისო კავშირის შეწყვეტას, ხოლო აღნიშნულის საწინააღმდეგო საფუძვლის მქონე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიამ შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტს" თავად დაუდგინა დაშვების კონკრეტული პირობები მაშინ, როდესაც კანონის საფუძველზე ამის უფლება მინიჭებული ჰქონდა თავად ოპერატორს. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 ნაწილით კომისიამ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-11 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მხოლოდ მოახდინა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება. რაც შეეხება დაშვების კონკრეტული პირობების განსაზღვრას, აღნიშნული გათვალისწინებულია ამავე კანონის 34-ე მუხლის შესაბამისი დათქმებით და წარმოადგენს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადასაწყვეტ პირობებს.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარედ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მოეწვია ოპტიკურ კაბელზე თანასაკუთრების მქონე სუბიექტები, ვინაიდან ფოთი-სოჭი-ნოვოროსიისკის ოპტიკური კაბელის მესაკუთრე კონსორციუმი არ წარმოადგენს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ სუბიექტს, შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი" უშუალოდ, სხვა პირებისაგან დამოუკიდებლად არის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 19 სექტემბრის #538/16 გადაწყვეტილების მე-3 ნაწილის მავალდებულებელი ხასიათი მიმართულია მხოლოდ შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტისადმი" და იგი არ შეეხება ოპტიკური კაბელის მესაკუთრე სხვა სუბიექტების ინტერესებს, არ გამოიწვევს მათი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას. ამასთან, რაც შეეხება კომპანია "დანტელკოს" წერილს, აღნიშნული წერილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სწორად იქნა გამოყენებული 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების პირველი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც ეხებოდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ფოთი-სოჭი-ნოვოროსიისკის ოპტიკურ კაბელთან დაშვებაზე უარის თქმას, ხოლო პალატა თვლის, რომ აღნიშნულ წერილს შემხებლობა არ აქვს გადაწყვეტილების მე-3 ნაწილით დადგენილ საკითხთან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სსკ 394-ე მუხლის "ე1" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამასთან, სააპელაციო პალატის მიერ

სრულად იქნა გამოიკვლეული საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და სადავო საკითხის გადაწყვეტა აღარ საჭიროებს დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საქმეზე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისისა და ს/ს "გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებით საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი-ს" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სსკ-ს 53.1-ე მუხლის თანახმად, შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტს" უნდა დაეკისროს კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 411-ე მუხლით, 53-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ს/ს "გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება;
3. შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტი-ს" სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტს" დაეკისროს სს "გაერთიანებული ტელეკომის" სასარგებლოდ მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის ანაზღაურება;
5. შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელ - ფოპტნეტს" დაეკისროს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სასარგებლოდ მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაკისრებული ვალდებულების შესრულება

განჩინება

#ბს-1180-1127 (კ-09) 2 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩლო განცხადებით მიმართა სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიაში" მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ, რითაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 14 მარტის #122/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მითითებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნა და მოსარჩელეს დაევალა შპს "ახალი ქსელების" შეუზღუდავი დაშვება (კაბელების დემონტაჟის მიზნით) მოსარჩელის საკანალიზაციო არხებში არსებულ იმ კაბელებთან, რომლებზეც შპს "ახალი ქსელების" საკუთრება დგინდებოდა უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ინვენტარიზაციის აქტებით. მხარეებს ასევე დაევალათ გადაწყვეტილების შესრულება 10 დღის ვადაში. სარჩელში განმარტებულია, რომ შპს "ახალმა ქსელებმა" ვერ წარადგინა სადავო კაბელებზე

საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღნიშნული კაბელები შპს "ახალ ქსელებს" არ ეკუთვნის. მოსარჩელის განმარტებით, მათ სატელეფონო საკანალიზაციო არხებში გადის სხვადასხვა ოპერატორების კაბელები. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კაბელები აღმოჩნდება სხვა ოპერატორის საკუთრება, ხოლო მოსარჩელე შესარულებს მოპასუხის გადაწყვეტილებას და შპს "ახალ ქსელებს" კაბელების მოდების უფლებას მისცემს, მაშინ სხვა ოპერატორს, რომლის საკუთრებასაც შეიძლება წარმოადგენდეს ეს კაბელები, პრობლემა შეექმნება თავისი მომხმარებლების წინაშე (შეუწყდებათ მომსახურება), რაც მათ მიაყენებს სერიოზულ მატერიალურ ზიანს და ისინიც ამ ზიანის ანაზღაურებას რეგრესის წესით მოითხოვენ მოსარჩელისაგან. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, მოსარჩელეს მიაყენებს საკმაოდ დიდ მატერიალურ ზიანს. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ 2006 წლის 14 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და კომპანია "რუთ დემ ფროფერტი II ბ.ვ.-ს" შორის გაფორმდა აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 8.2 და 8.3 მუხლების თანახმად მოსარჩელე დაიწყებდა თავისი ქონებისა და ქსელების სრულ ინვენტარიზაციას. ინვენტარიზაციის შემდეგ შეიძლება აღმოჩენილიყო, რომ შპს "ახალი ქსელების" მიერ მოთხოვნილი კაბელები წარმოადგენდა მის საკუთრებას იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირები მათზე ვერ წარმოადგენენ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოცემული დავა ქონებრივი ხასიათის მატარებელი იყო, ხოლო "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 36.1 მუხლის თანახმად ქონებრივი დავის განხილვა (ქონების მესაკუთრის დადგენა) მოპასუხის კომპეტენციას არ წარმოადგენდა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო არაუფლებამოსილმა ორგანომ. მოპასუხე მხარემ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის დარღვევით ადმინისტრაციული წარმოების დროს არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება არ მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ არასწორად განმარტა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "რ" პუნქტით განმარტებული ტერმინი "დაშვება". მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ტერმინი "დაშვება" მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ვინაიდან, კანონის თანახმად აღნიშნულ ტერმინს განსხვავებული დატვირთვა გააჩნდა. მოსარჩელის განმარტებით, კომისიას უფლება არ ჰქონდა დაედგინა ქონების საკუთრების საკითხები და საერთოდ განეხილა ქონებრივი ხასიათის დავა. მან აშკარად გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, როდესაც დაადგინა ისეთი გარემოებები, როგორცაა ინვენტარიზაციის აქტებზე ხელმოწერი პირების უფლებამოსილება და სადავო კაბელების საკუთრებაში არსებობა. მოსარჩელე ასევე არ დაეთანხმა შპს "ახალი ქსელების" საკუთრებაში კაბელების არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ დოკუმენტად, კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების თაობაზე, ანგარიშ-ფაქტურების მიჩნევას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მთელი რიგი მიმართულებებით შემოწმების აქტები შედგენილი იყო არაუფლებამოსილი პირების მიერ, მაგალითად: ასს-22/23/25/29. 30/31/34/35/36, 37/38/39, 92/93/98/99, 94/95/96/91-ის სამოქმედო ზონებზე აქტს ხელს აწერენ ჭ. ფ-შისვილი და გ. მ-ძე, რომლებიც შეთანხმების დანართ #1-ში ამგვარ უფლებამოსილების პირებად არ არიან მითითებული. აქტებს ამტკიცებს "სბს-კ" ვაკე-საბურთალოს სატელეფონო განყოფილების მთავარი ინჟინერი პ. ჩ-ძე. ასეთი უფლებამოსილება კი დანართის მე-13 პუნქტით მინიჭებული აქვს ლ. ქა-შვილს. 08.01.2007 წლის შეთანხმების მე-4 პუნქტის თანახმად, "მხარეები ვალდებული არიან, წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული ყველა დოკუმენტაცია სატელეფონო კაბელების "გაერთიანებული ტელეკომის" სატელეფონო კანალიზაციაში განთავსებისა და მათი კუთვნილების შესახებ". შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებულია, რომ მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გრაფიკის შესაბამისად განახორციელონ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სატელეფონო კანალიზაციაში განთავსებული იმ კაბელების ინვენტარიზაცია-დაფიქსირება, რომელიც, შპს "ახალი ქსელებისა" და "ახტელის" განცხადებით, მათ საკუთრებაშია. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ შეთანხმების მხარეებმა იკისრეს ვალდებულება მოეხდინათ იმ კაბელების ინვენტარიზაცია, რომლებიც შპს "ახალი ქსელების" და შპს "ახტელის" განცხადებით მათ საკუთრებაშია. დადგენილი რომ ყოფილიყო შპს "ახალი ქსელებისა" და შპს "ახტელის" განცხადებით განსაზღვრული კაბელების საკუთრების დადგენის მიზნით, მათ უნდა წარედგინათ შეთანხმების მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც არ გაუკეთებიათ. მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხის მითითებას იმის შესახებ, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებული იყო შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყო მათი შეუზღუდავი დაშვება საკუთარ საკაბელო მეურნეობასთან მათი დემონტაჟისა და ამოღების მიზნით. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხემ გამოიყენა ის ნორმა, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, აღნიშნული ნორმა ადგენს ავტორიზებული პირის ვალდებულებას

საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებსა და სიმძლავრეებთან შეუზღუდავ დაშვებას, ანუ ეს ნორმა ადგენს სულ სხვა რამეს (როდესაც ავტორიზებულ პირს გააჩნია თავისუფალი რე-სურსი ან ელემენტი, სხვა ავტორიზებული პირის მოთხოვნისას უნდა განახორციელოს მისი შეუზღუდავი დაშვება), ხოლო მოპასუხემ აღნიშნული ნორმა გამოიყენა სულ სხვა ურთიერთობის დასა-რეგულირებლად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ, მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციუ-ლი აქტის გამოცემისას დაარღვია "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 36-ე მუხლი, ასეთი დარღვევების არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება და არ მოხდებოდა შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს "ახალი ქსელები".

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქ-ტომბრის გადაწყვეტილებით სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობი-ლი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 14 მარტის #122/16 გადაწყვეტილება და მოპა-სუხეს დაევალა, საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი აქტის გამოცე-მა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს საფუძვლიანად არ გამოუკვლევია საკითხი იმის თაობაზე, რომ შპს "ახალი ქსელების" მიერ მოთხოვნილი კაბელები ნამდვილად წარმოად-გენდა თუ არა მის საკუთრებას. მოპასუხის მიერ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქარ-თველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამის პუნქტებთან მიმართებით, არასწორად იყო განმარტებუ-ლი ტერმინი "დაშვება". გასაჩივრებული 2008 წლის 14 მარტის #122/16 გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს დაევალა შპს "ახალი ქსელების" შეუზღუდავი დაშვება (კაბელების დემონტაჟის მიზ-ნით) მოსარჩელის საკანალიზაციო არხებში არსებულ იმ კაბელებთან, რომლებზეც შპს "ახალი ქსელების" საკუთრება დგინდებოდა ინვენტარიზაციის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერი-ლი აქტებით. ამრიგად, 2008 წლის 14 მარტის #122/16 გადაწყვეტილებით ტერმინი "დაშვება" განიმარტა როგორც შპს "ახალი ქსელების" უფლება, მოეხდინა მოსარჩელის საკანალიზაციო არ-ხებში არსებული მისი კუთვნილი, კაბელების დემონტაჟი და არხებიდან მათი ამოღება. სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ ტერმინი "დაშვება" არ გულისხმობდა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის საკანალიზაციო არხებში არსებული კაბელების დემონტაჟს, არამედ ლაპარაკი იყო მხოლოდ განსაზღვრული პირობებით ქსელით სარგებლობის უფლების მინიჭებაზე. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პირდაპირი დაშვება არის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატო-რის მიერ საკუთარი ქსელის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის უშუალოდ დაშვება. აქაც ლაპარაკია მხოლოდ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ქსელის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებაზე, აღნიშნული ქსელით სარგებლობაზე, რაც არ შეიძლება გულისხმობდეს საკანალიზაციო არხებში კაბელების დემონტაჟის უფლებას.

საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მოცემული საკითხის ხელახალი განხილვის დროს მოპასუხეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ემსჯელა იმაზე, წარმოადგენდა თუ არა შპს "ახალი ქსელების" მიერ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანი-ის" საკანალიზაციო ჭებიდან კაბელების ამოღების საკითხი ქონებრივ დავას და საქართველოს კო-მუნიკაციების ეროვნულ კომისიას ჰქონდა თუ არა უფლება, განეხილა იგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქტომ-ბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ახალმა ქსელებმა", რომლითაც მისი გა-უქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომ-პანიის" სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სააპელაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომი-სიის მიერ შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნის განხილვა მოხდა როგორც ზოგადი ადმინისტრაციუ-ლი კოდექსის, ასევე "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით. მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა, წარედგინათ სათანადო მტკიცებულებები, შპს "ახალმა ქსელებმა" სათანადო დოკუმენტაციით დაადასტურა კაბელების კუთვნილება, რისი საწინააღმდეგო მტკიცებულება "გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" არ წარუდგენია. წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე კომისიამ დაადგინა, რომ მხარეებს შორის დავა არ წარმოადგენდა ქონებრივ და ექვემდებარებოდა მის მიერ განხილვას. სააპელაციო საჩივრის ავტო-რი მიიჩნევდა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად ჩამოაყალიბა ფაქ-ტობრივი გარემოებები. კერძოდ, არასწორად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დავას, შესაძლოა,

ჰქონოდა ქონებრივი ხასიათი, რის გამოც იგი არ უნდა განეხილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "რ" პუნქტი და ამავე კანონით გათვალისწინებული ტერმინი "დაშვება". სააპელაციო საჩივრის ავტორი ასევე მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელეს არ აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს, რის გამოც მიიჩნევდა, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა სარჩელის დასაშვებობის საკითხზე.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის საოქმო განჩინებით, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით სს "გაერთიანებული ტელეკომით".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, შპს "ახალი ქსელების" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სასამართლომ განმარტა, რომ კომისიას "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მესამე პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია, ვინაიდან კომისიამ სათანადოდ გამოიკვლია ის გარემოება, განეკუთვნებოდა თუ არა მხარეებს შორის წამოჭრილი დავა მის უფლებამოსილებას და საკითხი განიხილა მხოლოდ მას შემდეგ, როცა სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შედეგად დადგინდა, რომ დავას არ გააჩნდა ქონებრივი ხასიათი. სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ტერმინის - "დაშვების" განმარტების შესახებ და მიიჩნია, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "რ" ქვეპუნქტის თანახმად, დაშვება წარმოადგენდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებითა და მათი თავისუფალი რესურსით, მათ შორის, საკანალიზაციო არხებითა და ჭებით სარგებლობის უზრუნველყოფას. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე მხარეს კომისიის 2005 წლის 21 ოქტომბრის #656/22 გადაწყვეტილებითა და 2007 წლის 17 აპრილის #191/9 გადაწყვეტილებით, დაკისრებული აქვს სატელეფონო კანალიზაციის შესაბამის რესურსთან დაშვების სპეციფიკური ვალდებულება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 14 მარტის #122/16 გადაწყვეტილება გამოცემული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "გაერთიანებულმა ტელეკომმა", რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად სადავო აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, კერძოდ შპს "ახალი ქსელების" მიერ წარდგენილ ინვენტარიზაციის აქტებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნია შპს "ახალი ქსელების" საკუთრების უფლება კაბელებზე. კასატორი თვლის, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს უდავოდ დადგენილ გარემოებას, ვინაიდან ინვენტარიზაციის აქტში მითითებულია მხოლოდ სატელეფონო საკანალიზაციო ჭებში კაბელების არსებობის ფაქტი, მაგრამ მხარეების მიერ არ განხორციელებულა მათი იდენტიფიკაცია. ამასთან, ზოგი ინვენტარიზაციის აქტი ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირების მიერ, რის გამოც კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მსჯელობა ამ საკითხთან მიმართებით არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. სს "გაერთიანებული ტელეკომი" მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "რ" პუნქტი და არასწორი დასკვნა გამოიტანა ტერმინ "დაშვებასთან" მიმართებით, რამაც გამოიწვია აღნიშნული ნორმის არასწორი გამოყენება სასამართლოს მიერ. კასატორი თვლის, რომ შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნა წარმოადგენდა ქონებრივ დავას და შესაბამისად, კომისია არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული საკითხი.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებია, კერძოდ, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 34-ე მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე პუნქტები, რადგან სს "გაერთიანებული ტელეკომის" მხრიდან აღნიშნული ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან "ახალი ქსელების" მოთხოვნა არ ეფუძნებოდა აღნიშნულ ნორმებს. ეს საკითხები მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა არც კომისიაში და არც სასამართლოში საქმის განხილვისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით სს "გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ სს "გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წ. 28 მაისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

დადგენილია, რომ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საკითხის განხილვის დროს სადავოდ არ ხდოდა იმ გარემოებას, რომ მის კუთვნილ სატელეფონო-საკანალიზაციო ჭებში განთავსებული იყო შპს "ახალი ქსელების" და შპს "ახტელის" კუთვნილი კაბელები. სადავო იყო, ინვენტარიზაციის დასრულებამდე მათი იდენტიფიცირების, სახეობის, მოცულობისა და ოდენობის დადგენა, ინვენტარიზაციის აქტებზე ხელმოწერი პირების უფლებამოსილება და მეორე მხარის მიერ კაბელების გატარებისათვის დადგენილი მომსახურების თანხის გადაუხდელობა (ინვენტარიზაციის აქტები, ანგარიშ-ფაქტურები). საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 08 იანვარის შეთანხმების თანახმად, მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, განეხორციელებიათ სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" სატელეფონო კანალიზაციაში განთავსებული იმ კაბელების ინვენტარიზაცია-დაფიქსირება, რომლებიც შპს "ახალი ქსელებისა" და შპს "ახტელის" საკუთრებაში იყო. მათ ასევე უნდა წარედგინათ მათ ხელთ არსებული ყველა დოკუმენტაცია კაბელების კანალიზაციაში განთავსებისა და მათი კუთვნილების შესახებ. საქმეს ასევე ერთვის ორმხრივი ინვენტარიზაციის აქტები, საიდანაც დგინდება შესაბამის მისამართებზე სატელეფონო-საკანალიზაციო ჭებში კაბელების არსებობის ფაქტი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2008 წლის 10 მარტს გამართულ სხდომაზე სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" წარმომადგენელმა განმარტა, რომ კაბელების კუთვნილების დადასტურება შესაძლებელი იყო მხოლოდ ინვენტარიზაციის დასრულების შემდგომ. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სრულყოფილად იქნა გამორკვეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რის შემდეგაც მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა არა კაბელების კუთვნილება, არამედ საკანალიზაციო არხებში არსებულ კაბელებთან დაშვება, რასაც არ გააჩნდა ქონებრივი დავის ხასიათი.

დადგენილია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წლის 14 მარტის #122/16 გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნა და სს "გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" დაევალა შპს "ახალი ქსელების" შეუზღუდავი დაშვება (კაბელების დემონტაჟის მიზნით) მოსარჩელის საკანალიზაციო არხებში არსებულ იმ კაბელებთან, რომლებზეც შპს "ახალი ქსელების" საკუთრება დგინდებოდა ინვენტარიზაციის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი აქტებით. მხარეებს ასევე დაევალათ გადაწყვეტილების ამ პუნქტის შესრულება 10 დღის ვადაში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ამგვარი რედაქტირება საკასაციო პალატას მიაჩნია სწორედ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით დადგენილი ფუნქციის განხორციელებად, ვინაიდან კომისიას ამავე კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკისრება ვალდებულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვიტოს ავტორიზებულ პირებს შორის არსებული დავა. სადავო გადაწყვეტილებით სს "გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში უნდა მოეხდინა სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება კაბელების დემონტაჟის მიზნით საკანალიზაციო არხებში არსებულ იმ კაბელებთან, რომლებზეც შპს-ს საკუთრება დადგინდებოდა ინვენტარიზაციის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი აქტებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის არსებული 2007 წლის 08 იანვრის შეთანხმება კაბელების ინვენტარიზაცია-დაფიქსირების თაობაზე, ემსახურებოდა სწორედ იმ მიზანს, რომ მომხდარიყო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირის საკანალიზაციო-სატელეფონო არხებში სხვა ავტორიზებული პირის საკუთრებაში არსებული

კაბელების იდენტიფიცირება მათი შემდგომი დემონტაჟის მიზნით. კომისიას არ დაუდგენია არც კაბელების კუთვნილების და არც ინვენტარიზაციის აქტებზე ხელმოწერ პირთა უფლებამოსილება. მან მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, უდავოდ დადგენილ გარემოებაზე (კაბელების კუთვნილება) მითითებით, მხოლოდ დააკონკრეტა გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება.

საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას ტერმინ - "დაშვების" განმარტების თაობაზე და მიუთითებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 21 ოქტომბრის #656/22 და 2007 წლის 17 აპრილის #191/9 გადაწყვეტილებებზე, რომლის თანახმად, სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" ქ. თბილისში განისაზღვრა სატელეკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, მასვე დაეკისრა საკანალიზაციო არხებში სხვა ავტორიზებული პირების კაბელების გატარებისა ან/და კაბელების ტერმინალურ სეგმენტებთან დაშვების ვალდებულება. საკანალიზაციო არხები შეადგენენ საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებს, ხოლო დაშვება გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას, მათ შორის, საკანალიზაციო არხებში კაბელების გატარების ვალდებულებას. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაშვება გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას, ხოლო შპს "ახალი ქსელების" მოთხოვნა სატელეფონო კანალიზაციიდან კაბელების ამოღების თაობაზე წარმოადგენდა ქონებრივ დავას, ვინაიდან სარგებლობის უზრუნველყოფა თავისთავში მოიცავს სატელეფონო-საკანალიზაციო არხებში კაბელების გატარების მიზნით მსურველი ავტორიზებული პირის დაშვებას ქსელის ელემენტებთან როგორც მისი მონტაჟის, ასევე დემონტაჟის მიზნით. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონის 34-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტები, ვინაიდან ზემოაღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ავალდებულებს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან და მომსახურების სხვადასხვა სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავ, გამჭირვალე და არადისკრიმინაციულ დაშვებას. რაც შეეხება გადაწყვეტილებაში მოყვანილ ამავე მუხლის დანარჩენ პუნქტებს, აღნიშნული მხოლოდ აკონკრეტებს პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას და მათი გადაწყვეტილებაში მითითება, არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სრულად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამართლებრივ შეფასებებს, დამატებით მიუთითა მათზე და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ამდენად, არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფიციელი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსსკ-ის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს "გაერთიანებული ტელეკომის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინება

#ბს-707-673 (კ-09)

8 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 მაისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის - სს "გამონის", მესამე პირის - სს "თბილსრესის" მიმართ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობისა და ვადაგადაცილებით შესრულებისათვის სანქცია-საურავების 168 296 ლარის დაკისრების თაობაზე.

სასარჩელო განცხადების თანახმად, 2004 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემსყიდველს), სს "თბილსრესსა" (დამკვეთს) და სს "გამონს" (მიმწოდებელს) შორის გაფორმდა #33.04-22 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება სს "თბილსრესის" 510 მვა, 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ-ს" 2 ფაზის კაპიტალური შეკეთება-რეკონსტრუქციის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 445 000 ლარს, ხოლო შესრულების ვადად განისაზღვრა 2004 წლის 31 დეკემბერი. მიღება-ჩაბარების აქტი 445 000 ლარის სამუშაოს მიღებაზე გაფორმდა 2005 წლის 5 აგვისტოს.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში განმარტავდა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დროს გამოვლინდა დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, რის გამოც 2005 წლის 11 ივლისს იმავე მხარეებს შორის გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება 116 329 ლარის დამატებითი სამუშაოების შესრულების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 2005 წლის 15 სექტემბერი. გადიწერა კონკრეტული სამუშაოების დასახელება და მათი შესრულების გეგმა-გრაფიკი. 2005 წლის 5 აგვისტოს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს 86 329 ლარის სამუშაოები შესრულებული აქვს ვადაში. რაც შეეხება დანართის მე-18 პარაგრაფით განსაზღვრულ სამუშაოებს, კერძოდ, "22ბ" და "23ბ" უჯრედების საჭაერო ამომრთველების კაპიტალურ შეკეთებას, რომელთაგან თითოეულის ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს, მისი ერთი ნაწილის - "23ბ" უჯრედის საჭაერო ამომრთველის შეკეთების სამუშაო მოპასუხემ შეასრულა ვადაგადაცილებით, ნაცვლად დამატებით ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვადისა (2005 წლის 15 სექტემბერი), 2006 წლის 24 თებერვალს, ანუ 23 კვირის ვადაგადაცილებით, რაც შეეხება "22ბ" ამომრთველის შეკეთებას, აღნიშნული სამუშაო მიმწოდებლის მიერ საერთოდ არ შესრულებულა.

მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვადის ვადაცილების შემთხვევაში ვალდებული იყო, შემსყიდველის სასარგებლოდ გადაეხადა დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,15 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა შეადგენდა 216 დღეს, ხოლო ჯარიმა - 144 180 ლარს. 2005 წლის 11 ივლისის დამატებითი ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრებოდა ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 0,15 %-ის ოდენობით. ამდენად, "23ბ" უჯრედის საჭაერო ამომრთველის შეკეთების სამუშაოს 13 კვირის ვადაგადაცილების გამო ჯარიმა შეადგენდა 4013 ლარს. რაც შეეხება "22ბ" ამომრთველის შეკეთებას, აღნიშნული სამუშაო საერთოდ არ შესრულებულა, ვადაგადაცილებული იყო 115 კვირა, შესაბამისად სანქცია შეადგენდა 20 066 ლარს. ამასთან ხელშეკრულების შესაბამისად პირგასამტეხლო შეადგენს შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,25 % და შეადგენდა 37 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხის - სს "გამონისათვის" 168 296 ლარის დაკისრებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ 2004 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემსყიდველს), სს "თბილსრესსა" (დამკვეთს) და სს "გამონს" (მიმწოდებელს) შორის გაფორმდა #33.04-22 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება სს "თბილსრესის"

სის" 510მვა, 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ-ს" 2 ფაზის კაპიტალური შეკეთება-რეკონსტრუქციის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 445 000 ლარს, ხოლო შესრულების ვადად განისაზღვრა 2004 წლის 31 დეკემბერი. საქმეში წარმოდგენილი სს "გამონის" წერილებით ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ, კერძოდ, 2004 წლის ოქტომბრის ორი წერილით, 2004 წლის ნოემბრის 4 წერილით, 2004 წლის დეკემბრის წერილით, საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე მიმართავდა მოსარჩელე მხარეს და ითხოვდა, მომხდარიყო მისი დაშვება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად. 2004 წლის 30 ნოემბრის წერილის თანახმად, სს "გამონმა" ავტოტრანსფორმატორის გამორთვის ნებართვა მიიღო 2004 წლის 21 ნოემბერს, 13:00 საათზე. მოპასუხემ დაიწყო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები, მაგრამ იმავე დღეს სისტემაში შექმნილი ავარიული სიტუაციის გამო საღამოს 17:30 საათზე დისპეტჩერის მოთხოვნით სს "გამონმა" შეწყვიტა სამუშაოები. ელექტროსისტემის სადისპეტჩერო სამსახურის მიერ გამორთვა გადაიდო გაურკვეველი ვადით. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", სს "გამონსა" და სს "თბილსრესს" შორის 2005 წლის 4 ივნისს გაფორმებულ იქნა #54.06.06-298 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების პრემბულის თანახმად, მხარეთა შორის 2004 წლის 15 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სს "თბილსრესის" 801 მვა, 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ-ს" რეკონსტრუქცია, რისთვისაც საჭირო იყო ავტოტრანსფორმატორის გამორთვა, გამორთვაზე ნებართვა უნდა გაეცა შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სადისპეტჩერო სამსახურს. 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში ენერგოსისტემაში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო სადისპეტჩერო სამსახურმა ნებართვა ვერ გასცა და სს "გამონი" სამუშაოებზე დაშვებული ვერ იქნა. აღნიშნულის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ შესრულდა. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ 2005 წლის ივნისიდან 5 ივლისამდე შესაბამისის განკარგულების გაცემა, რომელშიც აისახებოდა სს "თბილსრესის" უფლება დროებით გაეთიშა ავტოტრანსფორმატორი "4ატ", შეკეთება-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასრულებლად. ამავე ხელშეკრულების მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" კისრულობდა ვალდებულებას, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, სს "თბილსრესსა" და სს "გამონს" შორის 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, გაეცა შესაბამისი განკარგულება 2005 წლის 5 ივნისიდან 5 ივლისამდე ავტოტრანსფორმატორის დროებითი გათიშვის შესახებ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ენერგეტიკის სამინისტრომ იკისრა ვალდებულება სს "თბილსრესის" მიერ ავტოტრანსფორმატორის დროებით გათიშვის პროცესში, 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამონისთვის გადაეხადა 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სს "გამონი" კისრულობდა ვალდებულებას აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგად სს "თბილსრესის" ავტოტრანსფორმატორის გამორთვის პერიოდში ჯეროვნად შეესრულებინა 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ამდენად, სს "გამონი" კისრულობდა ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯეროვანი შესრულების შესახებ, მხოლოდ მას შემდეგ რაც ენერგოსისტემა გამორთავდა ტრანსფორმატორს. 2005 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების შემდეგ გაფორმდა გეგმა-გრაფიკი, რომლიც დამტკიცებულ იქნა 2005 წლის 7 ივნისს.

საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად სცნო, რომ მხარეებს შორის 2005 წლის 11 ივლისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #33.04-22 ხელშეკრულების დამატება, რომლის პრემბულის თანახმად, 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დროს გამოვლენილი დამატებითი დეფექტებიდან გამომდინარე, შემსყიდველის მიერ წარმოებული მოლაპარაკების საფუძველზე, სს "თბილსრესის" 4ატ 801 მვა 500/220 ავტოტრანსფორმატორის "ა" და "ც" ფაზების რეკონსტრუქციის სამუშაოებზე მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება 116 329 ლარის სამუშაოს შესრულებაზე. ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2005 წლის 15 სექტემბერი. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 30 აგვისტო, ამდენად, სს "გამონს" სამუშაოს შესრულება უნდა განეხორციელებინა წინსწრებით. 2005 წლის 3 აგვისტოს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი "თბილსრესის" ავტოტრანსფორმატორის "ა" და "ც" ფაზების შეკეთება-რეკონსტრუქციისათვის შესრულებულ სამუშაოებზე. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის დასკვნის შესაბამისად, შემსყიდველი და დამკვეთი შესრულებულ სამუშაოებს აძლევდნენ დადებით შეფასებას და მიმწოდებლის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა, ავტოტრანსფორმატორი შეიძლება შეყვანილიყო ექსპლუატაციაში. ამავე დღეს შედგენილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი "ა" და "ც" ფაზების შეკეთების პროცესში "4ატ-სა" და "4ატ-ს" 500კვ და 220 კვ უჯრედებში არსე-

ბული დეფექტების აქტი, რომლის საფუძველზე შედგა დამატებითი სამუშაოების მოცულობის აქტის მიხედვით შესრულებულ სამუშაოებზე. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილ იქნა დამატებითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე. აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული იყო, რომ ვინაიდან "4ატ-ს" "22ბ", "23ბ" უჯრედების საჰაერო ამომრთველების შეკეთება, რომელიც გათვალისწინებული იყო დამატებითი მოცულობის აქტით, მოითხოვდა ხანგრძლივ დროს და შეუძლებელი იყო გამორთვის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, ეს სამუშაოები შესაძლებელი იყო, შესრულებულიყო ავტოტრანსფორმატორის ჩართვის შემდეგ, ვინაიდან მას არ სჭირდებოდა "4ატ-ს" გამორთვა და ეს სამუშაოები შესრულებული იქნებოდა სს "გამონის" მიერ ავტოტრანსფორმატორის ექსპლოატაციაში შეყვანის შემდეგ. 2006 წლის 27 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად სცნო, რომ დამკვეთის მხრიდან დაშვებულ იქნა "შემსრულებელი" "23ბ" უჯრედის საჰაერო ამომრთველის კაპიტალური შეკეთების ჩასატარებლად 2005 წლის აგვისტოს თვეში. მის მიერ შესრულებულ იქნა აღნიშნული სამუშაოები "დამკვეთის" მხრიდან დამტკიცებული გეგმა-გრაფიკისა და დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე 2005 წლის 5 სექტემბრამდე. ანუ "23ბ"-ს საჰაერო ამომრთველის შეკეთება დაიწყო 2005 წლის 25 აგვისტოს და დამთავრდა 2005 წლის 7 სექტემბერს, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებად სასამართლომ მიიჩნია ასევე საქმეში წარმოდგენილი სს "თბილსრესის" ელექტრონული მოწყობილობების რემონტების აღრიცხვის ჟურნალიდან ამონაწერი, რომლის თანახმად, ჟურნალში ჩანაწერი განხორციელებულია 2005 წლის 24 სექტემბერს.

საქმეში წარმოდგენილი სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველის თ. ბოლქვაძის 2006 წლის 9 თებერვლის #2/39 წერილში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მიმართ, მითითებული იყო 2005 წლის 11 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული "22ბ" და "23ბ" საჰაერო ამომრთველების შეკეთების თაობაზე. "23ბ" ამომრთველის შეკეთება ჩატარებული იყო და ის ექსპლოატაციაში ჩაირთო 2005 წლის 28 დეკემბერს, ხოლო "22ბ" უჯრედის საჰაერო ამომრთველის შეკეთება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მისი შეკეთებაში გამოყვანით მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ელექტრო სისტემის მუშაობის იმედიანობა, ელექტროსისტემის არამდგრადი მდგომარეობის გამო. ამიტომ გაკოტრების მმართველი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დროებით შეჩერებას მანამ, სანამ შეიქმნებოდა მისი შეკეთების პირობები. საქმეში წარმოდგენილი წერილებით დასტურდებოდა, რომ მოპასუხემ არაერთხელ, კერძოდ, 2006 წლის 23 და 27 თებერვალს მიმართა მოსარჩელეს და სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის არსებული 2004 წლის 15 სექტემბრის #33.04-22 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავის გადასაწყვეტად გამოყენებულ უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სს "გამონის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად დამკვეთი ვალდებული იყო, მოეხდინა მისი სამუშაოზე დაშვება, მოცემულ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო ტრანსფორმატორის გამორთვა, რის შემდგომაც შესაძლებელი იქნებოდა მოპასუხის მიერ სამუშაოს შესრულება. ამავე კოდექსის მე-400 და 401-ე მუხლებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოვალე პასუხს არ აგებდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის თუ ვადის გადაცილება არ იყო გამოწვეული მისი ბრალით. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად ადასტურებდა იმას, რომ 2004 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემსყიდველს), სს "თბილსრესისა" (დამკვეთს) და სს "გამონს" (მიმწოდებელს) შორის გაფორმებული #33.04-22 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესაბამისად, სს "თბილსრესის" 510მვა, 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ-ს" 2 ფაზის კაპიტალური შეკეთება-რეკონსტრუქციის სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევა არანაირად არ იყო გამოწვეული სს "გამონის" ბრალეული ქმედებით, პირიქით ხელშეკრულების შესაბამისად, დამკვეთი იყო ვალდებული მოეხდინა სს "გამონის" სამუშაოზე დაშვება.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ამ გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ - საქართველოს ენერგეტიკის სა-

მინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე განხილულ იქნა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე. ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი განმარტავს, რომ არასწორია სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება მხარეებს შორის 2004 წლის 4 ივნისს შედგენილი შეთანხმების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნულ შეთანხმებაში არ იყო განსაზღვრული თავდაპირველი ხელშეკრულების შესრულების რაიმე სხვა ვადა. ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა არ შეცვლილა, ვადაგადაცილებისათვის მხარე ვალდებულია, გადაიხადოს სანქცია-საურავი 2004 წლის 31 დეკემბრიდან 2005 წლის 5 აგვისტომდე. კასატორი ასევე მიუთითებს 2005 წლის 7 ივნისს დამტკიცებულ გეგმა-გრაფიკზე, რომელიც შედგენილია სს "გამონისა" და სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ და მასზე სამინისტროს წარმომადგენლის ხელმოწერა არ ფიქსირდება. ამდენად, აღნიშნული გეგმა-გრაფიკი კასატორს მიაჩნია არასრულფასოვან დოკუმენტად.

კასატორი თვლის, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება "22ბ" საჭაერო ამომრთველის შეკეთების სამუშაოს შესრულების შეუძლებლობაზე და მიუთითა სს "თბილსრესის" 2006 წლის 9 თებერვლის წერილზე. სამუშაოების შესრულებით ელექტროსისტემის იმედიანობისა და მდგრადობის შემცირება, არ გულისხმობდა მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შეუსრულებლობას, ვინაიდან არ გაფორმებულა არანაირი შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტისა და შემსრულებლის მიერ სამუშაოების შეწყვეტის თაობაზე. ასევე არ არსებობდა სხვა რაიმე დოკუმენტი, რაც მხარეს უფლებას მისცემდა, ადარ შეესრულებია დაკისრებული ვალდებულება. კასატორი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტი ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს სამუშაოების შეუსრულებლობისათვის შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,25%, რის გამოც სს "გამონს" უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო ამ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო მიჩნეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ივლისის განჩინებით ცნობილ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 4 ივნისს გაფორმებული #54.06.06-298 ხელშეკრულებით, რაკი მხარეებს შორის უკვე არსებული 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა არ შეცვლილა, ვადაგადაცილებისათვის სს "გამონი" ვალდებულია, გადაიხადოს სანქცია-საურავი. საქმეში წარმოდგენილი 2004 წლის 15 სექტემბრის #33.04-22 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების ვადა სს "თბილსრესის" 510 მვა, 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ-ს" 2 ფაზის კაპიტალური შეკეთება-რეკონსტრუქციისათვის განსაზღვრული იყო 2004 წლის 31 დეკემბერი. საქმეში წარმოდგენილი წერილების თანახმად, სს "გამონი" მიმართავდა მოსარჩელე მხარეს და ითხოვდა მომხდარიყო მისი დაშვება "4ატ-ს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად.

უდავოა, რომ სს "გამონის" მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (2004 წლის 31 დეკემბერი) ვერ მოხერხდა. მას გააჩნდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, თუ "დამკვეთი" აცნობებდა ობიექტზე შექმნილი საგანგებო სიტუაციის

შესახებ, ემოქმედა "დამკვეთის" მითითებით. 2004 წლის 30 ნოემბრის წერილის თანახმად, ავტოტრანსფორმატორის ელექტროსისტემის სადისპეტჩერო სამსახურიდან გამორთვის ნებართვა მიიღო 2004 წლის 21 ნოემბერს, 13:00 საათზე, მაგრამ იმავე დღეს სისტემაში შექმნილი ავარიული სიტუაციის გამო საღამოს 17:30 საათზე დისპეტჩერის მოთხოვნით სს "გამონმა" შეწყვიტა სამუშაოები, ხოლო ელექტრო სისტემის სადისპეტჩერო სამსახურის მიერ გამორთვა გადაიდო გაურკვეველი ვადით. ამდენად, სს "გამონი" შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მოკლებული იყო შესაძლებლობას "დამკვეთის" მხრიდან დაშვების გარეშე ეწარმოებინა ავტოტრანსფორმატორის შეკეთება. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", სს "გამონსა" და სს "თბილსრესს" შორის 2005 წლის 4 ივნისს გაფორმებული #54.06.06-298 ხელშეკრულებით მხარეებმა დაადასტურეს, რომ მხარეთა შორის 2004 წლის 15 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სს "თბილსრესის" 801 მვა, 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ-ს" რეკონსტრუქციისათვის საჭირო ავტოტრანსფორმატორის გამორთვის ნებართვა ვერ გასცა შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სადისპეტჩერო სამსახურმა, რის გამოც სს "გამონმა" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ შეასრულა. ხელშეკრულების თანახმად, შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" კისრულობდა ვალდებულებას, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, სს "თბილსრესსა" და სს "გამონს" შორის 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, გაეცა შესაბამისი განკარგულება 2005 წლის 5 ივნისიდან 5 ივლისამდე ავტოტრანსფორმატორის დროებით გათიშვის შესახებ. ამდენად, ახალი ხელშეკრულებით, რომელიც დადებულ იქნა 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების შესასრულებლად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვრა 2005 წლის 5 ივლისი.

საკასაციო სასამართლო ზოგადად ადასტურებს სადავო ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის გამოყენების სისწორეს და მიიჩნევს, რომ თავდაპირველი (2004 წლის 15 სექტემბრის) ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაში სს "გამონის" ბრალის არარსებობა დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით და მათ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა შორის 2005 წლის 4 ივნისს გაფორმებული #54.06.06-298 ხელშეკრულება ადასტურებს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას, ამასთან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება სს "გამონის" მხრიდან უშუალოდ იყო დამოკიდებული "დამკვეთის" მიერ დაშვებაზე. ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა ახალი ვადა ვალდებულებების შესასრულებლად.

კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 7 ივნისს შედგენილი გეგმა-გრაფიკი სამუშაოების შესრულების შესახებ დამტკიცებული არ არის სამინისტროს მხრიდან, რაც აღნიშნული დოკუმენტის არასრულფასოვნებას განაპირობებს, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან 2005 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების შემდეგ გაფორმდა გეგმა-გრაფიკი, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2005 წლის 7 ივნისს და სს "თბილსრესის" ავტოტრანსფორმატორის 801 მვა 500/220 კვ. "ა" და "ც" ფაზების რეკონსტრუქციის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2005 წლის 3 ივლისს, რის შემდეგაც მოხდებოდა 72 საათიანი დაკვირვება ავტოტრანსფორმატორის მუშაობაზე ტვირთის ქვეშ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ 2005 წლის 4 ივნისს ხელშეკრულების დადებისას გამოხატა ნება სამუშაოების შესასრულებლად ახალი ვადის განსაზღვრისათვის. რაც შეეხება გეგმა-გრაფიკს, მასში გაწერილ იქნა შესასრულებელი სამუშაოს დრო და შეთანხმებულ იქნა ხელშეკრულების მონაწილე იმ პირთა მიერ, რომელთაც უშუალოდ მონაწილეობა უნდა მიეღოთ ავტოტრანსფორმატორის შეკეთებისას სამუშაოების შესრულებასა და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. სამინისტროს მხრიდან აღნიშნული დოკუმენტის შეუთანხმებლობა მის არასრულფასოვნებას ვერ განაპირობებს, ვინაიდან მხარეთა მიერ გეგმა-გრაფიკის შეთანხმების სხვაგვარი წესი წინასწარ დადგენილი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს 2005 წლის 3 აგვისტოს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე. აღნიშნული აქტით ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაადასტურეს ის გარემოება, რომ სს "გამონმა" 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას გამოვლენილი დეფექტების აღმოსაფხვრელად შეასრულა დამატებითი სამუშაოები. 2005 წლის 3 აგვისტოს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა როგორც 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ასევე გამოვლენილი დეფექტების აღმოსაფხვრელად ჩატარებული დამატებითი სამუშაოები, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ავტოტრანსფორმატორის სრულფასოვანი ექსპლოატაცია. მხარეებს რაიმე პრეტენზია მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას შესრულებული სამუშაოების მიმართ არათუ არ გამოუთქვამთ, არამედ დამტკიცდა დამატებითი სამუშაოების მოცულობა 2005 წლის 7 ივლისის გეგმა-გრაფიკით, ხოლო 2005 წლის 11 ივლისის დამატებით 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებაზე მხარეებ-

მა იკისრეს ვალდებულებები გამოვლენილი დეფექტების აღმოსაფხვრელად. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ სამუშაოების 2005 წლის 3 აგვისტომდე გაგრძელება გამოწვეული იყო "მიმწოდებლის" ბრალით, არამედ დადგენილია, რომ ავტოტრანსფორმატორის ფუნქციონირებისათვის ჩატარებულ იქნა რიგი დამატებითი სამუშაოები, რაც რასაკვირველია, საჭიროებდა დამატებით დროს.

მხარეებს შორის 2005 წლის 11 ივლისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #33.04-22 ხელშეკრულების დამატება, რომლის პრემბულის თანახმად, 2004 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დროს გამოვლენილი დამატებითი დეფექტებიდან გამომდინარე, შემსყიდველის მიერ წარმოებული მოლაპარაკების საფუძველზე, სს "თბილსრესის" 4ატ 801 მვა 500/220 ავტოტრანსფორმატორის "ა" და "ც" ფაზების რეკონსტრუქციის სამუშაოებზე მიიღო "მიმწოდებლისაგან" წინადადება 116 329 ლარის სამუშაოს შესრულებაზე. ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2005 წლის 15 სექტემბერი. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 30 აგვისტო, ამდენად სს "გამონს" სამუშაოს შესრულება უნდა განეხორციელებინა წინსწრებით. 2006 წლის 27 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ "23ბ" უჯრედის საჰაერო ამომრთველის კაპიტალური შეკეთება დამთავრდა 2005 წლის 7 სექტემბერს, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულს ასევე ადასტურებს სს "თბილსრესის" ელექტრონული მოწყობილობების რემონტების აღრიცხვის ჟურნალიდან ამონაწერი, სადაც ჩანაწერი განხორციელებულია 2005 წლის 24 სექტემბერს. საქმეში წარმოდგენილი სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველის თ. ბოლქვაძის 2006 წლის 9 თებერვლის #2/39 წერილით დგინდება, რომ "23ბ" ამომრთველის შეკეთება ჩატარებული იყო და ის ექსპლოატაციაში ჩაირთო 2005 წლის 28 დეკემბერს, ხოლო "22ბ" უჯრედის საჰაერო ამომრთველის შეკეთება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მისი შეკეთებაში გამოყვანილ მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ელექტრო სისტემის მუშაობის იმედიანობა, ელექტრო სისტემის არამდგრადი მდგომარეობის გამო. ამიტომ სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დროებით შეჩერებას მანამ, სანამ შეიქმნებოდა მისი შეკეთების პირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებაზე. აღნიშნულ დავაზე სს "გამონის" სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების - 15 000 ლარის დაკისრების თაობაზე მიჩნეულ იქნა საფუძვლიანად და მოპასუხეს - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დაეკისრა აღნიშნული თანხის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ამდენად, დღეისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ სს "გამონის" მიერ მხარეებს შორის 2005 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულდა სს "თბილსრესის" 4ატ 801 მვა 500/220 ავტოტრანსფორმატორის "4ატ" 220 კვ "23ბ" უჯრედში საჰაერო ამომრთველის ტიპი - 220/15 კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შორის არ გაფორმებულა არანაირი შეთანხმება სამუშაოების შეწყვეტის თაობაზე, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობა ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას განაპირობებდა, უსაფუძვლოა. საქმეში წარმოდგენილი წერილებით ენერგეტიკის სამინისტროსა და სს "თბილსრესისადმი" დასტურდება, რომ სს "გამონის" დაშვება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხდა "22ბ" უჯრედის საჰაერო ამომრთველის შესაკეთებლად. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის გარემოებები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები. სარჩელის ამ მოთხოვნის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის გამოყენება, საკასაციო პალატას მართებულად მიაჩნია და თვლის, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლებით გათვალისწინებული, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო

პრეტენზია. შესაბამისად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება მიღებულია კანონის შესაბამისად და არ არსებობს მისი გაუქმების, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 410-ე და 257-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პირგასამტეხლო

შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე

განჩინება

#ბს-302-285(კ-07) 31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 11 ოქტომბერს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" დირექტორმა გ. კ-აკმა მოპასუხეების - საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელშეკრულებო დავალიანების - 16206.80 ლარის, ასევე, ყოველი დაგვიანებული კვირისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და წარმომადგენლის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, მოითხოვა საქართველოს პარლამენტისათვის ძირითადი თანხის სახით 16206.80 ლარის, აგრეთვე, 2004 წლის 21 ივნისიდან ხელშეკრულების მთლიანი ფასის - 98376 ლარის 0.5%-ის დაკისრება ყოველ დაგვიანებულ კვირაზე დავალიანების გადახდის მომენტამდე. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენელმა უარი განაცხადა მისი მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლობითი დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე.

მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა შემდეგზე:

საქართველოს პარლამენტმა 2003 წელს საკანცელარიო საქონლის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტასთან" გააფორმა საკანცელარიო საქონლის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის 15 მაისიდან 17 დეკემბრის ჩათვლით ეტაპობრივად მიიღო მოსარჩელისაგან 35600.80 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი. აღნიშნული დავალიანებიდან საქართველოს პარლამენტს 2004 წლის 9 ივნისის მდგომარეობით გადახდილი ჰქონდა მხოლოდ 19394 ლარი. დარჩენილი დავალიანება შეადგენდა 16206.80 ლარს. მითითებული დავალიანების მიღების თხოვნით მოსარჩელემ არაერთგზის მიმართა მოპასუხეს, თუმცა ამის მიუხედავად დავალიანება დღემდე არ გადაუხდიათ. გასათვალისწინებელი იყო, რომ სადავო თანხა შედგენდა მოსარჩელის საწარმოს

საბრუნავი თანხის 20%-ს და მისი ბრუნვიდან ამოღება მოსარჩელეს მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა.

საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25 იანვრის საოქმო განჩინებით მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

მოპასუხე საქართველოს პარლამენტმა მის მიერ წარმოდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ ინდემწარმე "გ. კ-აკი-ვესტას" სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რამდენადაც მის მიმართ საქართველოს პარლამენტს გააჩნდა დავალიანება 16206.80 ლარის ოდენობით. აღნიშნული დასტურდებოდა 2004 წლის 7 ოქტომბრის ურთიერთანგარიშგების შედარების აქტით. ამ აქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტი იღებდა ვალდებულებას, გადაეხადა მითითებული დავალიანება.

რაც შეეხებოდა პირგასამტეხლოს მოთხოვნას, ამ ნაწილში საქართველოს პარლამენტი მოსარჩელეს არ დაეთანხმა და მიუთითა, რომ აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, შედარების აქტი არ შეიცავდა მითითებას პროცენტებზე, საურავსა და ზარალზე. ვალის დროული გადაუხდელობა გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი მიმე ეკონომიკური მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობით. ამის შედეგად საქართველოს პარლამენტმა ვერ მიიღო საკმარისი და საჭირო დაფინანსება, რათა შეესრულებინა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" მიმართ არსებული დავალიანება გათვალისწინებული იყო საქართველოს პარლამენტის საადრიცხვო ბალანსში და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაფარავდა ვალს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს პარლამენტს გ. კ-აკის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის სახით 16206.8 ლარის, პირგასამტეხლოს სახით 2004 წლის 21 ივნისიდან თანხის გადახდის მომენტისათვის ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის 16206.8 ლარის 0.5%-ის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის ხელშეკრულების მთლიანი ფასის - 98376 ლარის 0.5%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს მოპასუხეზე დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტებს, რომ 2003 წლის 7 მაისს საქართველოს პარლამენტის აპარატსა და ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" შორის დაიდო საკანცელარიო საქონლის შესყიდვის #49/2 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შემსყიდველმა (საქართველოს პარლამენტი) გამოაცხადა ტენდერი საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან (ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტა") სატენდერო წინადადება 98376 ლარის საქონლის მიწოდებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მე-8.2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.5%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების დადების შემდეგ 2003 წლის 17 დეკემბრამდე ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტამ" საქართველოს პარლამენტს მიაწოდა 35600.80 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი. საქართველოს პარლამენტს 2004 წლის 9 ივნისის მდგომარეობით გადახდილი ჰქონდა მხოლოდ 19394 ლარი და მიწოდებული საქონლის ღირებულების ასანაზღაურებლად გადასახდელი ჰქონდა 16206.80 ლარი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება წარმოშობს ხელშემკვერელ მხარეთა შორის ვალდებულებას, 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო 361-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. იმავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება იწვევს მასზე პირგასამტეხლოს დაკისრებას. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლების მოსაზრება, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის ხელშეკრულების ფასის - 98376 ლარის 0.5%, ვინაიდან, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულება დაიდო აღნიშნულ თანხაზე, მოსარჩელემ მოპასუხეს რეალურად მიაწოდა 35600.80 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი. აქედან გამომდინარე, გ. კ-აკის სარჩელი ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო და საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებოდა 16206.80 ლარის გადახდა. მოპასუხეს ასევე უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლოს სახით 2004 წლის 21 ივნისიდან თანხის გადახდის მომენტამდე ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის გადაუხდელი თანხის - 16206.8 ლარის 0.5%-ის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტი არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების მთლიანი ფასის 98376 ლარის 0.5%-ის ოდენობის პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ, რამდენადაც მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების ფასის 0.5%-ის ოდენობით. ამდენად, საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მითითებულ ნაწილში უსაფუძვლო იყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

საქართველოს პარლამენტს მოსარჩელის მიმართ გააჩნდა დავალიანება 16206.80 ლარის ოდენობით. აღნიშნული დასტურდებოდა 2004 წლის 7 ოქტომბრის ურთიერთანგარიშგების შედარების აქტით. ამ აქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტი იღებდა ვალდებულებას გადაეხადა მითითებული დავალიანება.

რაც შეეხებოდა საურავებისა და პროცენტების მოთხოვნას, აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, შედარების აქტი არ შეიცავდა მითითებას პროცენტებზე, საურავებსა და ზარალზე. ვალის დროული გადაუხდელობა გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობით. ამის შედეგად საქართველოს პარლამენტმა ვედარ მიიღო საკმარისი და საჭირო დაფინანსება, რათა შეესრულებინა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" მიმართ არსებული დავალიანება გათვალისწინებული იყო საქართველოს პარლამენტის საადრიცხო ბალანსში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდებოდა ვალის დაფარვა.

აპელანტის თქმით, ხელშეკრულების პირობები დაირღვა მოსარჩელის მხრიდანაც, თუმცა სასამართლომ მისი არგუმენტები არ გაითვალისწინა და ინდემწარმე გ. კ-აკს არ დააკისრა ხელშეკრულების 3.3 და 8.1 პუნქტების დარღვევისათვის ამავე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული საურავი, რაც მოსარჩელესთან მიმართებაში არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა საქართველოს პარლამენტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 იანვრის განჩინებით ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტასა" და საქართველოს პარლამენტის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" და საქართველოს პარლამენტის სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი არ ეთანხმება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც საქართველოს პარლამენტს დაეკისრა პროცენტებისა და საურავების გადახდა, ვინაიდან საქმეში არსებობს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ურთიერთანგარიშგების შედარების აქტები, რომლითაც დაფიქსირდა საქართველოს პარლამენტის ვალი 16206.80 ლარი. აღნიშნული აქტებით მოხდა ურთიერთვალდებულებების რევიზია, გადამოწმება აქტებში მითითებული დროისთვის, ხოლო პროცენტებსა და საურავებზე, რომელიც ასევე ზოგადად ვალს წარმოადგენს, შედარების აქტებში არაფერია ნათქვამი. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები აუცილებლად დააფიქსირებდნენ საურავებისა და პროცენტების ოდენობასაც, რაც არ მომხდარა და რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

კასატორის თქმით, ხელშეკრულების პირობები დაარღვია მოსარჩელემაც, თუმცა სასამართლომ მისი არგუმენტები არ გაითვალისწინა და ინდემწარმე გ. კ-აკს არ დააკისრა ხელშეკრულების 3.3 და 8.1 პუნქტების დარღვევისათვის ამავე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული საურავები, რაც მას მოსარჩელესთან მიმართებაში არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 იანვრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტსა და ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" შორის დადებული საკანცელარიო ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას და მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია სწორედ სამოქალაქო-სამართლებრივი და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების შესრულება. აღნიშნული ხელშეკრულება არ არის დადებული საქართველოს პარლამენტის მიერ მის უშუალო კომპეტენციას მიკუთვნებული საჯარო უფლებამოსილების - საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, არამედ ამ საქმიანობისათვის მხოლოდ დახმარებას ისახავს მიზნად. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება, შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადია, რადგან "საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონით, რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 15 ივლისიდან, ამავე კოდექსს დაემატა IX¹ თავი (გარდამავალი დებულებანი) და მასში შემავალი 35-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებამდე საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. მოცემული სარჩელი აღძრულია 2004 წლის 11 ოქტომბერს, რის გამოც მასზე ვრცელდება ხსენებული 35-ე მუხლის მოთხოვნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2003 წლის 7 მაისს საქართველოს პარლამენტსა (შემსყიდველი) და ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" (მიმწოდებელი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია იძლეოდა წინადადებას 98376 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონლის მიწოდებაზე დღგ-ის ჩათვლით. მხარეთა მიერ ხელშეკრულების მე-8 პუნქტში ჩაიდო სანქცია ხელშეკრულების პირობათა შეუსრულებლობისათვის, კერძოდ: 8.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.5%-ის ოდენობით, ანალოგიური პირგასამტეხლო ეკისრება შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში; 8.3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულება. ამრიგად, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მხარეთა შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება და მხარეები ამავე კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე, მათ შორის, ხელშეკრულებაში პირდაპირ იქნა გათვალისწინებული არა მარტო პირგასამტეხლო (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი), არამედ მისი მაქსიმალური ოდენობაც (სამოქალაქო კოდექსის 418.1 მუხლი), რომლის დაფიქსირების შემთხვევაში მხარეები მზად იყვნენ, შეეწყვიტათ ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ 2003 წლის 17 დეკემბრამდე ინდივიდუალური საწარმო "გ. კ-აკი-ვესტამ" საქართველოს პარლამენტს მიაწოდა 35600.80 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი. საქართველოს პარლამენტს 2004 წლის 9 ივნისის მდგომარეობით გადახდილი ჰქონდა აღნიშნული საქონლის ღირებულების მხოლოდ ნაწილი - 19394 ლარი, ხოლო ასანაზღაურებელი ჰქონდა 16206.80 ლარი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების ძირითადი თანხის - 16206,8 ლარის დაკისრების ნაწილში კასატორი სადავოდ არ ხდის და იგი მხოლოდ იმ ნაწილში ითხოვს ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რა ნაწილშიც საქართველოს პარლამენტს დაეკისრა პირგასამტეხლოს სა-

ხით 2004 წლის 21 ივნისიდან ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის 16206,8 ლარის 0,5%-ის გადახდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად კასატორის მიერ იმაზე მითითებას, რომ მხარეთა მიერ შედგენილ ურთიერთშედეგების აქტში არაფერია მითითებული პროცენტებსა და საურავებზე. აღნიშნული შედეგების აქტი, სადაც დაფიქსირებულია მხოლოდ დავალიანების ძირითადი თანხა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარეთა შეთანხმებად პირგასამტეხლოს ნაწილში ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე უარის თქმად. ამის თაობაზე შედეგების აქტი არ შეიცავს რაიმე მითითებას. აღნიშნული აქტის არსებობა არ ართმევს უფლებას ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას", მოითხოვოს პირგასამტეხლოს თაობაზე ხელშეკრულების 8.2 პუნქტის შესრულება, შედეგების აქტის არსებობა არ აცლის საფუძველს აღნიშნულ სახელშეკრულებო შეთანხმებას.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად ასევე ვერ მიიჩნევს კასატორის მიერ იმაზე მითითებას, რომ მომწოდებლის მიერ, თავის მხრივ, აგრეთვე დარღვეულია ხელშეკრულების პირობები. აღნიშნული მოცემულ შემთხვევაში გავლენას ვერ ახდენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას ითხოვს მისი წილი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რაც უდავოდ დადგენილია. თავის მხრივ, მოპასუხეს არ უსარგებლია ხელშეკრულების 8.2 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, არ მოუთხოვია მოსარჩელის წილი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება და მოთხოვნათა გაქვითვა, აღნიშნულის თაობაზე შეგებებული სარჩელი არ წარუდგენია. მან მიმწოდებლის დაგვიანებული შესრულება მიიღო და არსად დაუფიქსირებია შემხვედრი მოთხოვნა ინდივიდუალურ საწარმო "გ. კ-აკი-ვესტას" მიმართ. შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საურავის და პირგასამტეხლოს დაკისრება

განჩინება

#ბს-1628-1582(კ-08) 17 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "... " 2004 წლის სექტემბერში სარჩელით მიმართა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატის მიმართ და მოითხოვა საქართვე-

ლოს კონტროლის პალატისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით შპს "... " სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - მოპასუხე საქართველოს კონტროლის პალატას დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 9676,90 ლარისა და საურავის - 342 ლარის გადახდა შპს "... " სასარგებლოდ; შპს "... " უარი ეთქვა საგადასახადო ინსპექციაში გადახდილი თანხით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე 5170,74 ლარის ოდენობით უსაფუძვლოდ გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საქართველოს კონტროლის პალატასა და შპს "... " შორის 2003 წლის 24 აპრილს გაფორმდა #23 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს "... " უნდა მიეწოდებინა კონტროლის პალატისათვის კომპიუტერული ტექნიკის მარაგნაწილები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 24.982.32 ლარს. ხელშეკრულება მოქმედებდა 2003 წლის 31 დეკემბრამდე.

პირველის ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 10.2 პუნქტის შესაბამისად, ერთ-ერთ ფორსმაჟორულ გარემოებად მიჩნეული უნდა იქნეს საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება; სასამართლომ მიუთითა, რომ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზღავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ; სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნულ გარემოებას მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ასევე ის გარემოება, რომ შპს "... " მიერ 2003 წლის 5 მაისის #207896 სასაქონლო ზედნადების თანახმად, მიწოდებულ იქნა 7178 ლარის 28 დასახელების საქონელი, რომელიც კონტროლის პალატაშია შეტანილი 2003 წლის 1 ივლისს; 2003 წლის 4 ივლისის #217935 სასაქონლო ზედნადების შესაბამისად, მიწოდებულია 8995 ლარის 42 დასახელების საქონელი, რომელიც კონტროლის პალატაში შევიდა 2003 წლის 30 ივლისს, ხოლო 2003 წლის 1 დეკემბრის #257037 სასაქონლო ზედნადების თანახმად კი, მიწოდებულია 8995 ლარის ღირებულების 33 დასახელების საქონელი. სასამართლოს მოსაზრებით, 2003 წლის 24/04 ხელშეკრულებისა და კომპიუტერული ტექ. მარაგნაწილების ნუსხის ჩამონათვალი, რომელზედაც ხელი მოწერილი აქვს საქართველოს კონტროლის პალატის უფროსს გ. ხ-მეს, ადასტურებს, რომ მოპასუხემ 14982 ლარის ღირებულების ნივთები მიიღო, ხოლო 2004 წლის 1 იანვრის ანგარიშის ბარათით #141053 სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ მოპასუხის დავალიანება შეადგენს 11 676 ლარს, რომლიდანაც მას გადახდილი აქვს 2100 ლარი, დღეისათვის კი დავალიანება შეადგენს 9576 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, ასევე ამავე კოდექსის 394-ე მუხლი, რომლის შესაბამისად ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებანი და ვერ იქნა დასაბუთებული გარემოებანი, რომელიც დამტკიცებდა, რომ მის მიერ საგადასახადო ინსპექციაში გადახდილი თანხა - 5170,74 ლარი, გამოწვეული იყო მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, რის გამოც მოპასუხეს მიადგა ზიანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "... " სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "... " სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს კონტროლის პალატას შპს "... " სასარგებლოდ დაეკისრა 9574 ლარის და საურავის 342 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მიუთითა, რომ შპს "... " ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ საგადასახადო ინსპექციის მიერ მისთვის საურავის სახით 5170,74 ლარის დაკისრება გამოწვეული იყო სწორედ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო. ამ საფუძვლით შპს "... " სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ ჯეროვნად ვერ დაასაბუთა, თუ კონკრეტულად რატომ უნდა დაკისრებოდა 9676,90 ლარი საქართველოს კონტროლის პალატას შპს "... " სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საქართველოს კონტროლის პალატას შპს "... " მიმართ გააჩნია დავალიანება 8452 ლარის ოდენო-

ბით, ასევე დადგენილია და საქართველოს კონტროლის პალატაც სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ შპს "... " მიმართ გააჩნია დავალიანება 722 ლარის ოდენობით. სასამართლომ ასევე დადასტურებულად ჩათვალა, რომ შპს "... " 400 ლარის მომსახურება გაუწია საქართველოს კონტროლის პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ 400 ლარის დავალიანება წარმოიშვა შპს "... " დადებული სხვა ხელშეკრულების და არა 2003 წლის 24 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს კონტროლის პალატას მოსარჩელის სასარგებლოდ საურავის სახით დაეკისრა 342 ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კონტროლის პალატამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

კასატორმა განმარტა, რომ მომწოდებელმა, შპს "... " 2003 წლის 24 აპრილს #23 ხელშეკრულებით ნაკისრი 24982 ლარის საქონლის ნაცვლად კონტროლის პალატას წლის განმავლობაში მიაწოდა 24 447 ლარის საქონელი, ანუ 534 ლარით ნაკლები. კასატორმა აღნიშნა, რომ კონტროლის პალატამ შპს "... " 2003 წლის მაისში გადაურიცხა 7000 ლარი, ხოლო იმავე წლის აგვისტოში 8995 ლარი. მოწოდებული საქონლის - 24447 ლარის ღირებულებიდან გადახდილი იქნა 15995 ლარი, ხოლო დარჩენილი 8452 ლარი ვერ იქნა გადახდილი იმ მიზეზით, რომ კონტროლი პალატა, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია, ვერ იქნა დაფინანსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კონტროლის პალატისათვის 400 ლარის დაკისრება, აღნიშნული თანხა არ გამომდინარეობს სადავო ხელშეკრულებიდან, ხოლო საქმეში წარმოდგენილი 2004 წლის 23 იანვრის #165241 ანგარიშ-ფაქტურა, მისი აზრით, იურიდიული ძალის არმქონეა, ვინაიდან მასზე არ არის კონტროლის პალატის ბეჭედი და იგი პალატის იმჟამინდელი საწყობის გამგის (გ. ბ-ძე) მიერაა ხელმოწერილი, რაზედაც სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იქნა კონტროლის პალატის საფინანსო სამმართველოს ცნობა, რომლის თანახმად #165241 ანგარიშ-ფაქტურა კონტროლის პალატაში არ არის წარმოდგენილი.

კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საჯარიმო სანქციის 342 ლარის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან მიაჩნია, რომ სახეზეა სადავო ხელშეკრულების 10.2 პუნქტით დადგენილი გარემოება, კერძოდ, ფორსმაჟორი, რაც გამოიხატება საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრ შემცირებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება შპს "... " სასარგებლოდ საქართველოს კონტროლის პალატისათვის 400 ლარის და საურავის 342 ლარის დაკისრების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას; ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2003 წლის 24 აპრილს ერთის მხრივ, საქართველოს კონტროლის პალატასა და მეორეს მხრივ, შპს "... " შორის დაიდო #23 ხელშეკრულება; მოცემული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკის მარაგნაწილების მიწოდება, რომლის რაოდენობა, ხარისხი, ასორტიმენტი და სხვა სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები მოცემულია #1 დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება #1 დანართის შესაბამისად შეადგენს 24982.32 ლარს.

შპს "... " სასარჩელო განცხადებით მოითხოვა 2003 წლის 24 აპრილს დადებული კომპიუტერული ტექნიკის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოპასუხისათვის თანხის დაკირება.

საქმეში წარმოდგენილია 2004 წლის 23 იანვრის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა #165241 სერია-34, რომლის მიხედვით გამყიდველის შპს "... " მიერ მყიდველის საქართველოს კონტროლის პალატის სასარგებლოდ ქსეროქსის შეკეთებისთვის მომსახურების ღირებულებაა დღეს-ჩათვლით 400 ლარის ოდენობით. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2005 წლის 19 დეკემბრის #1601/17 ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ 2004 წლის 23 იანვრის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა #165241 საქართველოს კონტროლის პალატის საფინანსო სამმართველოში არ არის წარმოდგენილი.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ 400 ლარის დავალიანება წარმოიშვა შპს "...“ დადებული სხვა ხელშეკრულების და არა 2003 წლის 24 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატამ არ შეაფასა და არ გამოიკვლია მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, შპს "...“ მიერ ქსეროქსის შეკეთება წარმოადგენდა თუ არა ზემოხსენებულ 2003 წლის 24 აპრილის #23 ხელშეკრულების საგანს. საყურადღებოა ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის სხდომაზე საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენელს დაევალა მხარეთა შორის 400 ლართან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების წარმოდგენა; იმავე სასამართლოს 2008 წლის 27 თებერვლის სხდომაზე კი კონტროლის პალატის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხსენებული ხელშეკრულების წარმოდგენა ვერ შეძლო იმის გამო, რომ იგი საქართველოს კონტროლის პალატის სხვა მასალებთან ერთად პროკურატურაშია.

საკასაციო სასამართლო თვლის, სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების დროულად გადაუხდელობისათვის საურავის გადახდა; მაგრამ საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონტროლის პალატისათვის საურავის სახით 342 ლარის გადახდის დაკისრება, რადგან ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მეორე პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიწოდებული საქონლის ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ერიცხება საურავი 0,01 %-ის ოდენობით გადასახდელი თანხიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 400 ლარის გადახდის ვალდებულების დაკისრების საფუძველიანობის შემოწმების შემდეგ უნდა განსაზღვროს პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის ოდენობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება მოპასუხისათვის 400 ლარის და საურავის სახით 342 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს კონტროლის პალატას შპს "...“ სასარგებლოდ დაეკისრა 400 ლარის და საურავის სახით 342 ლარის გადახდა და ამ ნაწილებში მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 29 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დ. ქ-ავას მიმართ და მოითხოვა მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შემდეგი თანხების გადახდის დაკისრება: ჯარიმის - 14000 ლარის, სანივთე დავალიანების - 391,42 ლარის, ზიანის - 10345,84 ლარისა და პირგასამტეხლოს - 2007 წლის 17 იანვრიდან სადავო თანხების გადახდამდე პერიოდისათვის ყოველთვიურად 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით შემდეგი საფუძვლით:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის #593 ბრძანებით დ. ქ-ავა 2005 წლის 15 მარტიდან გაიწვიეს სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის #298 ბრძანებით დ. ქ-ავა დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. დ. ქ-ავა შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იყო სამხედრო მოსამსახურე. სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, "სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები განისაზღვრება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება". სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქვს გამოყოფილი ასიგნები და მათი მიზნობრივად გამოყენება სამინისტროს ვალდებულებაა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას, კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვის განხორციელებისათვის წინასწარ გეგმავს ფულად სახსრებს, იგი ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხა განკარგოს დანიშნულებისამებრ, ანუ უზრუნველყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციული სამხედრო პერსონალით.

მოსარჩელის მოსაზრებით, მხარეებს შორის დადებული კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით სამინისტროს აუნაზღაუროს კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის თანხები.

დ. ქ-ავას სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს ერთ წელსა და 10 თვეს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონტრაქტის 9.3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია სამინისტროს აუნაზღაუროს კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის თანხა - ერთ წლამდე და ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ სამსახურის დარჩენილი ვადის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით, რომელიც დაიანგარიშება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად. მოპასუხის ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 493,68 ლარს. კონტრაქტის 7.3 და 7.4 მუხლებით გათვალისწინებული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადაში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხეს თანხის ანაზღაურება უნდა დაეკისროს კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, 2007 წლის 17 იანვრამდე. კონტრაქტის 7.4 მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს ასევე უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით 2007 წლის 17 იანვრიდან მოთხოვნილი თანხების გადახდამდე. კონტრაქტის 7.1 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების უსაფრთხოებასა და მოვლაზე. იგი მხოლოდ დროებით სარგებლობს მისთვის მინდობილი ქონებით, ხოლო ამ ქონების მესაკუთრე

სამინისტროს. მოპასუხეს კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ არ დაუბრუნებია სანივთე უზრუნველყოფით მიღებული ქონება. შესაბამისად, სანივთე დავალიანება შეადგენს 391,42 ლარს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დ. ქ-ავას მომზადებაზე დახარჯული თანხა შეადგენს 10345,84 ლარს.

თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ ცნო მოპასუხე დ. ქ-ავამ შემდეგი მოტივით:

მოპასუხის მითითებით, მას არ დაურღვევია თავდაცვის სამინისტროსთან 2005 წლის 15 მარტს დადებული კონტრაქტის 9.1.4; 7.3 პუნქტები და არ შეუქმნია კონტრაქტის შეწყვეტის პირობები, არ გააჩნია სანივთე დავალიანება.

მოპასუხის განმარტებით, 2006 წლის აპრილში გამოძახებული იყო განგაშზე, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო დროულად ვერ შესძლო გამოცხადება, რის გამოც დაუქვითეს ხელფასი. 2006 წლის ოქტომბრამდე ღებულობდა 15%-ით დაქვითულ ხელფასს. 2006 წელს დ. ქ-ავას გამოუცხადეს მადლობა და დააწინაურეს, კერძოდ, დაინიშნა ... ბატარეის ... ქვემეხის გათვლის მეთაურად. 2007 წლის 2 იანვარს დ. ქ-ავას მიეცა სამდღიანი შვებულება, მაგრამ ამ უკანასკნელმა ოჯახური პირობების გამო ნაწილში დროულად გამოცხადება ვერ შესძლო, რის შედეგადაც იგი დაითხოვეს.

მოპასუხის მოსაზრებით, სამხედრო ნაწილის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის 2007 წლის 16 იანვრის #06670 დადგენილებით უკანონოდ იქნა დათხოვნილი შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის მოტივით, იგი არ იყო კანონით დადგენილი წესით მიწვეული სამანდატო კომისიის სხდომაზე.

2008 წლის 19 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, კონტრაქტის პირობების შესაბამისად დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით 14000 ლარის, სანივთე დავალიანების - 391,42 ლარის, ზიანის - 10345,84 ლარისა და პირგასამტეხლოს - 14000 ლარის 0,2%-ის გადახდა ყოველდღიურად 2007 წლის 17 იანვრიდან მითითებული თანხების გადახდამდე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დ. ქ-ავას დაეკისრა ზიანის - 10345,84 ლარის, სანივთე დავალიანების - 391,42 ლარის, ჯარიმის - 14000 ლარის გადახდა, ხოლო პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საფუძვლიანად მიიჩნია მოთხოვნა ზიანის, სანივთე დავალიანებისა და ჯარიმის ნაწილში, მაგრამ არ გაიზიარა მოთხოვნა პირგასამტეხლოს ანაზღაურების შესახებ რადგან საქმეში არ მოიპოვებოდა დ. ქ-ავას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის #298 ბრძანების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დ. ქ-ავას არ ჩაბარებია მისი დათხოვნის შესახებ ბრძანება, რადგან კონტრაქტის 7.3 პუნქტი ცალსახად ადგენს კონტრაქტის შეწყვეტიდან 10-დღიან ვადაში ჯარიმის გადახდის ვალდებულებას, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ იწყება პირგასამტეხლოს ვადის დენა, რაც ცნობილი იყო მოპასუხისათვის. საქმეში წარმოდგენილია მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის #2 ოქმი, სადაც გარკვევითაა მითითებული, რომ დ. ქ-ავამ უარი განაცხადა შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის შესახებ მას განემარტა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა კონტრაქტის პირობების დარღვევით დათხოვნას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ - დ. ქ-ავას წარმომადგენელმა და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - დ. ქ-ავას დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველთვიურად 2008 წლის 5 მაისიდან ძირითადი თანხის გადახდამდე, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 15 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და დ. ქ-ავას შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 5 თებერვლის #298 ბრძანებით დ. ქ-ავა დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2007 წლის 16 იანვრიდან.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს განმაცხადება, რომ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება სამხედრო მოსამსახურეს წარმოეშვა იმ შემთხვევაში, როცა მას კანონით დადგენილი წესით ჩაჰპარდება ბრძანების ასლი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ დ. ქ-ავას საერთოდ არ ჩაჰპარებია სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების ასლი, რაც პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლების უპირობო საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა 2008 წლის 29 აპრილს, სარჩელს დართული ჰქონდა თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის #298 ბრძანების ასლი დ. ქ-ავას შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მოპასუხეს გადაეგზავნა სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები, რომლებიც დ. ქ-ავას ჩაჰპარდა 2008 წლის 5 მაისს.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დ. ქ-ავამ დაარღვია მასა და თავდაცვის სამინისტროს შორის 2005 წლის 15 მარტს დადებული ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამსახურის გავლის შესახებ, რის გამოც არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ქ-ავას ასევე ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაც.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტით, 65.2 მუხლით, სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418.2, 419-ე მუხლებით და მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსი უშვებს ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების ერთდროულად არსებობის შესაძლებლობას. ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, არ უკარგავს თავდაცვის სამინისტროს წერილობითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სარჩელით ითხოვდა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველთვიურად ძირითადი თანხის გადახდამდე. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე, 2008 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა პირგასამტეხლოს დაკისრება მოპასუხისათვის 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველდღიურად, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას, რაც სსსკ-ის 83.2 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია საქმის წინასწარი სასამართლოს განხილვისათვის მომზადების შემდეგ მოპასუხის წინასწარი თანხმობის გარეშე. რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე დავის საგნის გაზრდას არ დაეთანხმა მოპასუხე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილება სრულად შემდეგი მოტივით:

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა არა ყოველდღიური, არამედ ყოველთვიური ოდენობით.

კასატორის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ რაიონულ სასამართლოში ჰქონდა სასარჩელო მოთხოვნა დაზუსტებული და ყოველი ვადაგადაცილებული თვის ნაცვლად ითხოვდა პირგასამტეხლოს გადახდას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. ამასთან, კონტრაქტის პირობებით ცალსახად არის განსაზღვრული რა დრომდე უნდა მომხდარიყო საჯარიმო თანხის გადახდა, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ პირგასამტეხლოს ვადის დენის დაწყება. საქმეში წარმოდგენილი მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის #2 ოქმის თანახმად, დ. ქ-ავამ უარი განაცხადა შეიარაღებული ძალების რიგებში საკონტრაქტო სამსახურის გაგრძელებაზე. მას განემარტა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებს კონტრაქტის პირობების დარღვევით დათხოვნას შეიარაღებული ძალებიდან, რაც მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, აღნიშნული ადასტურებს, რომ მოპასუხემ იცოდა, 2007 წლის 16 იანვარს კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც უპირობოდ გახდა ვალდებული, შეესრულებინა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები. დ. ქ-ავას თანხა უნდა გადაეხადა 2007 წლის 17 იანვრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,2%-ის ოდენობით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ - დ. ქ-ავამ იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება და საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად (პროცესუალური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 404.1 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში და მას არა აქვს მინიჭებული საპროცესო კომპეტენცია იმსჯელოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გაუსაჩივრებელ ნაწილში და შეაფასოს მოთხოვნის დაკმაყოფილების მართლზომიერებასა და კანონიერებაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს იმ ნაწილში, რომლითაც დ. ქ-ავას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით არა ყოველდღიურად, არამედ ყოველთვიურად ძირითადი თანხის გადახდამდე. შესაბამისად, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ თავდაცვის სამინისტრომ რაიონულ სასამართლოში დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება მოითხოვა ყოველვადაგადაცვილებულ დღეზე გაანგარიშებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ თავდაცვის სამინისტრო სარჩელით ითხოვდა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველთვიურად ძირითადი თანხის გადახდამდე და მოსარჩელის წარმომადგენელმა მხოლოდ რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე - 2008 წლის 19 სექტემბერს დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა პირგასამტეხლოს ანაზღაურების დაკისრება ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე, რაც სააპელაციო სასამართლომ შეაფასა სასარჩელო მოთხოვნის გაზრდად, რაც დაუშვებელია სსსკ-ის 83.2 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელემ სარჩელის წარდგენის შემდეგ, მაგრამ საქმის წინასწარი განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე, 2008 წლის 19 ივნისის განცხადება წარადგინა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება 14000 ლარის 0,2%-ის ოდენობით ყოველდღიურად 2007 წლის 17 იანვრიდან ძირითადი თანხის გადახდამდე. აღნიშნულის შემდეგ, რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 სექტემბრის განჩინებით საქმე ჩაითვალა მომზადებულად და დაინიშნა მთავარი სხდომა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება მოხდა მთავარ სხდომაზე. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნის გაზრდად და მიუთითა, რომ მოპასუხე მოსარჩელის მიერ დავის საგნის გაზრდას არ დაეთანხმა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონულ სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას ადგილი არ ჰქონია, თუმცა ამგვარი საპროცესო მოქმედების შესახებ არ არის მითითებული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის სხდომის ოქმში. შესაბამისად, გაურკვეველია, რის საფუძველზე მივიდა სააპელაციო სასამართლო ამგვარ დასკვნამდე.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მიერ წარდგენილ განცხადებაში სასარჩელო მოთხოვნის ამგვარი ფორმულირება წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას თუ დაზუსტებას მით უფრო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მხარეებს შორის 2005 წლის 15 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება (კონტრაქტი), კერძოდ, ხელშეკრულების 7.4 მუხლი, რომლითაც პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის პირობებში მისი ანაზღაურება დადგენილია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს განჩინება პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვადის დენის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რადგან მოსარჩელე ითხოვდა პირგასამტეხლოს ანაზღაურებას 2007 წლის 16 იანვრიდან, სამხედრო ნაწილის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის 2007 წლის 16 იანვრის სხდომის ჩატარების თარიღიდან, როდესაც, მოსარჩელის მითითებით, დ. ქ-ავამ უარი განაცხადა შეიარაღებული ძალების რიგებში საკონტრაქტო სამსახურის გაგრძელებაზე და ამ უკანასკნელს განემარტა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა კონტრაქტის პირობების დარღვევით შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნას. ამდენად, მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ ამ დროიდან მოპასუხისათვის ცნობილი იყო კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც იგი უპირობოდ ვალდებული გახდა შეესრულებინა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობაზე დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლებში, რაზეც არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს, ხოლო ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლოს არა აქვს მინიჭებული პროცესუალური უფლებამოსილება თავად მიიღოს მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოიკვლიოს ჩაპბარდა თუ არა კანონით დადგენილი წესით შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ 2007 წლის 5 თებერვლის ბრძანება, რადგან მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობას უკავშირებს კონტრაქტის შეწყვეტის შედეგად ჯარიმის გადახდისათვის განსაზღვრული 10-დღიანი ვადის ამოწურვის შედეგად კონტრაქტით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს როდის წარმოეშვა მოპასუხე დ. ქ-ავას პირგასამტეხლოს გადახდის კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას უნდა იმსჯელოს საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას, რადგან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის მუხედავად, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოტივები შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის შესახებ და სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და მათი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად დაადგინოს ობიექტური გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

განჩინება

#ბს-446-425 (კ-09)

5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2002 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე სს "ჭანდარის" მიმართ და მოითხოვა სს "ჭანდარისათვის" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ 301 181,98 ლარის გადახდის დაკისრება, აუქციონის დანიშვნა და 1999 წლის 28 სექტემბრის #2 საგირავნო და #1 იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების იძულებითი წესით რეალიზაცია.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე სს "ჭანდარს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3510 ლარი; მოსარჩელეს დანარჩენ მოთხოვნებზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სს "ჭანდარმა".

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს "სატრასტო-საინვესტიციო" კორპორაცია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 14 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" დირექტორის შუამდგომლობა და საქმეში სათანადო მოსარჩელედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნაცვლად ჩაება შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაცია"; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სს "ჭანდარის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაცია".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 1 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის განჩინებით სს "ჭანდარის" შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საქმის წარმოება შეწყდა სს "ჭანდარის" სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სს "ჭანდარს" შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სასარგებლოდ დაეკისრა 16859 ლარისა და 7 თეთრის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

"1999 წლის ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 აგვისტოს #1019 განკარგულებით დადგენილი იქნა, რომ პროგრამა "რთველი 99"-ის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საკრედიტო რესურსად გამოყენებულიყო აშშ-დან შემოტანილი ხორბლის რეალიზაციიდან ამონაგები ოთხი მილიონი ლარი. ამონაგები ჩარიცხულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის ანგარიშზე, რათა შემდგომ მიმართულიყო პროგრამა "რთველი 99-ის" სეზონზე ყურძნის შესყიდვა-გადამუშავებისათვის. სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციიდან ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებზე თანხის გაცემა განხორციელებულიყო ტენდერის საფუძველზე საკუთრების ფორმის მიუხედავად. სესხის გაცემა მომხდარიყო ორწლიანი ვადით, წლიური 10 პროცენტის სარგებლის განკვეთით. "სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციას" ტენდერში გამარჯვებულ სესხის ამდებ თითოეულ სუბიექტთან გაეფორმებინა სათანადო ხელშეკრულება სესხის დაბრუნების უზრუნველყოფის ფინანსური გრანტებით (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების გათვალისწინებით). სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 1999 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 აგვისტოს #1019 განკარგულების შესაბამისად, ოთხი მილიონი ლარის საკრედიტო რესურსის მაღალეფექტიანად გამომყენებელი ორგანიზაციების შესარჩევად გამოაცხადა ტენდერი. ამავე სამინისტროს 1999 წლის სექტემბრის #211 ბრძანებით დამტკიცდა ტენდერის შედეგები და კახეთის მხარეში 19 იურიდიულ პირს შორის გამარჯვებულად გამოცხადდა სს "ჭანდარი" (ოთხი ლოტი), "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციას" დაევა ტენდერში გამარჯვებულებთან სასესხო და საგირავნო ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმების ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოფა. "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციასა" და სს "ჭანდარს" შორის 1999 წლის 28 სექტემბერს დადებული იქნა სასესხო ხელშეკრულება #13, რომლითაც ამ უკანასკნელზე გაცემული იქნა კრედიტი 200000 ლარის ოდენობით, კრედიტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 24 თვით, საპროცენტო განაკვეთი - 10% წელიწადში, კრედიტი გაიცა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობიდან (გლეხებიდან) თეთრი ყურძნის შესყიდვის მიზნით. ხელშეკრულების მე-7 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდებოდა კორპორაციის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, მსესხებელი კორპორაციას უხდოდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის 0.5 %; მხარეების მიერ ხელმოწერილი იქნა სესხის დაფარვის გრაფიკი. ამავე დღეს, 1999 წლის 28 სექტემბერს დადებული #13 სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მხარეებს შორის დადებულ იქნა: "ხელშეკრულება იპოთეკის შესახებ" #1 და "საგირავნო ხელშეკრულება" #2. "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციას" და სს "საქართველოს ბანკის" გურჯაანის ფილიალს შორის 1999 წლის 29 სექტემბერს დადებული იქნა ხელშეკრულება, რომლითაც ბანკს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სადეპოზიტო ანგარიშიდან ყურძნის მიმღები ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი, მისი ხელმძღვანელის და მთავარი ბუღალტერის მიერ ხელმოწერილი, მათივე ბეჭდით დამოწმებული, რეესტრის შესაბამისად ყურძნის ჩამბარებელზე უნდა გაეცა მათ მიერ წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისი თანხები. "სახელმწიფოს მიმართ არსებულ სასესხო დავალიანებათა მართვის პრობლემების შემსწავლელი კომისიის" 2001 წლის 20 ივნისის სხდომის, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ოქმის თანახმად, კომისიამ დღის წესრიგის მე-9 საკითხთან (ინფორმაცია პროგრამა "რთველი 99-ით" გაცემული სესხის თაობაზე) დაკავშირებით დაადგინა შემდეგი: "1. პროგრამა "რთველი 99-ით" გაცემული სესხით მოსარგებლე საწარმოებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შევიდეს ცვლილება 2001 წლის 20 ივნისიდან და სასესხო ვალდებულების გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში საურავის განაკვეთი განისაზღვროს გადაუხდელი თანხის 0.1% -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე . . . 4. მსესხებლის მიერ წარმოებული სასესხო დავალიანების გადახდების რიგითობა დადგინდეს იმ პრინციპით, რომ თუ მოვალე შესრულების დროს არ ამორჩევს, რომელ ვალდებულებას ფარავს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა". საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც მარწმუნებელს, და შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციას" შორის 2001 წლის 15 ნოემბერს დაიდო დავალების ხელშეკრულება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის #1019 განკარგულებით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 21 სექტემბრის #211 ბრძანებით დავალებული მოქმედების (ორგანიზება გაუკეთდეს პროგრამა "რთველი 99-ის" საფუძველზე გაცემული სესხის მსესხებლებისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და ვადებში დაბრუნებას) შესრულებისა და ქმედითი ღონისძიებების გატარების მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სესხის დაფარვის გრაფიკის თანახმად, სს "ჭანდარის" მიერ გადახდები უნდა განხორციელებულიყო: 2000 წლის 1 დეკემბერს-23018.96 ლარი, 29 დეკემბერს-51534.25 ლარი, 2001 წლის 29 მარტს-53698.63 ლარი, 29 ივნისს-52465.75

ლარი, 29 სექტემბერს-51232.88 ლარი; ხოლო გადახდები განხორციელდა: 2000 წლის 5 დეკემბერს-18000 ლარი, 15 დეკემბერს-5019 ლარი, 2001 წლის 2 აპრილს-8000 ლარი, 30 მაისს-17000 ლარი, 5 ივნისს-9000 ლარი, 18 ივნისს-3000 ლარი, 11 ივლისს-17000 ლარი, 2003 წლის 22 იანვარს-109350 ლარი, 23 იანვარს-28250 და 21650 ლარი, სულ: 236269 ლარი. როგორც სალარო ორდერებშია მითითებული: თანხის შემტანია სს "ჭანდარი", თანხის მიმღები - "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაცია", ოპერაციის დანიშნულება და საფუძველი: "ძირითადი სესხის დასაფარავად"; სასამართლოს მოსაზრებით, სს "ჭანდარის" მიერ არ ყოფილა დაცული სესხის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრული ვადები, რის გამოც მასზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საურავის დაკისრება მიიჩნია კანონიერად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნებით და-დასტურებულად მიიჩნია, რომ სს "ჭანდარის" სასესხო დავალიანება 2002 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" მიმართ შეადგენდა 278096 ლარს; 2002 წლის 3 სექტემბრის შემდგომ პერიოდში სს "ჭანდარის" მიერ "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სასარგებლოდ გადახდილი თანხების გათვალისწინებით სასესხო დავალიანებაა 1999 წლის 28 სექტემბრის სასესხო ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე (ანუ, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5, შემდგომ, 0.1 %-ის ოდენობის საურავის გათვალისწინებით) - 118846 ლარს; ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის 0.1 %-ის საურავის გათვალისწინებით - 70618.23 ლარს; ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის 0.03%-ის საურავის გათვალისწინებით - 18112.52 ლარს; ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის (ანუ, მხოლოდ ძირითად და არა სესხის პროცენტის ვადაგადაცილებულ თანხაზე) 0.03 % საურავის გათვალისწინებით სასესხო დავალიანება შეადგენს 16859.07 ლარს.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს 16869.07 ლარის ნაწილში; სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი, რომლის შესაბამისად განმარტა, რომ "სახელმწიფოს მიმართ არსებულ სასესხო დავალიანებათა მართვის პრობლემების შემსწავლელი კომისიის" 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით მსესხებლის მიერ წარმოებული სასესხო დავალიანების გადახდების რიგითობა დადგინდა იმ პრინციპით, რომ თუ მოვალე შესრულების დროს არ ამოირჩევს, რომელ ვალდებულებას ფარავს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ სს "ჭანდარმა" აწარმოვა რა "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" ანგარიშზე თანხების გადახდა, ყველა სალაროს შემოსავლის ორდერში ოპერაციის დანიშნულებად და საფუძვლად მითითებულია: "ძირითადი სესხების დასაფარად"; აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შეთხვევაში უფრო მძიმეა ძირითადი თანხის დაფარვა, ვინაიდან იგი მეტია რაოდენობრივად და მის გადაუხდელობას მოჰყვება საურავის გამოყენება. სასამართლომ მიუთითა, რომ მოვალემ თავად აირჩია გადახდის რიგითობა და თანხები გადაიხადა ძირითადი ვალის ანგარიშში, რის გამოც სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხის მიერ გადახდილი თანხები უნდა ჩაითვალოს ძირითადი თანხების, ხოლო შემდეგ სხვა თანხების გადახდად.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 420-ე მუხლები და მიუთითა, რომ ხელშეკრულებით დადგენილი როგორც 0.5, ისე 0.1% წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს და დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე პირგასამტეხლოს 0.03%-მდე შემცირების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი (ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი რედაქცია) და ჩათვალა, რომ 1999 წლის 28 სექტემბრის #13 სასესხო ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ძირითად თანხაზე გათვალისწინებული სარგებლის დათქმულ ვადაში გადაუხდელობაზე მხარეთა მიერ საურავის გამოყენება გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია რომ სარჩელი 1999 წლის 28 სექტემბრის #1 იპოთეკის და 1999 წლის 28 სექტემბრის #2 გირავნობის ხელშეკრულებით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის თაობაზე, რადგან თანხის უდიდესი ნაწილი მოპასუხის მიერ გადახდილია, ამიტომ მოპასუხეს გადასახდელად დააკისრა 16859.07 ლარი, რომლის გადახდაზედაც იგი თანახმაა. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მოსარჩელე არ არის შეზღუდული, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს გადაწყვეტილებით "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე იძულებითი აღსრულებით, იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონებიდან.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს "ჭანდარისათვის" მის სასარგებლოდ 114 576,14 ლარის გადახდის დაკისრება; ასევე 1999 წლის 28 სექტემბრის #1 იპოთეკისა და #2 გირავნობის ხელშეკრულებებით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება პირგასამტეხლოს 0.03%-მდე შემცირების თაობაზე, რადგან 1999 წლის 28 სექტემბრის #13 ხელშეკრულების 7.1 პუნქტის შესაბამისად პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა ვადაგადაცილებული თანხის 0.5%-ის ოდენობით, პირგასამტეხლოს აღნიშნული ოდენობა 2001 წლის 20 ივნისიდან შემცირდა 0.1%-მდე. აქედან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ მოსაზრება სს "ჭანდარისათვის" შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია. კასატორი მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ შპს "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" 2004 წლის 10 ივნისის #22-05-60/60 წერილზე, რომელშიც გაანგარიშებულია სს "ჭანდარზე" რიცხული დავალიანება, მისი აზრით, პირგასამტეხლო გაანგარიშებულია სწორედ 0.5%-ისა და შემდგომ 0.1%-ის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ სასამართლოს მოცემულ შემთხვევაში არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი და არ უნდა შეემცირებინა პირგასამტეხლო 0.03%-მდე.

კასატორის მოსაზრებით, იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნა გამომდინარეობს 1999 წლის 28 სექტემბრის #1 იპოთეკისა და 1999 წლის 28 სექტემბრის #2 გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლიდან, რომლითაც პირდაპირ დადგინდა, რომ 1999 წლის 28 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები შესაძლოა დაკმაყოფილდეს იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციით, რის გამოც კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს უარი 1999 წლის 28 სექტემბრის #1 იპოთეკის და 1999 წლის 28 სექტემბრის #2 გირავნობის ხელშეკრულებით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, კერძოდ სს "ჭანდარისათვის" "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სასარგებლოდ 16859 ლარის და 7 თეთრის გადახდის დაკისრების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციასა" და სს "ჭანდარს" შორის 1999 წლის 28 სექტემბერს დადებული იქნა სასესხო ხელშეკრულება #13, რომლითაც ამ უკანასკნელზე გაცემული იქნა კრედიტი 200000 ლარის ოდენობით, კრედიტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 24 თვით, საპროცენტო განაკვეთი - 10% წელიწადში, კრედიტი გაიცა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობიდან (გლეხებიდან) თეთრი ყურძნის შესყიდვის მიზნით. ამ ხელშეკრულების მე-7 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდებოდა კორპორაციის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, მსესხებელი კორპორაციას უხდოდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის 0.5 %; მხარეების მიერ ხელმოწერილი იქნა სესხის დაფარვის გრაფიკი. ამავე დღეს, 1999 წლის 28 სექტემბერს დადებული #13 სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მხარეებს შორის დადებულ იქნა: #1 "ხელშეკრულება იპოთეკის შესახებ" და #2 "საგირავნო ხელშეკრულება".

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ სს "ჭანდარის" მიერ არ ყოფილა დაცული სესხის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრული ვადები, რის გამოც ჩათვალა, რომ მასზე უნდა გავრცელდეს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებაში მითითებული საურავი ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდის ვადების დარღვევისათვის წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს; ამ ნორმის თანახმად პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო

ზიანს, ხოლო შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო; მაგრამ ამასთანავე საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ უნდა გამოიკვილოს და მიუთითოს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ისე მიიჩნია ხელშეკრულებით განსაზღვრული შემცირებული 0.1% შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ და დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას პირგასამტეხლოს 0.03%-მდე შემცირების თაობაზე, რომ არ დაასაბუთა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე რატომ ჩათვალია 0.1% შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ და რა დაუდო საფუძვლად პირგასამტეხლოს შემცირებას 0,03 %-მდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე1" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, კერძოდ სს "ჭანდარისათვის" "საქართველოს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის" სასარგებლოდ 16859 ლარის და 7 თეთრის გადახდის დაკისრების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სოლიდარული ვალდებულება

სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები

განჩინება

#ბს-1030-994(კ-08) 10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2007 წლის 13 ივლისს ნ. ლ-შვილმა სარჩელი აღძრა ხარაგაულის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების - ხარაგაულის რაიონის გამგეობის, სს "ავტოტრანსის", ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიული ერთეულის, გ. თ-ძისა და რ. შ-შვილის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების დაკისრება 3340 ლარის ოდენობით.

საქმის გარემოებები:

2000 წლის 1 აპრილის საიჯარო ხელშეკრულებით მოსარჩელე ნ. ლ-შვილს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტისაგან იჯარით გადაეცა 6 კვ.მ მიწა, სადაც ჩადაგა ლითონის კონსტრუქციის საცხოვრებელი ვაგონი, რომელსაც იყენებდა სამეწარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული ვაგონის აღებას წლების მანძილზე ითხოვდა სს "ავტოტრანსის" დირექცია იმ საფუძვლით, რომ მიწის ფართი, სადაც განთავსებული იყო ვაგონი, ეკუთვნოდა სს "ავტოტრანსს". რეალურად კი მიწის მესაკუთრეს წარმოადგენდა საქართველოს რკინიგზა. 2005 წლის 19 მაისს სს "ავტოტრანსის" დირექციამ თავისი კუთვნილი "მაზ-ის" ტიპის სატვირთო ავტომანქანით, მოსარჩელისათვის შეტყობინებისა და ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტის გარეშე, გაიტანა ვაგონი ავტოსადგურისა და რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიიდან, რის გამოც დაზიანდა ვაგონი, კერძოდ, დაიმტვრა ხის იატაკი, გაიღო ბოქლომით დაკეტილი კარები და დაიკარგა სახელოსნო იარაღები. ასევე დაიკარგა ფულადი თანხა - 225 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიმართა გამგებელს, რომელმაც აღუთქვა დახმარება ვაგონის შეკეთებაში, რაც მათი მხრიდან არ შესრულებულა. მოსარჩელემ გამგებლის ნებართვით ვაგონი დადგა ძველ ადგილზე, მაგრამ ივნისში მოპასუხეებმა კვლავ შეტყობინებისა და წერილობითი ნებართვის გარეშე გაიტანეს ვაგონი, რის შედეგადაც იგი საბოლოოდ დაზიანდა და დაიკარგა დარჩენილი ხელსაწყოებიც.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

აუდიტორული დასკვნით შეფასებულ იქნა დანგრეული ვაგონისა და მასში არსებული ხელსაწყოების ღირებულება. მისთვის მოპასუხეებისაგან მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1880 ლარი, ამას დამატებული დაკარგული თანხა -225 ლარი და მიუღებელი სარგებელი 2005 წლიდან - 2800 ლარი, სულ - 4905 ლარი.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე, 992-ე, 998-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 4905 ლარის დაკისრება.

მოგვიანებით, მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სოლიდარულად მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება 3340 ლარის ოდენობით.

მოპასუხე - სს "ავტოტრანსის" დირექტორმა ა. მ-ანმა რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ტერიტორია, სადაც განთავსებული იყო მოსარჩელის ვაგონი, არ წარმოადგენდა "საქართველოს რკინიგზის" საკუთრებას. ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1978 წლის 28 ივნისის #27/296 გადაწყვეტილებით, დაბაში ავტოსადგურის მშენებლობისათვის გამოყოფილ იქნა 0,303ა მიწის ნაკვეთი და იგი იმავე დღიდან ირიცხებოდა სს "ავტოტრანსის" ბალანსზე. ამასთან, ვაგონის გატანა მოხდა გამგებლის მიერ შექმნილი კომისიის მიერ, რა დროსაც ვაგონი არ დაზიანებულა და არც იარაღები დაკარგულა, რამდენადაც იგი დაკეტილ მდგომარეობაში ჩაიბარა მოსარჩელის მეუღლემ.

მოპასუხე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ თემურ გოგოლაძემ რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად, რომელი მხარის ბრალით იყო იგი გამოწვეული. აღნიშნული წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. სს "ავტოტრანსის" მიერ მოსარჩელე რამდენჯერმე იქნა გაფრთხილებული, რომ მის საკუთრებაში მყოფი ვაგონი უკანონოდ იდგა სს "ავტოტრანსის" ტერიტორიაზე და იგი უნდა გაეტანა აღნიშნული ტერიტორიიდან, რაც მან არ შეასრულა.

რაიონული სასამართლოს სხდომაზე ასევე არ ცნეს სარჩელი მოპასუხეებმა რ. შ-შვილმა და გ. თ-ძემ, მიუთითეს, რომ ისინი წარმოადგენდნენ არასათანადო მოპასუხეებს სადავო სამართალურ-თიერთობაში.

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ლ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ნ. ლ-შვილს ვაგონის ტიპის ჯიხური განთავსებული ჰქონდა სს "ავტოტრანსის" ტერიტორიაზე, სადაც აწარმოებდა ზამთრისათვის შეშის ღუმელების დამზადებას. ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის შედარების აქტისა და ი/მეწარმის მოწმობის თანახმად, ნ. ლ-შვილი იყო გადასახადის გადამხდელი. მოსარჩელე სხვადასხვა დროს, როგორც წერილობითი ფორმით, ისე ზეპირად, გააფრთხილეს ვაგონის მოსალოდნელი გატანის შესახებ. მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ ა. მ-ანის სიტყვიერი მითითების საფუძველზე მოხდა ვაგონის გატანა სს "ავტოტრანსის" ტერიტორიიდან. აღნიშნული ვაგონის შეკეთებაში ნ. ლ-შვილს დახმარება გაუწია მოპასუხე

სს "ავტოტრანსის" დირექტორმა ა. მ-ანმა, რაც არ უარყვეს მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ, მოწმე ნინო ლ-შვილმაც. ჯიხურში არსებული თუნუქის ფურცლები და იატაკის ფიცრები ვაგონიდან გაიტანა თავად მოსარჩელემ და შეინახა საწყობში.

საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, სს "ავტოტრანსის" გენერალურ დირექტორსა და მოსარჩელე ნ. ლ-შვილს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომ ა. მ-ანი დაეხმარებოდა ნ. ლ-შვილს დანგრეული ვაგონის შეკეთებაში ელექტრო ან გაზშემდღვლებელი აპარატით, უსასყიდლო მომსახურებით, ნ. ლ-შვილის ქონებრივი მდგომარეობისა და ავადმყოფობის გამო. ასევე, იგი თანახმა იყო, ვაგონის დასადგმელად ნ. ლ-შვილთან 6 თვის ვადით, თავის კუთვნილ მიწაზე გაეფორმებინა ოჯარის ხელშეკრულება, თვეში 10 ლარის გადახდით. ხელწერილი შედგენილია 2005 წლის 28 სექტემბერს, მას ხელს აწერენ მხარეები ადვოკატებთან ერთად.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172.2 მუხლი და განმარტა, რომ თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა, თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. მ-ანის ქმედებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი და სწორედ თავისი ბრალეულობის აღსადგენად იკისრა მან ვალდებულება და შეასრულა კიდევ შესაბამის ფარგლებში, რადგან დაზიანების ხარისხი და მოცულობა ხელწერილით არ განსაზღვრულა. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხე ა. მ-ანმა ანაზღაურა მისი ბრალით გამოწვეული ზიანი, ხოლო ვაგონის მეორედ გადატანაში მისი ბრალეულობა არ დადასტურდა.

რაიონული სასამართლოს დასკვნით, სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის მოთხოვნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, რ. შ-შვილისა და გ. თ-ძის მიმართ, რადგან არც ფაქტობრივი გარემოებებით და არც საქმეში არსებული მასალებით არ დადასტურდა მათ მიერ სადავო პერიოდში მოსარჩელის საწინააღმდეგოდ განხორციელებული რაიმე სახის ქმედება (უმოქმედობა), რომელსაც შეეძლო გამოეწვია მისთვის ზიანის მიყენება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-შვილმა და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი, სასამართლომ არსებითად არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, არ გამოარკვია, ვის საკუთრებას წარმოადგენდა ზემოაღნიშნული ვაგონი და ჰქონდათ თუ არა მოპასუხეებს უფლება, ამ ტერიტორიიდან მოსარჩელის გაუფრთხილებლად გაეტანათ ვაგონი, რომელშიც ის ეწეოდა ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორად იყო მითითებული, რომ აღნიშნული მიწა ეკუთვნოდა სს "ავტოტრანსის", რადგან იმ დროისათვის 2003 წლის 8 მაისის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, მას ეკუთვნოდა მხოლოდ 670 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ნ. ლ-შვილის ვაგონი კი არ შედიოდა მითითებულ ტერიტორიაში. მოცემულ გადაწყვეტილებაში ასევე არ იყო მსჯელობა მოსარჩელის მიერ დასახელებულ შრომის იარაღებზე, რომელიც დაიკარგა ვაგონის გატანის დროს. სასამართლომ არ გაარკვია მოხდა თუ არა მეორედ ვაგონის გატანა.

აპელანტის განმარტებით, ყველა მოპასუხე დაინტერესებული იყო მოცემული ვაგონის გატანით და უკანონო მოქმედებით განახორციელეს კიდევ აღნიშნული. ამდენად, მისი აზრით, მიყენებული ზიანისათვის პასუხი უნდა ეგო ყველა მოპასუხეს.

მოწინააღმდეგე მხარის შპს "ავტოტრანსის" წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ ცნო ნ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ნ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

გადასახადის გადამხდელის მოწმობის თანახმად, ი/მ "ნ. ლ-შვილი" იყო გადასახადის გადამხდელი და 1995 წლის 5 ივნისიდან აყვანილი იყო საგადასახადო აღრიცხვაზე. საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 31 აგვისტოს #01/135 წერილით 2005 წლის მაისიდან ნ. ლ-შვილს სამეწარმეო საქმიანობა შეწყვეტილი ჰქონდა. ნ. ლ-შვილს გააჩნდა რკინიგზელების საცხოვრებელი ვაგონი, რომლის წარმოშობის, საკუთრების ან კანონიერი ფლობის თაობაზე რაიმე წერილობითი საბუთი არ ჰქონდა. აღნიშნული ვაგონი მის მიერ გამოყენებოდა კუსტარული წესით გასათბობი ღუმელების დასამზადებლად. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მიწის ვაკისა და საკვლევსადიებო სამუშაოების განყოფილების უფროსის 1998 წლის 21 დეკემბრის #808 წერილში, რომლის ადრესატიც იყო ნ. ლ-შვილი, აღნიშნული იყო, რომ "მოცემული მიწის ნაკვეთი 2343 კმ. იმყოფებოდა რკინიგზის განთავსების ზოლში ". საქმის მასალებით დადგინდა, რომ წლების განმავლობაში სს "ავტოტრანსსა" და ნ. ლ-შვილს შორის მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის ქმედებების განხორციელება ხსენებული ჯიხურის გატანასთან დაკავშირებით. 2005 წლის 28 სექტემბრის ხელწერილით, სს "ავტოტრანსის" გენერალურ დირექტორსა და მოსარჩელე ნ. ლ-შვილს შორის გაფორმდა შეთანხმება შემდეგზე, რომ ა. მ-ანი (გენდირექტორი) დაეხმარებოდა ნ. ლ-შვილს დანგრეული ვაგონის შეკეთებაში ან გაზემდუღებელი აპარატით და მომსახურებით უსასყიდლოდ, ნ. ლ-შვილის ქონებრივი მდგომარეობისა და ავადმყოფობის გამო.

რაც შეეხება ნ. ლურსნამაშვილისთვის მიყენებულ ზიანს და მის ოდენობას, მოცემულ შემთხვევაში, ამ საკითხის გარკვევისათვის აღნიშნული აუდიტორული დასკვნის მონაცემები, საფუძვლად მითითება შეუძლებელი იყო, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ვაგონი, მისი შემადგენელი ნაწილები სს "ავტოტრანსის" მიერ სხვა ადგილზე გადატანის დროისათვის და რას შეადგენდა მისი ღირებულება. შემდგომ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა გადატანისას და რას შეადგენდა მისი ღირებულება, ასევე რა მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი ნ. ლ-შვილის მიერ გადაადგილებისას და რას შეადგენდა მისი ზიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის სამართლებრივი შეფასება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე, 408-ე, 992-ე, 319-ე, 361-ე, 415-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაიონული სასამართლოს მიერ მართებულად იყო გაანალიზებული, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერი იყო, რომლის შეცვლის ან გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ნ. ლ-შვილმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უკანონო და დაუსაბუთებელია. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, მან არ გამოარკვია, ვის საკუთრებას წარმოადგენდა ზემოაღნიშნული ვაგონი და ჰქონდათ თუ არა მოპასუხეებს უფლება, ამ ტერიტორიიდან მოსარჩელის გაუფრთხილებლად გაეტანათ ვაგონი, რომელშიც ის ეწეოდა ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორად იყო მითითებული, რომ აღნიშნული მიწა ეკუთვნოდა სს "ავტოტრანსს", რადგან იმ დროისათვის 2003 წლის 8 მაისის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემებით, მას ეკუთვნოდა მხოლოდ 670 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ნ. ლ-შვილის ვაგონი კი არ შედიოდა მითითებულ ტერიტორიაში. მოცემულ გადაწყვეტილებაში ასევე არ იყო მსჯელობა მოსარჩელის მიერ დასახელებულ შრომის იარაღებზე, რომლებიც დაიკარგა ვაგონის გატანის დროს. სასამართლომ არ გაარკვია, ჰქონდა თუ არა ადგილი ვაგონის მეორედ გატანას და არც თავის გადაწყვეტილებაში არ იხსენიებს მას. კასატორის განმარტებით, ყველა მოპასუხე დაინტერესებული იყო მოცემული ვაგონის გატანით და უკანონო და ძალისმიერი მოქმედებით მიაღწიეს კიდევ თავის მიზანს. ამდენად, მისი აზრით, მიყენებული ზიანისათვის პასუხი უნდა ეგო ყველა მოპასუხეს.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკისრა აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ვინაიდან მას ჰყავს ინვალიდი მეუღლე, აღარ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ესაჭიროება მკურნალობისთვის დიდი თანხები და აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 396-ე მუხლის "ვ" პუნქტი, რადგან მან ჩათვალა, რომ დარღვეული იყო განსჯადობის წესები, კერძოდ, ასკ-ის მე-2 მუხლის "გ" პუნქტი, ამდენად სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეუქმებინა ხარაგაულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილა. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა სსკ-ის 172-ე მუხლი, რადგან ჯერ გასარკვევია ვაგონი ნამდვილად იდგა თუ არა სს "ავტოტრანსის" ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებაში მოწინააღმდეგე მხარემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარებოდა დასაშვებად ცნობას, რამდენადაც სახეზე არ იყო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის "გ" პუნქტის საფუძველზე, ნ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად /პროცესუალური კასაცია/.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით, სასამართლო აქტი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ლ-შვილისა და მისი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ ემყარება მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე მოხდენილ შეფასებებს.

კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხეებისათვის - ხარაგაულის რაიონის გამგეობის, სს "ავტოტრანსის", ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიული ერთეულის, გ. თ-ძისა და რ. შ-შვილისათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების დაკისრება 3340 ლარის ოდენობით. რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ იშუამდგომლა, რომ ის სადავო სამართალურთიერთობაში წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს, რაზეც რაიონულმა სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა, არ განიხილა და შეფასება არ მისცა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 377.1 მუხლის საფუძველზე ამოწმებს, რა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ვალდებული იყო, შეემოწმებინა და ემსჯელა, თუ რამდენად სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა სადავო სამართალურთიერთობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ასევე ყოფილი გამგებელი - რ. შ-შვილი და გ. თ-ძე, რაც არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ყოფილი გამგებელი - რ. შ-შვილი და გ. თ-ძე სადავო სამართალურთიერთობაში სათა-

ნადო მოპასუხეებს, რამდენადაც დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს, კერძო სამართლის იურიდიული პირის და ფიზიკური პირებისათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, მაშინ, როცა საქმის მასალებით არ დასტურდება თუ რა ზიანი მიადგა კონკრეტულად მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ასევე ყოფილი გამგებლის - რ. შ-შვილის მიერ, ანუ არსებობდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოსაგან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი ადგენს განსაკუთრებულ წესს მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, ამასთან, იგი განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, სოლიდარულია ვალდებულება, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შერულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადად მოთხოვნის უფლება, რა დროსაც ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სუბიექტთა სოლიდარული ვალდებულება უმეტესად დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის, როდესაც ურთიერთობის ერთ მხარეზე რამდენიმე მოვალე, ხოლო მეორე მხარეს კრედიტორი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა იმსჯელოს, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად არის სახეზე მოპასუხეებისათვის სოლიდარულად პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები სახეზე.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული, /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/. ზოგადი კოდექსის 207.2. მუხლით კი ცალსახად განისაზღვრა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე შესაძლებელია წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითაც. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, არსებობდა თუ არა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ განხორციელებული მმართველობითი ღონისძიებების მოწესრიგებისას მოსარჩელეზე ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედებას ან უმოქმედობასა და მოსარჩელეზე მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი, რაც აუცილებელი პირობაა ზიანის განსაზღვრისას. შესაბამისად, რამდენად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალურთიერთობაში სათანადო მოპასუხეს, ხოლო იმ ვითარებაში, თუ ამგვარი საქმის განხილვისას არ დადასტურდა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად წარმოადგენს განსჯად სასამართლოს, კერძოდ ექვემდებრება თუ არა საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა გამოარკვიოს, რამდენად წარმოადგენს ყოფილი გამგებელი რ. შ-შვილი, სადავო სამართალურთიერთობაში სათანადო მოპასუხეს, ხოლო იმ პირობებში თუ სასამართლო მიიჩნევს,

რომ მოსარჩელეს ზიანი მიადგა მოპასუხის რ. შ-შვილის, როგორც გამგებლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში განხორციელებული მმართველობითი ღონისძიებათა შედეგად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესის მიხედვით; კანონმდებელი აღნიშნული თავის ნორმებით ადგენს პროცესუალურ სტანდარტს, დავაში სათანადო მოპასუხის განსაზღვრით, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.2 მუხლი/.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლო სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია თუ არა სათანადო მოპასუხის - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებობის მიმართ, შესაბამისი პირობების არარსებობისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და ჩაატაროს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები არასათანადო მოპასუხის დადგენის და სათანადო მოპასუხით შეცვლის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასევე სრულიად გაურკვეველია მოპასუხის გ. თ-ძის სტატუსი სადავო სამართალურთიერთობაში, რამდენადაც საქმის მასალებით არ დგინდება და არც სასამართლოს გამოუკვლევიან, არსებობს თუ არა გ. თ-ძის მიერ დელიქტით მიყენებული ზიანის გამო ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები, რამ განაპირობა მის მიმართ სარჩელის აღძვრა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რასაც შესაბამისი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოთითთებულ საპროცესო მოქმედებების შესრულების შემდეგ, ასევე უნდა იმსჯელოს თუ რამდენად არის სახეზე ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რამდენადაც, სარჩელი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მოპასუხეების (მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ უკანონოდ იქნა გატანილი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ვაგონის ჯიხური, რა დროსაც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, თუმცა საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოპასუხის ადმინისტრაციული ორგანოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებობის მიერ გამოცემულმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტმა, მოქმედებამ ან უმოქმედობამ მიაყენა მოსარჩელეს ზიანი, ხოლო იმ პირობებში, თუ სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების და საპროცესო მოქმედებების შესრულების საფუძველზე დაადგენს, რომ ამგვარს ადგილი არ ჰქონდა, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.5 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე თუ რამდენად არის სახეზე სამართლებრივი ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა.

აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევიან საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ჰპოვეს დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიან საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე მოიპოვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ დაადგინოს გარემოებები, კერძოდ, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ვაგონის გადატანის დროს, ვის საკუთრებას წარმოადგენდა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებული იყო ვაგონი, ასევე შედის თუ არა სს "ავტოტრანსის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში, იმ მიწის ნაკვეთის ფართი, რომელზედაც იყო განთავსებული ვაგონი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მითითებული საპროცესო მოქმედებების შესრულების შედეგად უნდა ჩამოაყალიბოს დასკვნა საქმის სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ კატეგორიას მიკუთვნების თაობაზე, შესაბამისად, უნდა იმსჯელოს სამართალწარმოების სახის განსაზღვრაზე, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუზაფხონოს განსაჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქ-

ნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გამოკვლევის, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების დადგენა, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში ობიექტური გამოკვლევა-შეფასების საფუძველზე დავა გადაწყვიტოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურების შემოწმება

განჩინება

#ბს-782-746 (კ-09) 26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ლ. დ-შვილის მიმართ და მოითხოვა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 4 მაისის #1200 ბრძანებით ლ. დ-შვილი დაინიშნა საქართველოს საარტილერიო დაჯგუფების საარტილერიო ბრიგადის 152 მმ "მსტს" დივიზიონის სერჟანტად, აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა საარტილერიო დაჯგუფების სარდლის 2005 წლის 31 მარტის #420 შუამდგომლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის #2744 ბრძანებით მოპასუხე ლ. დ-შვილი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) თანახმად; აღნიშნული ბრძანების სა-

ფუძველს წარმოადგენდა სარტილერიო დაჯგუფების სარდლის 2005 წლის 3 ოქტომბრის #1161 შუამდგომლობა.

საქმეში წარმოდგენილი იქნა 06670 სამხედრო ნაწილის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის 2006 წლის 28 მარტის #397 ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ ლ. დ-შვილის მიერ ჩადენილი საქციელი ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევით დათხოვნას. ლ. დ-შვილი გაფრთხილებული იქნა მობილური სატელეფონო საშუალების მეშვეობით, სამხედრო ნაწილში გამოცხადების შემდეგ ითხოვა კონტრაქტის შეწყვეტა სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით. იქვე მითითებულია, რომ მას განემარტა, რომ დათხოვნილი იქნებოდა შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის დარღვევით.

სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტში ვერ მოიძებნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. დ-შვილს შორის 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" პუნქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ ლ. დ-შვილს სადავოდ არ გაუხდია არც თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 4 მაისის #1200 ბრძანება კონტრაქტის პირობებით შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვა და არც 2005 წლის 19 ოქტომბრის #2744 ბრძანება კონტრაქტის პირობების დარღვევისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით. კასატორი ყურადღებას ამახვილებს ლ. დ-შვილის მიერ 2005 წლის სექტემბერში #06670 სამხედრო ნაწილის მეთაური სახელზე დაწერილ პატაკზე, რომელშიც იგი ითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას სამინისტროსთან; თავდაცვის მინისტრის სახელზე 2008 წლის 24 სექტემბრის პატაკით კი, რომელშიც მოპასუხე აღიარებს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს და თანახმაა ყოველთვიურად ხელფასიდან დაფაროს სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი თანხები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ მოსარჩელის სამსახურში დანიშვნისა და გათავისუფლების ბრძანებები, მის მიერ დაწერილი სამსახურებრივი პატაკი, სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი არ ადასტურებს მხარეთა შორის იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის სახეები ზიანის ანაზღაურების, პირგასამტეხლოს და ჯარიმის სახით; საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად მიიჩნია დადასტურებულად ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ლ. დ-შვილმა ერთმანეთის მიმართ იკისრეს მხოლოდ ის ვალდებულებები, რაც გათვალისწინებულია "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონებით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად კი თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი; ამ ნორმაში აღნიშნულია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. დ-შვილს შორის ადმინისტრაციული

სახელმწიფო ურთიერთობის არსებობის ფაქტი შეიძლება დადასტურებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული კონტრაქტის საფუძველზე და არა სხვა მტკიცებულებების მეშვეობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ანაბრებზე რიცხული თანხის დაბრუნება

განჩინება

#ბს-735-701(კ-07)

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ლ. ლაზარაშვილი

სარჩელის საგანი: ანაბრებზე შეტანილი თანხების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ოცდათორმეტმა ფიზიკურმა პირმა: მ. ჭ-ელმა, ლ. ჭ-ელმა, ა. ჭ-ელმა, ნ. ჭ-ელმა, ნ. გ-ემ, ი. ყ-ემ, ლ. ჯ-იამ, ლ. ჩ-ანმა, მ. ბ-ემ, მ. ლ-ავამ, ი. ლ-კომ, ზ. გ-შვილმა, ნ. ჭ-ემ, ვ. ჯ-ემ, ნ. ჩ-ვამ, მ. მ-ემ-ჯ-ემ, ვ. გ-იამ, ა. რ-უამ, ლ. რ-უამ, ლ. რ-უამ, ფ. შ-ემ, ჟ. ხ-შვილი-შ-ემ, მ. შ-ემ, ნ. შ-ემ, ნ. შ-ემ, თ. რ-შვილმა, მ. თ-იამ, ლ. კ-ემ, ნ. ბ-ემ, ლ. გ-ემ, ბ. ბ-ვამ და ე. გ-იამ 13 მოპასუხის - საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სს "გაერთიანებული ქართული ბანკის", საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სააქციო კომერციულ ბანკ "კავკასიის ბანკის", "საქართველოს საფინანსო საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოება) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის", სააქციო კომერციულ ბანკ "პირველი ბანკის", ბანკი "ინოვაციის", საფინანსო-სატრასტო კომპანია "ქოლორის", სააქციო უნივერსალურ ბანკ "იბერია ბანკის", საქართველოს საპაიო კომერციულ ბანკ "ახალი ქართული ბანკის", საქართველოს სააქციო კომერციულ ბანკ "ივერთბანკის" მიმართ და მოითხოვა შემნახველი სალაროს ანაბრის წიგნაკებზე საბჭოთა მანეთებში რიცხული თანხის, 1992 წლიდან გამოცემული ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების, აქციების, ვაუჩერების, სერტიფიკატებისა და სხვათა შეძენით წარმოშობილი) სახელმწიფო გარანტიით წარმოშობილი დავალიანების უპირობოდ ანაზღაურება, რაც მოსარჩელეთა წინასწარი გაანგარიშებით, პროცენტების

დაურიცხავად, შეადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მანეთებში - 56767564 მანეთს, ხოლო აშშ დოლარში - 100584820 აშშ დოლარს. მოსარჩელები დამატებით ითხოვდნენ, აგრეთვე, მითითებული თანხით სარგებლობისათვის პროცენტების დარიცხვასაც მოსარჩელეთა სასარგებლოდ და ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში მოსარჩელეთა მიერ 1994 წლის 24 დეკემბრიდან 2002 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, ადრე დანიშნული საპენსიო თანხის აშშ დოლარში დადგენას ან მსყიდველობითი უნარის მიხედვით ადრე დანიშნული პენსიის გადაანგარიშებას.

2002 წლის 6 ნოემბრის განჩინებით სასამართლო კოლეგიამ მიიღო სარჩელი წარმოებაში, გარდა იმ მოთხოვნისა, რომლითაც მოსარჩელები ითხოვდნენ ადრე დანიშნული საპენსიო თანხის აშშ დოლარში დადგენას ან მსყიდველობითი უნარის მიხედვით ადრე დანიშნული პენსიის გადაანგარიშებას.

2002 წლის 15 ნოემბრის განჩინებით სასამართლო კოლეგიამ საქმეზე დანიშნა საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა და ექსპერტიზის ჩატარება დაავალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს, რომლის 2004 წლის 25 მაისის #64/17 დასკვნის თანახმად:

ა) ვ. გ-იას ერიცხებოდა შემნახველ ბანკებში 292537 საბჭოთა მანეთი. ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 1409300 ლარს, რაც აშშ დოლარში შეადგენდა 667915 აშშ დოლარს; #84506 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 1409300 ლარი, რაც შეადგენდა 667915 აშშ დოლარს;

ბ) ა. რ-უას ერიცხებოდა შემნახველ ბანკებში 132168 საბჭოთა მანეთი. ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 311364 ლარს, რაც შეადგენდა 147566 აშშ დოლარს; #82278 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 311364 ლარი, რაც შეადგენდა 147566 აშშ დოლარს;

გ) ლ. რ-უას ერიცხებოდა შემნახველ ბანკში 95744 ყოფილი საბჭოთა მანეთი. ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 1436483 ლარს, რაც შეადგენდა 680798 აშშ დოლარს;

#82279 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 1436483 ლარი, რაც შეადგენდა 680798 აშშ დოლარს;

დ) ლ. რ-უას ერიცხებოდა შემნახველ ბანკში 16875 საბჭოთა მანეთი. ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 640990 ლარს, რაც შეადგენდა 303786 აშშ დოლარს;

#60712 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 120810 ლარი, რაც შეადგენდა 57256 აშშ დოლარს;

ე) ე. გ-იას (ამ პირის გარდაცვალების შემდეგ მისი საპროცესო უფლებამონაცვლე გახდა მისი შვილი - ე. გ-ია) ერიცხებოდა შემნახველ ბანკში 51476 ყოფილი საბჭოთა მანეთი. ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 781966 ლარს, რაც შეადგენდა 370600 აშშ დოლარს;

#25772 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 781966 ლარი, რაც შეადგენდა 370600 აშშ დოლარს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 28 ივლისის განჩინებით #3ა/27-2004 ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო თორმეტი ფიზიკური პირის: ვ. გ-იას, ლ. რ-უას, ლ. რ-უას, ა. რ-უას, ნ. ჭ-მის, ვ. ჯ-მის, ე. გ-იას, მ. ჭ-ელის, მ. თ-იას, ლ. გ-მის, ლ. ჯ-იასა და ბ. ბ-ვას სასარჩელო მოთხოვნები და გამოყოფილი ადმინისტრაციული საქმის მასალებს მიენიჭა ნომერი - #3ა/391-2004.

ზემოაღნიშნულმა თორმეტმა მოსარჩელე ფიზიკურმა პირმა თორმეტი მოპასუხის ნაცვლად, მხოლოდ სამი მოპასუხე მიუთითა - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სს "გაერთიანებული ქართული ბანკი".

2004 წლის 22 სექტემბერს ხუთმა ფიზიკურმა პირმა - ვ. გ-იამ, ლ. რ-უამ, ლ. რ-უამ, ა. რ-უამ და ე. გ-იას სამართალმემკვიდრე ე. გ-იამ თბილისის საოლქო სასამართლოს დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ, მოითხოვეს მათი საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა და მოპასუხეებისთვის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს "გაერთიანებული ქართული ბანკისთვის" მათ სასარგებლოდ 4580103 ლარის სოლიდარულად დაკისრება, რაც, მათი გაანგარიშებით, აშშ დოლარში შეადგენდა 2170665 აშშ დოლარს.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათ ანაბრებზე რიცხული თანხები საქართველოს სახელმწიფოს მიერ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მიხედვით, აღიარებული იყო სახელმწიფოს შიდა ვალად. აღნიშნული სავალო ვალდებულების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად. ხსენებული ბრძანებულებები კი ეხებოდა მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმსა და მისი განხორციელების ღონისძიებებს. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა "მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მე-

ქანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება, შესაბამისად, ასევე "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმის შესახებ, რომ ხსენებული სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად. რადგან კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, სახელმწიფო და თვით სასამართლო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 383-ე, 389-ე მუხლებით და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 25 მაისის შესაბამისი საქესპერტო დასკვნით, რომლის საფუძველზეც დადგინდა იქნა, თუ რა დავალიანება გააჩნდა მოსარჩელე მენაბრეების მიმართ სახელმწიფოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით #3ა/391-2004 ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ხუთი ფიზიკური პირის - ვ. გ-იას, ლ. რ-უას, ლ. რ-უას, ა. რ-უასა და ე. გ-იას სასარჩელო მოთხოვნები პირველი მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის, მეორე მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მესამე მოპასუხე სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ.

სს "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" თბილისის საოლქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი ვ. გ-იას, ლ. რ-უას, ლ. რ-უას, ა. რ-უასა და ე. გ-იას სამართალმემკვიდრე ე. გ-იას სარჩელზე, რომლითაც არ ცნო სარჩელი და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების თანახმად, 1993 წლის 3 აგვისტოდან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონი. იმავე დადგენილების მე-5 პუნქტის მიხედვით, საბანკო დაწესებულებებს დაევალიათ 1993 წლის 3 აგვისტოდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთები გადაეყვანათ მანეთიდან ეროვნული ბანკის კუპონზე, შეფარდებით 1:1. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებულების თანახმად, 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა და მიმოქცევაში გამოშვებულ იქნა ეროვნული ვალუტა - ლარი და კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1000000 კუპონი 1 ლართან. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის 1995 წლის 22 სექტემბრის #30016/44 წერილის მიხედვით, საბანკო დაწესებულებებს დაევალიათ 1995 წლის 1 ოქტომბერს, დღის ბოლოს აქტივების, პასივებისა და ბალანსგარეშე ანგარიშების ნაშთების გადაანგარიშება ლარში, შეფარდებით ერთი მილიონი კუპონი ერთ ლართან.

შესაგებლის ავტორი აღნიშნავდა, რომ ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, მოსარჩელეთა ანაბრებზე ირიცხებოდა ნაშთები შემდეგი ოდენობით: წარმომდგენის #25772 ანაბარზე - 0,03 ლარი, ლ. რ-უას #49882 ანაბარზე - 0,03 ლარი, ლ. რ-უას #60712 ანაბარზე - 0,01 ლარი, ა. რ-უას #82278 ანაბარზე - 0,13 ლარი, ლ. რ-უას #82279 ანაბარზე - 0,10 ლარი. რაც შეეხებოდა ვ. გ-იას #84506 ანაბარს, იგი იყო დახურული, რადგან მოსარჩელეს 1998 წელს მიღებული ჰქონდა, როგორც ანაბარზე რიცხული ნაშთი - 29 თეთრი, ისე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების თანახმად, ინდექსაციის თანხაც - 579,98 ლარი, სულ - 580,27 ლარი. "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალად. იმავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, აღნიშნული სავალო ვალდებულების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, "საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალიათ საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, წინადადების შემუშავება, იმ დრომდე კი, ზემოაღნიშნული სახელმწიფო სავალო ვალდებულების სახელმწიფოს მიერ დაფარვის მექანიზმის შესახებ სამართლებრივი აქტი არ იყო გამოცემული.

შესაგებლის ავტორი აღნიშნავდა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსახლეობის მიერ ანაბრებზე შეტანილი

თანხების გაუფასურებისათვის. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ მომზადებულ შესაბამის დასკვნასთან დაკავშირებით, გაურკვეველი იყო, თუ რის საფუძველზე, რომელ ნორმატიულ მასალაზე დაყრდნობით მოხდა ანაბრებზე რიცხული თანხების დაანგარიშება. რაც შეეხებოდა სასარჩელო განცხადებაში მითითებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 383-ე და 389-ე მუხლებს, ისინი ვერ გამოდგებოდა სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ფიზიკურ პირთა - ვ. გ-იას, ლ. რ-უას, ლ. რ-უას, ა. რ-უას და ე. გ-იას სასარჩელო მოთხოვნები პირველი მოპასუხის - საქართველოს პრეზიდენტის, მეორე მოპასუხის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მესამე მოპასუხის - სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მესამე მოპასუხეს - სს "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" მოსარჩელეთა სასარგებლოდ საერთო ჯამში დაეკისრა 0,30 ლარის გადახდა, კერძოდ: წარმომდგენ ანაბარზე #25772 (რომელიც წარმოადგინა ე. გ-იამ) - 0,03 ლარის, ლ. რ-უას სასარგებლოდ #49882 ანაბარზე - 0,03 ლარის, ლ. რ-უას სასარგებლოდ #60712 ანაბარზე - 0,01 ლარის, ა. რ-უას სასარგებლოდ #82278 ანაბარზე - 0,13 ლარის, ლ. რ-უას სასარგებლოდ #82279 ანაბარზე - 0,10 ლარის გადახდა. სასარჩელო მოთხოვნათა სხვა ნაწილში დაკმაყოფილებაზე მოსარჩელებს უარი ეთქვათ.

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნის ძირითადი დებულებები და მიიჩნია, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებდა ე.წ. ნომინალიზმის პრინციპი, რომლის თანახმად, ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაფარულიყო. უმართებულო იყო ფულადი ვალის გაიგივება გარკვეულ მსყიდველობითუნარიანობასთან. ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენდა ფულადი ნიშნის გარკვეული თანხა. ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლიდა ვალის თანხას, არ წარმოადგენდა გადახდილი თანხის გადაფასების საფუძველს. აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად, ფულის მსყიდველობითუნარიანობა ნომინალის მიხედვით განისაზღვრებოდა. ბანკი ინფლაციაზე პასუხს არ აგებდა და ინფლაციაზე იურიდიული ნომინალიზმის პრინციპი წარმოადგენდა ფულადი გაანგარიშებისა და გადახდის საფუძველს, რომელსაც შეჰქონდა საჭირო ფორმალური სიცხადე ურთიერთობაში. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძველად უნდა დასდებოდა ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

სასამართლო კოლეგიამ სასარჩელო მოთხოვნა #25772, #49882, #60712, #82278, #82279 ანაბრებზე რიცხული თანხების მოთხოვნის ნაწილში ნაწილობრივ დააკმაყოფილა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ 1993 წლის 3 აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში იყო ყოფილი საბჭოთა მანეთი. 1993 წლის 3 აგვისტოდან კუპონი გამოცხადდა ერთადერთ საგადასახდლო საშუალებად და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების თანახმად, გადახდები (როგორც ნაღდი, ასევე უნაღდი) უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებში. საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო დაწესებულებებს 1993 წლის 3 აგვისტომდე საბჭოთა და რუსული ფულადი ნიშნები უნდა მიეღოთ კუპონებზე გადასაცვლელად, ანგარიშებსა და ანაბრებზე ჩასარიცხად, შეფარდებით - 1 მანეთი 1 კუპონთან. გარდა ამისა, საბანკო დაწესებულებებს მოეთხოვათ 1993 წლის 3 აგვისტოდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთები გადაეყვანათ მანეთიდან ეროვნული ბანკის კუპონზე, შეფარდებით 1:1, ანგარიშზე რიცხული თანხის მიუხედავად. "საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება "მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ". შესაბამისად, იმჟამად არ მოქმედებდა ნორმატიული აქტი, რომელიც გაითვალისწინებდა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსირებას. ამასთან, "ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ" 1998 წლის 25 ივნისის საქართველოს შესაბამისი კანონის მიხედვით, ლარის მიმოქცევაში გამოშვებამდე, ანუ 1995 წლის 2 ოქტომბრამდე, საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდებოდა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

სასამართლო კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 5 მარტის კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო

სამინაო ვალად აღიარებულ იქნა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა ანგარიშებზე იმჟამად საბანკო ორგანიზაციის გაანგარიშებით, კუპონების ლარზე გადაცვლის კურსის გათვალისწინებით, შეფარდებით 1000000 კუპონი 1 ლართან, ნაშთის სახით, ირიცხებოდა შემდეგი თანხები:

- 1) წარმომდგენის ანაბარზე (წარმოდგენილი ჰქონდა ე. გ-იას) #25772 - 0,03 ლარი;
- 2) ლ. რ-უას #49882 ანაბარზე - 0,03 ლარი;
- 3) ლ. რ-უას #60712 ანაბარზე - 0,01 ლარი;
- 4) ა. რ-უას #82278 ანაბარზე - 0,13 ლარი.
- 5) ლ. რ-უას #82279 ანაბარზე - 0,01 ლარი.

ვ. გ-იას სახელზე გახსნილ #84506 ანაბრის ანგარიშთან დაკავშირებით, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ აღნიშნული ანგარიში დაიხურა 1998 წლის 14 ივლისს, როდესაც ვ. გ-იამ გაიტანა საბანკო ორგანიზაციიდან თანხა (იმ პერიოდში მოქმედი ინდექსაციის გათვალისწინებით) - საერთო ჯამში 580,27 ლარი.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ეკუთვნოდათ ინდექსაციის გარეშე სწორედ ის თანხები, რომლებიც ირიცხებოდა მოსარჩელეთა ანაბრებზე ნაშთის სახით, ხოლო სარჩელის სხვა ნაწილში დაკმაყოფილებაზე მოსარჩელებს უარი უნდა თქმოდათ.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებული იყო სახელმწიფო სამინაო ვალად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მითითებული სავალო ვალდებულებების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. "საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულების საფუძველზე, შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადებების შემუშავება. ვინაიდან იმ დრომდე სახელმწიფო სავალო ვალდებულების სახელმწიფოს მიერ დაფარვის მექანიზმის შესახებ სამართლებრივი აქტი არ იყო გამოცემული, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელების მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

სასამართლო კოლეგიამ, აგრეთვე, მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობები უნდა მოწესრიგებულიყო საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) ნორმებით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ., ლ., ა. რ-უებმა, ვ. გ-იამ და ე. გ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 6 მაისის განჩინებით კასატორების - ლ., ლ., ა. რ-უების, ვ. გ-იას და ე. გ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში სადავო სამართალურთიერთობის პროცესუალური სუბიექტები იყვნენ მოსარჩელები - ხუთი ფიზიკური პირი და მოპასუხეები - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სს "გაერთიანებული ქართული ბანკი". საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო ორი მოპასუხის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მოსარჩელებს რაიმე კონკრეტული მოთხოვნა არ ჰქონდათ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მოსარჩელების მხრიდან მოთხოვნა არ არსებობდა, დაუშვებელი იყო საქართველოს პრეზიდენტს მოპასუხის სტატუსით მიეღო მონაწილეობა საქმეში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში მითითებული უნდა ყოფილიყო მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი, რასაც კონკრეტულ დავაში ერთ-ერთი მოპასუხის - საქართველოს პრეზიდენტის მიმართ ადგილი არ ჰქონდა. მიუხედავად აღნიშნულისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით ფიზიკური პირების სასარჩელო მოთხოვნები სამივე მოპასუხის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ერთ-ერთ მოპასუხეს - სს "გაერთი-

ანებულ ქართულ ბანკს" მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა 0,30 ლარის გადახდა. სარეზოლუციო ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის მიმართ სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების მითითებით, სასამართლო კოლეგიამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, თავისი გადაწყვეტილებით მიეკუთვნებინა მხარისთვის ის, რაც მას არ მოუთხოვია, ასევე სრულიად გაურკვეველი იყო, სახელდობრ, თუ სარჩელის რა ნაწილი დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მიმართებაში, როდესაც, ფაქტობრივად, მხოლოდ სს "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" დაეკისრა გარკვეული თანხა მოსარჩელეთათვის გადასახდელად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მოსარჩელების მოთხოვნაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების თაობაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ არ იყო გამოცემული სამართლებრივი აქტი სავალო ვალდებულებების სახელმწიფოს მიერ დაფარვის მექანიზმის შესახებ. ასევე, არ იყო გარკვეული და დასაბუთებული სს "გაერთიანებული ქართული ბანკისთვის" მოსარჩელეთა ანაბრებზე ნაშთის სახით რიცხული, ინდექსაციის გარეშე თანხების დაკისრების საკითხი "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტსა და მე-2 პუნქტთან მიმართებაში, თუ რამდენად შეესაბამებოდა სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება მითითებული კანონის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ, მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ იყო და მისი შეფასება ხდებოდა 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო კოლეგიის მიერ სამართლებრივად სრულყოფილად არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ არ იქნა გაზიარებული შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რაც ზემოთ მითითებული 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილი იყო საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, ამიტომ, ამ კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონკრეტული სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებლად მიიჩნია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, უნდა გაუქმებულიყო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე აღნიშნული მითითებებით ხელახლა განსახილველად დაბრუნებოდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით, უფლებამოსილების შეწყვეტის გამო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს პრეზიდენტი, როგორც არასათანადო მოპასუხე, ამოირიცხა საქმიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელების - ა., ლ., ლ. რ-უების, ვ. გ-იასა და ე. გ-იას სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ საანაბრე ანგარიშებზე რიცხული ნაშთის ინდექსაციის შედეგად მიღებული თანხის სოლიდარულად დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელები მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითებდნენ საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ნორმებზე, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) ნორმებსა და "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მიხედვით, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენებოდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ და შესაბამისად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი. მოსარჩელები სოლიდარული მოთხოვნის საფუძველად მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ანაბრებზე რიცხული ნაშთის გადახდის ვალდებულება უნდა დაკისრებოდა მოპასუხე ბანკს, ხოლო ანაბრების ინდექსაციით გათვალისწინებული თანხების

ანაზღაურება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და, ვინაიდან შეუძლებელი იყო მოთხოვნათა გაყოფა, მოპასუხეებს დავალიანება უნდა დაკისრებოდათ სოლიდარულად. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მიხედვით, სოლიდარული ვალდებულება ან მოთხოვნა ჩნდება მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით, ან დადგენილი კანონით, კერძოდ, ვალდებულების საგნის განუყოფლობის დროს.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები. სოლიდარული ვალდებულების არსებობის საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი მიიჩნევდა ვალდებულების საგნის განუყოფლობას, მაგრამ ზემოხსენებული ნორმის მიხედვით, მოთხოვნის საგნის განუყოფლობა დადგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, მოვალეების სოლიდარული ვალდებულება უნდა ყოფილიყო საერთო-სამართლებრივი, კანონისმიერი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლიდან გამომდინარე. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულება წარმოიშობოდა ხელშეკრულებით ან ამ კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნული სხვა საფუძვლით. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონი არ შეიძლება ყოფილიყო სოლიდარული ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იგი იყო საჯარო სამართლის კანონი და განსაზღვრავდა საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენდა სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს. ამდენად, არ არსებობდა მოპასუხეთა სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი, ვალდებულების საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში კი, არ არსებობდა თვით ვალდებულებაც, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა მოსარჩელეთა მოთხოვნის უფლებას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, ვინაიდან ამ ნორმის თანახმად, საშინაო ვალში აღებული იყო ის თანხა, რომელიც მიღებული იყო ანაზღაურებზე რიცხული ნაშთების ინდექსაციის შედეგად. საქმეში წარმოდგენილი მასალებითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით კი დადგენილი იყო, რომ დავის განხილვის დროისათვის არ იყო მომხდარი ანაზღაურებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საანაზღაურებო ანგარიშებზე 1992 წლამდე შეტანილ იქნა საბჭოთა მანეთები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოში მოქმედი ფულის ერთეულის დეველუაციის შედეგად, მოხდა ბანკებში არსებული მოქალაქეთა ანაზღაურების გაუფასურება. "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით სახელმწიფო საშინაო ვალად იქნა აღიარებული მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება. იმავე კანონის პირველი მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი იყო ეროვნულ ვალუტაში გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი, ანუ საშინაო ვალში იგულისხმებოდა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გამოსახული თანხა. ხსენებული კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა ამ ვალდებულების დაფარვის წესი, რაც უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებებით დადგენილი ინდექსაციის მექანიზმის გათვალისწინებით. „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვა „მოსახლეობის ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 ნოემბრის #539 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულება. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, ხოლო ამ კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2006 წლის მაისამდე. ხსენებულ კომისიას დაევა „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის წარდგენა. ამდენად, ნაშთებზე არსებული თანხების ინდექსაციისა და ანაზღაურების წესი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სამთავრობო კომისიის მიერ. იმჟამინდელი მდგომარეობით არ მოქმედებდა ინდექსაციის მექანიზმის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტი. ამასთან, „ლარის შემო-

დებამდე საბანკო ანგარიშების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 1995 წლის 2 ოქტომბრამდე ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდებოდა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. აღნიშნული ნორმა გულისხმობდა, რომ, როგორც ინდექსაცია, ასევე მისი მექანიზმი და შესაბამისი ანაზღაურების წესი დადგენილი უნდა ყოფილიყო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, დაუშვებელი იყო საანაზღაურებზე რიცხული თანხების ინდექსაციის შედეგად მიღებული ოდენობის დადგენა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, სასამართლო საკასაციო პალატის მითითების საფუძველზე აფასებდა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნას და თვლიდა, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ, არ იყო გაცემული დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, რომ საექსპერტო კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების სათანადო ნორმატიული აქტებით და შესაბამისი სახელმწიფო დეპარტამენტის მასალებით. სასამართლო სხდომაზე მოწვეულმა ექსპერტებმა ვერ დაასახელეს ნორმატიული აქტები, რომლებითაც იხელმძღვანელეს თანხის დაანგარიშებისას. მოგვიანებით, მოსარჩელეთა მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ იქნა წერილობითი მტკიცებულება სასამართლოსთვის ექსპერტების მიერ დასკვნის ირგვლივ მიცემული ახსნა-განმარტებების შესახებ, სადაც მითითებული იყო, რომ ექსპერტების მიერ მოძიებულ იქნა ყველა ის ნორმატიული აქტი, რომლებიც მოქმედებდა და არეგულირებდა გამოსაკვლევ პერიოდში შემნახველ ბანკებში არსებული მოსახლეობის ანაზღაურების საკითხს, მათ შორის მითითებული იყო საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი და საქართველოს პრეზიდენტის ძალადაკარგულად ცნობილი ბრძანებულებები. საგულისხმო იყო ის ფაქტი, რომ ექსპერტთა მიერ საბჭოთა მანეთებით გამოსახულ საწყის თანხად, საიდანაც მოხდა გადაანგარიშება, აღებულ იქნა საანაზღაურებზე მითითებული საბოლოო ნაშთი. აღნიშნულ ბარათებზე საბოლოო ნაშთი აღრიცხული იყო 1994 წლის მდგომარეობით. ექსპერტიზის მიერ არ იქნა მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების მე-5 პუნქტის საფუძველზე მოხდა ბანკებში ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთების გადაყვანა მანეთიდან კუპონზე, შეფარდებით ერთი ერთთან. ამდენად, 1994 წლის მდგომარეობით, საანაზღაურებზე ნაშთის სახით მითითებული თანხა არ შეიძლება გამოხატული ყოფილიყო საბჭოთა მანეთებში. ექსპერტ ქ. მ-ვას განმარტებით, მათ არ მიიჩნიეს აღნიშნული ნორმატიული აქტის გამოყენება საჭიროდ იმ საფუძველით, რომ მანეთის შეცვლა კუპონით კანონის დარღვევა იყო, ვინაიდან კუპონი არ იყო ფულის ერთეული, იგი იყო ფრანგული სიტყვა და ნიშნავდა აქციის მოსაჭრელ ტალონს პროცენტების ან დივიდენდების მისაღებად, ან ერთი ადგილის ბილეთს თეატრის ლოჯაში. აღნიშნული მსჯელობა და ნორმატიული აქტის კანონიერების საკითხის გარკვევა სცილდებოდა ექსპერტისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებს, ამასთან, ექსპერტის ვალდებულება იყო, ეხელმძღვანელა ნორმატიული აქტებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო, აფასებდა რა მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე თვლიდა, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ იყო დასაბუთებული და ვერ გაიზიარებდა მას.

საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა ანაზღაურებზე რიცხული თანხების ინდექსაცია არ მომხდარა და შესაბამისად, მოსარჩელეებს არ წარმოშობათ მოთხოვნის უფლება. მათი მოთხოვნა საფუძველს იყო მოკლებული, ვინაიდან არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც განსაზღვრავდა სს „გაერთიანებული ქართული ბანკისა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულ პასუხისმგებლობას მოსარჩელეთა მიერ საბჭოთა მანეთებში შეტანილი ანაზღაურების დაბრუნების მოთხოვნათა ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. გ-იამ, ლ. რ-უამ, ლ. რ-უამ, ა. რ-უამ და ე. გ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინებით ვ. გ-იას, ლ. რ-უას, ლ. რ-უას, ა. რ-უასა და ე. გ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო არსებითად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნია, რომ მათი გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტებს არ წარუდგენიათ, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006

წლის 23 მარტის გადაწყვეტილება იყო კანონიერი და დასაბუთებული და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. გ-იამ, ლ., ლ. და ა. რ-უებმა და ე. გ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი. ამ დავასთან დაკავშირებით, მოსარჩელეთა შუამდგომლობის საფუძველზე, 2003 წლის 18 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა განჩინება საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და 2004 წლის 25 მაისს შედგენილ იქნა შესაბამისი საექსპერტო დასკვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ. სწორედ ამ დასკვნას ეყრდნობა სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან იგი სწორია და კანონიერი, რამდენადაც ობიექტურად ასახავს თანხის ოდენობას. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოშობილი დავალიანება სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იქნა სახელმწიფოს შიდა ვალად, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აღნიშნული სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ზემოხსენებული ბრძანებულებები ეხებოდა მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმსა და მისი განხორციელების ღონისძიებებს. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებებს, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება, ასევე „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმის შესახებ, რომ მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად. რადგან არ არსებობს სასამართლოებრივი რეგულირების კონკრეტული ნორმა ინდექსაციის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა კი კასატორთა მიერ დაყენებულ იქნა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდგომ, ხოლო მხარეთა შორის ურთიერთვალდებულება წარმოშობილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) მოქმედების პერიოდში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს, საქართველოს, როგორც ძველი, ასევე ახალი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები. ამ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს, როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი ნორმები.

კასატორთა განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ 2004 წლის 25 მაისს მიღებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დადგენილ იქნა, თუ რა დავალიანება (ფულადი ვალდებულება) გააჩნდათ ყოველი მოსარჩელე მეანაბრის მიმართ მოპასუხეებს. აღნიშნულ ანაბრებზე ექსპერტიზის მიერ დასკვნის შედგენისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ფულადი ერთეულის - რუსული რუბლის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1985 წლიდან 2000 წლამდე არსებული მდგომარეობით, ანუ ის ძირეული მონაცემები, რაც არსებობდა თანხის შეტანის დღისათვის. უფრო ძირეულად აღნიშნული დასკვნის სამართლებრივი საფუძველები თვით ექსპერტების მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სრულყოფილად მათ მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის მიერ 2004 წლის 25 მაისს შედგენილი შესაბამისი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, თანხა დადგენილ იქნა ყოველ მოსარჩელეზე 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რის საფუძველზეც მათ უნდა ერიცხებოდეთ თანხები, როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში შემდეგი ოდენობით: 1. გ-ია ვ. - 1409300 ლარი, რაც შეადგენს 667915 აშშ დოლარს; 2. რ-უა ლ. - 640990 ლარი, რაც შეადგენს 303786 აშშ დოლარს; 3. რ-უა ლ. - 1436483 ლარი, რაც შეადგენს 680798 აშშ დოლარს; 4. რ-უა ა.ი - 311364 ლარი, რაც შეადგენს 147566 აშშ დოლარს; 5. გ-ია ე. - 781966 ლარი, რაც შეადგენს 370600 აშშ დოლარს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დადგენილ იქნა, რომ სულ მოსარჩელებს უნდა ერიცხებოდეთ 4580103 ლარი, რაც შეადგენს 2170665 აშშ დოლარს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გამოშვების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა და მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ეროვნული ვალუტა - ლარი. კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შემდეგი თანაფარდობით - 1000000 კუპონი 1 ლართან. ამდენად, აღნიშნულის საფუძველზე მოსახლეობის ანაზრებზე რიცხული თანხების გადაყვანა კუპონებში უკანონოა, რადგან კუპონი არ არის ფულადი ერთეული და ის გამოიყენება, როგორც ფასიანი ქაღალდი და არა სხვა რამ, რის საფუძველზეც შესაბამისმა მოპასუხემ სრულიად უკანონოდ ჩათვალა, რომ მოსახლეობის ანაზრებზე კუპონებში რიცხული ყველა თანხა ზემოაღნიშნული შეფარდებით გადავიდა ლარებში, რაც უსაფუძვლოა და შესაბამისად, სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული ბრძანებულებით, რადგან ხსენებული ბრძანებულება გამოცემულ იქნა ლარის, როგორც ფულადი ერთეულის შემოსვლასთან დაკავშირებით და არა მოსახლეობის სახელზე რიცხული ანაზრების გაუფასურების მიზნით. ასეც რომ ყოფილიყო, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ და ასევე სასამართლომ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. 1992 წლის 31 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა #876 დადგენილება „ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც ფასიანი ქაღალდების სახეებს მიეკუთვნებოდა: აქციები, ობლიგაციები, სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები, შემნახველი სერტიფიკატები და თამასუქები;

2. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 მარტის #246 დადგენილებით დასტურდება, რომ სახელმწიფოს მიერ შემოტანილ იქნა კუპონი, როგორც დროებითი საგადასახადო ერთეული და არა, როგორც ფულადი ერთეული, რის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 5 აპრილს დამოუკიდებელი კანონიერი საგადამხდელო საშუალების სახით, მიმოქცევაში გამოუშვა კუპონი, რომლის თანაფარდობა მანეთთან განისაზღვრა შემდეგი კურსით - ერთი მანეთი ერთ კუპონთან. აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ კუპონის მანეთზე გადაცვლა მოხდა კუპონის შემოსვლის დღისათვის დაფიქსირებული საბანკო კურსით - ერთი მანეთი ერთ კუპონთან (იმ პერიოდისათვის ბანკთაშორისი აუქციონის კურსის მიხედვით). შესაბამისად, სახელმწიფომ მოსახლეობის ანაზრებზე რიცხული თანხები გადაიყვანა ფიქსირებული კურსით, რის შემდგომ, უკვე რამდენიმე თვეში, კუპონმა განიცადა ინფლაცია და შესაბამისად, შეტანილი ფულის კურსი შეიცვალა, რის გამოც 1995 წლისათვის - ლარის შემოსვლის დროისათვის სახელმწიფო და ასევე, ეროვნული ბანკი ვალდებული იყვნენ მოსახლეობის ანგარიშებზე დაეფიქსირებინათ კუპონის ინფლაციის შედეგად მიღებული კურსის შესაბამისი თანხები. კერძოდ, თუ მოსახლეობის ანაზრებზე ირიცხებოდა ერთი კუპონი, რომელიც ერთ რუსულ რუბლზე იქნა შეცვლ., ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ უნდა ჩარიცხულიყო 1000000 კუპონი, რის შემდეგაც სრულიად კანონიერი იქნებოდა, სახელმწიფოს, სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკსა“ და სასამართლოს გამოეყენებინათ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებულება „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გამოშვების შესახებ“. ამ აქტით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა და მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ეროვნული ვალუტა - ლარი, რომლითაც კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შემდეგი თანაფარდობით: 1000000 კუპონი 1 ლართან.

კასატორთა განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევისა და შესაბამისი ინფლაციების გადაანგარიშების საფუძველზე იქნა ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა მიღებული. რაც შეეხება იმ გარემოებას, ეხებოდა თუ არა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებულება თვით მეანაზრების ანგარიშებზე რიცხული თანხების გადაანგარიშებებს, აღნიშნული გამორიცხულია თვით სახელმწიფოს მიერ შემდგომში მიღებული სხვადასხვა ნორმატიული აქტით, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 5 მარტის კანონის 48-ე მუხლით, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით.

კასატორთა მტკიცებით, სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული მსჯელობა სოლიდარულ ვალდებულებასთან მიმართებაში არასწორია, რადგან სწორედ სახელმწიფო შემნახველი ბანკის (მისი სამართალმემკვიდრის - სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“) მიერ აღებული ვალდებულებებიდან და შემდგომში სახელმწიფოს მიერ კანონით სახელმწიფო შიდა ვალად აღიარებით რეგულირდება მოცემული ვალდებულებითი და სახელმწიფო ურთიერთობა, რის გამოც მხარეებს თანხები უნდა დაკისრებოდათ სოლიდარულად. უფრო მეტიც, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს ინდექსაციის მექანიზმი, რაც უფრო

ნათელს ხდის მხარეების სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხს. კასატორთა მიერ სასამართლოში სარჩელი აღძრულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდგომ, ხოლო მათ მიერ თანხები შეტანილ იქნა 1992 წლამდე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნაკისრი ვალდებულების წარმოშობის დროდ უნდა განსაზღვრულიყო არა 1964 წელი, არამედ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დრო და ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო, როგორც საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ასევე, საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძველად მიუთითა იმაზე, რომ არ არსებობდა ინდექსაციის მექანიზმი და, რადგან შესაბამის კანონში მითითებული ბრძანებულება იყო გაუქმებული, შესაბამისად, არ არსებობდა მოთხოვნის საფუძველი, რაც სრულიად უკანონოა, რადგან მეანაბრეს სახელმწიფო შემნახველ სალაროში თანხის ჩაბარებისას მიეცა გარანტია, რომ მის მიერ თანხის მოთხოვნისას, აუნაზღაურებოდა ძირითადი თანხა და ინდექსაციით წარმოქმნილი მოგება. არც საერთაშორისო აქტებით, არც საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით არავის არა აქვს უფლება, ხელყოს სხვისი საკუთრება. კონკრეტულ შემთხვევაში საკუთრების უფლება გამოხატულია მატერიალური ფორმით (ფულადი სახით). შესაბამისად, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის არსებობდა წერილობითი შეთანხმება ვალდებულებებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზე. ამდენად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არასწორად განმარტა იგი, რადგან, მართალია, კასატორთა მიერ ანაბრები შეტანილ იქნა, ანუ შეთანხმება იქნა დადებული საბჭოთა პერიოდში, ხოლო მოთხოვნის უფლება წარმოიშვა ლარის არსებობის დროს, ანუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედების პერიოდში. ამდენად, სრულიად დაუსაბუთებელია ის მოსაზრებაც, რომ რუსული რუბლის გადაცვლა მოხდა ჯერ კუპონზე, შემდეგ ლარზე, ხოლო, რადგან კუპონის შემოდების შესახებ ნორმატიულ აქტში მითითებულია, რომ კუპონი შემოტანილ იქნა დროებით საგადასახადო ერთეულად. კასატორებს კუპონში ანაბრის გატანა არ მოუთხოვიათ, ხოლო ლარის - ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში შემოდებისას სახელმწიფო და თვით შემნახველი ბანკი ვალდებული იყვნენ, მოსახლეობის ანაბრებზე დაეფიქსირებინათ ის თანხა ლარებში, რაც რუსულ რუბლსა და ლარს შორის არსებული კურსითა და ინფლაციის გათვალისწინებით იქნებოდა დაფიქსირებული, რადგან ფაქტია, რომ მათ მიერ კუპონი კი არ ყოფილა შეტანილი ანგარიშებზე, არამედ - საბჭოთა რუბლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. გ-იას, ლ., ლ. და ა. რ-უებისა და ე. გ-იას საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 27 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 24 ოქტომბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მოსამართლე ნუგზარ სხირტლამის საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის გამო, ვ. გ-იას, ლ., ლ. და ა. რ-უებისა და ე. გ-იას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება გადაინიშნა 2007 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ვ. გ-იას, ლ., ლ. და ა. რ-უებისა და ე. გ-იას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა მხარეთა დასწრებით დაინიშნა 2007 წლის 12 დეკემბერს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემული საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელეებს ანაბრებზე ერიცხებოდათ ნაშთები შემდეგი ოდენობით: ა. რ-უას ერიცხებოდა შემნახველ ბანკებში 132168 საბჭოთა მანეთი, #82278 ანაბარზე - 0,13 ლარი; ლ. რ-უას შემნახველ ბანკში 95744 ყოფილი საბჭოთა მანეთი, #82279 ანაბარზე - 0,10 ლარი; ლ. რ-უას შემნახველ ბანკში 16875 საბჭოთა მანეთი, #60712 ანაბარზე - 0,01 ლარი; ე. გ-იას (ამ

პირის გარდაცვალების შემდეგ მისი საპროცესო უფლებამონაცვლე გახდა მისი შვილი - ე. გ-ია) ერცხებოდა შემნახველ ბანკში 51476 ყოფილი საბჭოთა მანეთი, წარმოდგენის #25772 ანაბარზე - 0,03 ლარი; ვ. გ-იას #84506 ანაბარზე 1998 წელს მიღებული აქვს, როგორც ანაბარზე რიცხული ნაშთი - 29 თეთრი, ისე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების თანახმად, ინდექსაციის თანხაც - 579,98 ლარი, სულ - 580,27 ლარი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 25 მაისის #64/17 საექსპერტო დასკვნით განისაზღვრა, თუ რა დავალიანება გააჩნდა მოსარჩელე მეანბრეების მიმართ სახელმწიფოს, კერძოდ, ამ დასკვნის თანახმად: ა) ვ. გ-იას ერცხებოდა შემნახველ ბანკში 292537 საბჭოთა მანეთი, ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 1409300 ლარს, რაც აშშ დოლარში შეადგენდა 667915 აშშ დოლარს და #84506 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 1409300 ლარი, რაც შეადგენდა 667915 აშშ დოლარს; ბ) ა. რ-უას ერცხებოდა შემნახველ ბანკში 132168 საბჭოთა მანეთი, ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 311364 ლარს, რაც შეადგენდა 147566 აშშ დოლარს; #82278 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 311364 ლარი, რაც შეადგენდა 147566 აშშ დოლარს; გ) ლ. რ-უას ერცხებოდა შემნახველ ბანკში 95744 ყოფილი საბჭოთა მანეთი, ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 1436483 ლარს, რაც შეადგენდა 680798 აშშ დოლარს; #82279 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 1436483 ლარი, რაც შეადგენდა 680798 აშშ დოლარს; დ) ლ. რ-უას ერცხებოდა შემნახველ ბანკში 16875 საბჭოთა მანეთი, ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 640990 ლარს, რაც შეადგენდა 303786 აშშ დოლარს; #60712 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 120810 ლარი, რაც შეადგენდა 57256 აშშ დოლარს; ე) ე. გ-იას (უფლებამონაცვლე - ე. გ-ია) ერცხებოდა შემნახველ ბანკში 51476 ყოფილი საბჭოთა მანეთი, ექსპერტთა გაანგარიშებით, აღნიშნული თანხა უთანაბრდებოდა 781966 ლარს, რაც შეადგენდა 370600 აშშ დოლარს, #25772 ანგარიშზე უნდა რიცხულიყო 781966 ლარი, რაც შეადგენდა 370600 აშშ დოლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება. იმავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი არის ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი. ხსენებული კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა ამ ვალდებულების დაფარვის წესი, რაც უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად. „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულებით განისაზღვრა მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაციის მექანიზმი და დადგინდა ინდექსაციის კოეფიციენტები. "მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი იყო. „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება; შეიქმნა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადების შემმუშავებელი სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა მთავრობისათვის წარედგინა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული თანხების დაბრუნების მექანიზმის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ" საქართველოს კანონზე, რომლის თანახმად, ლარის მიმოქცევაში გაშვებამდე, 1995 წლის 2 ოქტომბრამდე, საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდებოდა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, როგორც ნაშთების სახით არსებული თანხების ინდექსაცია, ასევე მისი მექანიზმი და შესაბამისი ანაზღაურების წესი დადგენილი უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის

15 ნოემბრის #108 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. ხსენებულ კომისიას დაევალა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა. ამდენად, ნაშთებზე არსებული თანხების ინდექსაციისა და ანაზღაურების წესი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო კომისიის მიერ. „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 ნოემბრის #259 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვრამდე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია ამჟამად კვლავ ფუნქციონირებს, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2009 წლის 1 იანვრამდე, რა დრომდეც მან უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ, ვინაიდან ლარის მიმოქცევაში გაშვებამდე, 1995 წლის 2 ოქტომბრამდე, მოსარჩელეთა (გარდა ვ. გ-იასი) საბანკო ანგარიშებზე რიცხული ანაზღაურების ინდექსაცია არ მომხდარა და მოსარჩელებს უფლების რეალიზაცია „მოსახლეობის ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების საფუძველზე არ მოუხდენიათ, სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების ინდექსაციის მექანიზმის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოწესრიგებამდე, მათი სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან სასამართლო ვერ დაადგენს ინდექსაციის მექანიზმს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მათი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 25 მაისის #64/17 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუშვებელია ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ანაზღაურების ინდექსაცია და ამის შედეგად თანხების ოდენობის დადგენა, რადგან ექსპერტის დასკვნა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული ინდექსაციის მექანიზმის განსაზღვრულ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტად და იგი ვერ შეცვლის საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე მისაღებ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება იმავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებული უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ექსპერტის დასკვნას სასამართლო ამოწმებს თავისი შინაგანი რწმენით და შეუძლია შესაბამისი დასაბუთებით არ მიიღოს იგი, მით უმეტეს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ექსპერტის დასკვნა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და უფრო მეტიც, თუ მისი მიღება, გაზიარება და მის საფუძველზე საქმის გადაწყვეტა იურიდიულად შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც განიხილავს შიდა ვალის პრობლემებს, მათ შორის, ანაზღაურების საკითხს, აღნიშნული კომისიის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2009 წლის 1 იანვრამდე, რის გამოც ამ ეტაპზე არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. საკასაციო სასამართლოს იმავე სხდომაზე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ (სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ უფლებამონაცვლე) წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთ-ერთ კასატორს - ვ. გ-იას „მოსახლეობის ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების საფუძველზე ინდექსაციით უკვე მიღებული აქვს თანხა და ანაზღაურება დახურულია.

კასატორები მიუთითებენ იმაზე, რომ ინდექსაციის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე კონკრეტული სამართლის ნორმის არარსებობის მიუხედავად, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონ-

მდებლობის შესაბამისი ნორმები, ანუ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კასატორები მიუთითებენ საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ნორმებზე, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) ნორმებსა და "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლების გამოყენების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს არ აურიდებია თავი მოსარჩელეთა მატერიალური უფლებების აღიარებისათვის, რასაც ადასტურებს "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი - მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარება. აღნიშნული ნორმით ცალსახად არის განსაზღვრული, რომ სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულია არა მოსახლეობის მიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილ ანაზრებზე რიცხული თანხა, არამედ მოსახლეობის მიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება და შესაბამისად, სარჩელის ობიექტს წარმოადგენს არა თვითონ ანაზარი, არამედ უშუალოდ ანაზრის ინდექსაციით მიღებული დავალიანება.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ანაზრებზე შეტანილი თანხების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს, ვინაიდან ამისათვის აუცილებელია, რომ "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილმა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ უფლებამოსილების ვადაში (2009 წლის 1 იანვრამდე) შეიმუშავოს „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

ზემოხსენებული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ანაზრებთან დაკავშირებული საკითხის სირთულიდან და განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა მუშაობს ამ საკითხზე, რის გამოც ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ ჩაერევა ზემოთ დასახელებული სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში, რაც არ ნიშნავს მოსარჩელეთათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბოლოოდ უარის თქმას. ანაზრების ინდექსაციის მექანიზმის შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგ მათ შეეძლებათ თავიანთი კონკრეტული მატერიალური უფლების რეალიზება შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების დაცვა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 153-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ვალდებულების ძალით ერთი პირი (მოვალე) ვალდებული იყო, შეესრულებინა მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ რაიმე მოქმედება (გადაეცა ქონება, შეესრულებინა სამუშაო, გადაეხადა ფული და სხვ.) ან თავი შეეკავებინა რაიმე მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მოვალისაგან მოვალეობის შესრულება. იმავე კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება წარმოიშობოდა ხელშეკრულებით ან ამ კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნული სხვა საფუძვლით. ხსენებული კოდექსის 103-ე და 389-ე მუხლების მიხედვით კი, მოქალაქეთა შრომითი დანაზოგი, სახელმწიფო შრომით შემნახველ საღაროებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული ანაზრები წარმოადგენდა მოქალაქეთა პირად საკუთრებას. აღნიშნული დებულებები განმტკიცებულია საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსშიც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქვეყნის ძირითად კანონში - საქართველოს კონსტიტუციაში საკუთრების უფლება, როგორც აბსოლუტური და უნივერსალური ხასიათის უფლება, აღიარებულია ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად, უზენაეს დონეზე არის გარანტირებული მისი უზრუნველყოფა და დაცვა. ამასთან, საკუთრების უფლებას გააჩნია განსაკუთრებული სოციალური ფუნქცია და საზოგადოებრივი დანიშნულება, იგი ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად საზოგად-

დოების არსებობის მატერიალური საწყისია. საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც უმთავრესი ადამიანური ფასეულობები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის" პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ხსენებული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის" პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულია ქონების დაცვა, ანუ აღნიშნული ოქმით დაცულია საკუთრების უფლება. ხსენებული მუხლის თანახმად, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობებით, რაც გათვალისწინებულია კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით. ზემოაღნიშნული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, უზრუნველყოს ისეთი კანონების შესრულება, რომლებიც მას აუცილებლად ესახება საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული განჩინება და მისი მოტივაცია არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპის (სტრასბურგის) სასამართლოს პრაქტიკასა და ამ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, ხსენებული სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე მიღებულ კონკრეტულ განჩინებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ საქმეზე - "ვლადიმერ აპოლონოვი რუსეთის წინააღმდეგ" - 2002 წლის 29 აგვისტოს მიღებული განჩინებით დაუშვებლად მიიჩნია ვლადიმერ აპოლონოვის განაცხადი "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის" 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად. ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ზარალი განიცადა რუსული ფულადი ერთეულის ინფლაციის გამო და ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ხსენებული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი არ ავალდებულებდა სახელმწიფოს მის ფინანსურ დაწესებულებაში შენახული თანხების მსყიდველობითუნარიანობის შენარჩუნებას (ამასთან დაკავშირებით, ევროპის სასამართლომ მიუთითა ამავე სასამართლოს მიერ შემდეგ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე - "იქსი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ", "რუბინსკა პოლონეთის წინააღმდეგ", "გეიდუკი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ"). ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, დეპოზიტების შესახებ კანონის მიღებით სახელმწიფომ შექმნა გეგმა და მაინც აიღო ვალდებულება, უზრუნველყო იმ თანხების აღდგენა, რომლებიც 1991 წლის 20 ივნისამდე ბანკში იყო მოთავსებული. კანონი განსაზღვრავდა, რომ დეპოზიტები უნდა კონვერტირებულიყო სპეციალურ ფინანსურ ვალდებულებაში, რომელიც ეროვნული ვალუტის 1990 წლით განსაზღვრული მსყიდველობითუნარიანობის გარანტიას შექმნიდა. ქალაქ მოსკოვის პრესნიკის რაიონის სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის კომპენსაციის უფლება შეზღუდული იყო ნაწილობრივი ანაზღაურებით, პრეზიდენტის შესაბამისი აქტების გამოცემით, დეპოზიტების შესახებ კანონის სრულ ამოქმედებამდე. ამავე საქმეზე ევროპის სასამართლომ ნათლად და ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ სახელმწიფოს მიერ დეპოზიტების შესახებ კანონით გაწერილი კომპენსაციის სრულმასშტაბიანი განუხორციელებლობა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო იმ გარემოებად, რომ არღვევდა პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით საბოლოოდ არ ერთმევათ მოსარჩელებს უფლება ანაზღაურზე და მათ მიმართ არ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციით, "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციითა" და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წ.) დაცული და გარანტირებული მათი საკუთრების უფლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ვ. გ-იას, ე. გ-იას, ლ., ლ. და ა. რ-უების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ანაბრებზე რიცხული თანხის დაბრუნება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-753-340(კ-05) 14 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ანაბრებზე შეტანილი თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 6 ივნისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. ჯ-მემ მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო შემნახველი ბანკის ანგარიშზე მის სახელზე რიცხული თანხის შესაბამისი ინდექსირებული კურსით დაბრუნება, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის სსრკ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 დეკემბრის #8 დადგენილების საფუძველზე დიდ სამამულო ომში დაღუპული მამის პენსიის დანიშვნის დავალება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1989 წლის 5 სექტემბრიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი ბანკის თბილისის #3523 ფილიალში გახსნილი ჰქონდა ანგარიში და გააჩნდა შესაბამისი სალაროს წიგნაკი. 1991 წლის 3 დეკემბრისათვის ნაშთად ერიცხებოდა 2079 საბჭოთა მანეთი. თავად იყო მარტოხელა პენსიონერი, მამამისი, რომელიც იყო კადრის ოფიცერი, დაიღუპა დიდ სამამულო ომში.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 8 ივნისის განჩინებით ნ. ჯ-მეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.

2000 წლის 22 ივნისს ნ. ჯ-მემ იმავე სასამართლოში კვლავ შეიტანა სასარჩელო განცხადება, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის სახელმწიფო შემნახველი ბანკის ანგარიშზე მის სახელზე რიცხული თანხის შესაბამისი ინდექსირებული კურსით დაბრუნება, საბჭოთა მანეთის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით.

მოსარჩელის განმარტებით, 1989 წლის 5 სექტემბრიდან სახელმწიფო შემნახველი ბანკის თბილისის #3523 ფილიალში გახსნილი ჰქონდა ანგარიში #042856, რომელზეც 1991 წლის 3 დეკემბრისათვის ნაშთად ერიცხებოდა 2079 საბჭოთა მანეთი. მან აღნიშნული თანხის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, თუმცა უშედეგოდ. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დავალებოდა აღნიშნული თანხის ანაზღაურება დაურიცხავი პროცენტებისა და საბჭოთა მანეთის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მასზე არ გავრცელებულიყო "მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულება და მისი სარჩელი დაკმაყოფილებულიყო სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 389-ე, 874-ე მუხლების საფუძველზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონის შესაბამისად, სადავო დავალიანება აღიარებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალად და მისი დაფარვა განსაზღვრული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულებით.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემული სარჩელის განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლი, რამდენადაც ამავე კოდექსის 1507-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხო-

ლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ე.ი. 1997 წლის 25 ნოემბრიდან, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნ. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 0,002 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1993 წლის 3 აგვისტომდე საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში იყო ყოფილი საბჭოთა მანეთი. 1993 წლის 3 აგვისტოდან ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა კუპონი (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილება). საქართველოს ტერიტორიაზე საბანკო დაწესებულებებს 1993 წლის 3 აგვისტომდე საბჭოთა და რუსული ფულადი ნიშნები კუპონებზე გადასაცვლელად უნდა მიეღოთ შეფარდებით: 1 მანეთი - 1 კუპონი. გარდა ამისა, საბანკო დაწესებულებებს მოეთხოვებოდათ, 1993 წლის 3 აგვისტოდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშზე არსებული ნაშთები გადაეყვანათ მანეთიდან კუპონებზე, შეფარდებით 1:1, ანგარიშზე რიცხული თანხის მიუხედავად. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებულებით მიმოქცევაში შემოდებულ იქნა ეროვნული ვალუტა (ლარი) და 1995 წლის 2 ოქტომბრიდან იგი გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად. განისაზღვრა კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი: 1 000 000 კუპონი - 1 ლარი, რის საფუძველზეც მოსახლეობის ანაბრებზე კუპონებში რიცხული თანხა ზემოაღნიშნული შეფარდებით გადავიდა ლარებში. 1997 წლის 8 დეკემბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის #711 ბრძანებულება "მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ", რომლის თანახმად დიფერენცირებულად უნდა განხორციელებულიყო ანაბრებზე რიცხული თანხების ინდექსაცია მათი წარმოშობის წლებისა და მოცულობის შესაბამისად ამ აქტის #1 დანართის მიხედვით. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით "საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ზემოხსენებული ბრძანებულება და ამავე აქტით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალია ორი თვის ვადაში წარედგინა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების შემდგომი დაბრუნების პროცესის კომპლექსური მოწესრიგების შესახებ. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 ნოემბრის #455 ბრძანებულებით, 2-თვიანი ვადა გაიზარდა 10 თვემდე, მაგრამ დღემდე ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სამართლებრივი აქტი არ მიღებულა. 1998 წლის 25 ივნისს საქართველოს კანონით ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ, ლარის მიმოქცევაში შემოღებამდე, ანუ 1995 წლის 2 ოქტომბრამდე, საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდებოდა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. "სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება აღიარებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალად და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ სავალო ვალდებულებების დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დღეისათვის არ არსებობდა ინდექსაციის განმსაზღვრელი რაიმე ახალი საკანონმდებლო აქტი, ნ. ჯ-ძეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მხოლოდ რუსული რუბლის კუპონზე და კუპონის ლარზე გადაცვლის კურსით გათვალისწინებული თანხა - 0,002 ლარი. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მითითებული კოდექსის ნორმები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოშობილი იყო ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენებოდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით,

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა სადავო სამართალურთიერთობაზე სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლის გავრცელების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილება, რომლითაც შეიქმნა კომისია და მასვე დაევა "სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვა, გადაჭრა და რეკომენდაციების შემუშავება, ხოლო ამ დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კომისია მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებულ ნორმატიულ პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენდა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. ვინაიდან მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების პრობლემების შესწავლა, მათი ანაზღაურების საკითხების გადაჭრა და რეკომენდაციების შემუშავება ევალებოდა აღნიშნულ კომისიას, ხოლო გადაწყვეტილების მიღება - საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს, ანუ სადავო საკითხის განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედიოდა, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლომ უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება.

გარდა ამისა, კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა "ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ" კანონი, ვინაიდან ლარის მიმოქცევაში გაშვებამდე - 1995 წლის 2 ოქტომბრამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდებოდა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა "სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფო სავალო ვალდებულებათა დაფარვა დაევა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716-ე, #717-ე ბრძანებულებების შესაბამისად, ვინაიდან ეს ბრძანებულებები ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული და ამდენად, ფინანსთა სამინისტროს თანხის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე ნ. ჯ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად ვერ გაარკვია მისი სასარჩელო მოთხოვნის არსი, კერძოდ, იგი ითხოვდა ანაზრზე რიცხული თანხის შესაბამისი ინდექსირებული კურსით დაბრუნებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ნ. ჯ-მე წარმოადგენდა სახელმწიფო და არა რომელიმე კომერციული ბანკის მენაბრეს.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო სავალო ვალდებულებათა დაფარვა დაევა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად. მოგვიანებით დასახელებული ბრძანებულებები შეიცვალა #258 ბრძანებულებით, რითაც უნდა ეხელმძღვანელა სასამართლოს დავის გადაწყვეტისას.

გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ მცდარია სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები ექსპერტის საკითხზე, რამდენადაც ექსპერტთა მიმართ გამოსარკვევი საკითხები იმთავითვე არასწორად დაისვა. 2079 საბჭოთა მანეთის აშშ დოლართან შეფარდების საკითხთან ერთად საექსპერტო დაწესებულებას უნდა დაედგინა, როგორი იყო 2079 საბჭოთა მანეთის მსყიდველობითუნარიანობა 1989-1991 წლებში, როგორია აღნიშნული დღეის მდგომარეობით, რამდენია სხვაობა მითითებული წლების მიხედვით ნ. ჯ-მისათვის ასანაზღაურებელ თანხებს შორის და აღნიშნული შეფარდების გათვალისწინებით მოეხდინა მენაბრეზე თანხის ანაზღაურება. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეს წლების მანძილზე მიღებული ზიანის მიუხედავად, არ მოუთხოვია ამ ზიანის ანაზღაურება, იგი ითხოვს მხოლოდ იმ თანხის შესაბამისი ინდექსირებული კურსით ანაზღაურებას, რომელიც 1991 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შემნახველი ბანკის ანგარიშზე მის სახელზე ირიცხებოდა.

სასამართლო დაეყრდნო საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტის დასკვნას, თუმცა მასში არ ჩანს, თუ როგორ იქნა დაანგარიშებული 0.002 ლარი, რა კრიტერიუმებით და ტარიფებით ისარგებლეს ექსპერტებმა აღნიშნული დასკვნის შედგენისას. საექსპერტო დასკვნის ბუნდოვანებისას სასამარ-

თლოს უნდა დაეკითხა ექსპერტები და არასრულყოფილი დასკვნა არ გაეზიარებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების გამოკვლევის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ნ. ჯ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. ჯ-ძის სარჩელის დავის საგანია ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო შემნახველი ბანკის ანგარიშზე მის სახელზე რიცხული საბჭოთა მანეთის შესაბამისი ინდექსირებული თანხით დაბრუნება, საბჭოთა მანეთის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის ობიექტია უშუალოდ ანაზრის ინდექსაციით მიღებული დავალიანება.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს ზემოაღნიშნული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა იმ ძირითადი მოტივით, რომ არ არსებობდა ინდექსაციის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტი და ნ. ჯ-ძეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მხოლოდ რუსული რუბლის კუპონზე და კუპონის ღირებულებაზე გადაცვლის კურსით გათვალისწინებული თანხა - 0,002 ლარი. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება. ამავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი არის ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შეზღუდული ნაწილი. აღნიშნული კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა ამ ვალდებულების დაფარვის წესი, რაც უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 და #717 ბრძანებულებების შესაბამისად. „მოსახლეობის ანაზრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულებით განისაზღვრა მოსახლეობის ანაზრებზე რიცხული თანხების ინდექსაციის მექანიზმი და დადგინდა ინდექსაციის კოეფიციენტები. „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაზრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის #258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „მოსახლეობის ანაზრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულება; შეიქმნა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაზრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადების შემუშავებული სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალია მთავრობისათვის საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტის წარდგენა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაზრებზე რიცხული თანხების დაბრუნების მექანიზმის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის თანახმად, ლარის მიმოქცევაში გაშვებამდე, 1995 წლის 2 ოქტომბრამდე, საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდებოდა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, როგორც ნაშთების სახით არსებული თანხების ინდექსაცია, ასევე მისი მექანიზმი და შესაბამისი ანაზღაურების წესი დადგენილი უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

"საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. აღნიშნულ კომისიას დაევალია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა. ამდენად, ნაშთებზე არსებული თანხების ინდექსაციისა და ანაზღაურების წესი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო კომისიის მიერ. "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართვე-

ლოს მთავრობის 2007 წლის 28 ნოემბრის #259 დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვრამდე.

ამდენად, "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია ამჟამად კვლავ ფუნქციონირებს, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2009 წლის 1 იანვრამდე, რა დრომდეც მან უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება 1995 წლის 2 ოქტომბრამდე ნ. ჯ-ძის საბანკო ანგარიშზე რიცხული ანაზღაურების ინდექსაციისა და "მოსახლეობის ანაზღაურებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის #716 ბრძანებულების საფუძველზე მოსარჩელის უფლების რეალიზაციის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორ ნ. ჯ-ძის მოსაზრებას ექსპერტიზის საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნების უსწორობის თაობაზე, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას აღნიშნულ საკითხზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტის დასკვნა ვერ იქნება მიჩნეული ინდექსაციის მექანიზმის განმსაზღვრელ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტად და იგი ვერ შეცვლის საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე მისაღებ გადაწყვეტილებას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებული უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. ექსპერტის დასკვნას სასამართლო ამოწმებს თავისი შინაგანი რწმენით და შეუძლია შესაბამისი დასაბუთებით არ მიიღოს იგი, მით უმეტეს, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ექსპერტის დასკვნა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და თუ მისი მიღება, გაზიარება და მის საფუძველზე საქმის გადაწყვეტა იურიდიულად შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ნ. ჯ-ძის მსჯელობას სახელმწიფოს მიერ მოსარჩელის მატერიალური უფლების აღიარებისათვის თავის არიდების თაობაზე. აღნიშნულს ადასტურებს "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი - მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარება. აღნიშნული ნორმით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულია არა მოსახლეობის მიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურებზე რიცხული თანხა, არამედ მოსახლეობის მიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ანაზღაურებზე შეტანილი თანხების ინდექსირებული სახით დაბრუნების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს, ვინაიდან ამისათვის აუცილებელია, "საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #108 დადგენილებით შექმნილმა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ უფლებამოსილების ვადაში (2009 წლის 1 იანვრამდე) შეიმუშაოს „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ნიშნავს მოსარჩელისათვის ანაზღაურებზე მის უფლებაზე უარის თქმას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ნ. ჯ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. დაჯარიმება და ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას

მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

#ბ-2005-20(ა-07)

27 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
მ. ცისკაძე**

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 5 ივლისს ვ. ხ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ჭიათურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ჭიათურის რაიონის გამგეობის მიმართ.

სარჩელში აღნიშნული იყო, რომ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ჭიათურის რაიონის სოფელ ...-ში დაინგრა მოსარჩელის აწ გარდაცვლილი დედის - ნ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლი, რომლის მემკვიდრეც ვ. ხ-ძე იყო. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო კომისიის მიერ შეტანილ იქნა ახლად ასაშენებელი სახლების სიაში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არაერთი თხოვნის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მისი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის თანხის გამოყოფა. 1991 წლის ბოლოს კი მოსარჩელემ ნასესხები ფულით თვითონ უზრუნველყო საცხოვრებელი სახლის აშენება იმ იმედით, რომ საქართველოს მთავრობა შემდგომში აუნაზღაურებდა მას მიწისძვრის შედეგად მიყენებულ ზარალს. მოგვიანებით, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მიწისძვრის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება ეკისრებოდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, ამ შემთხვევაში - ჭიათურის რაიონის გამგეობას, თუმცა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გამგეობა არ ახდენდა მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზარალის ვ. ხ-ძისათვის ანაზღაურებას. აღნიშნულის თაობაზე, მოსარჩელემ მიმართა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს იმერეთის რეგიონში, რომელმაც გაიზიარა რა მოსარჩელის ოჯახის გასაჭირი, იშუამდგომლა სს "ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების მმართველთან, რათა მას მოსარჩელისათვის აღმოეჩინა დახმარება, თუმცა სს "ჭიათურმანგანუმის" გაკოტრების მმართველმა განუმარტა მოსარჩელეს, რომ მისთვის მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ჭიათურის რაიონის გამგეობას ეკისრებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის - 49655 საბჭოთა მანეთის შესაბამისი თანხის (1991 წლის აპრილის კურსით) კონვერტირებადი ვალუტით (აშშ დოლარი) ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ ზემოხსენებული სასარჩელო მოთხოვნა დააყენა დაზუსტებულ სარჩელშიც, რომლითაც დამატებით მოითხოვა მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის - 49655 საბჭოთა მანეთის ექსპერტთა მონაწილეობით დაანგარიშება.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა ჭიათურის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრები

ნ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლი, რომლის მემკვიდრეც ვ. ხ-ძე იყო. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო კომისიამ ახლად ასაშენებელი სახლების სიაში შეიტანა.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული ჭიათურის რაიონის გამგებლის მიერ იმერეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ ჭიათურის რაიონის წირქვალის თემის საკრებულოს სოფელ ქვედა . . .-ში მცხოვრები ნ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლი 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა და მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო კომისიამ აღნიშნული საცხოვრებელი სახლი შეიტანა ახლად ასაშენებელი სახლების სიაში. იმავე წელს შესაბამისმა სამშენებლო კომპლექსმა დაიწყო ხსენებული სახლის აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ შემდეგ წლებში, თანხების სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა მისი დამთავრება. დაფინანსების შემთხვევაში კი, შესაბამისი კომისიის მიერ პერსონალურად იქნებოდა განხილული ნ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საკითხი და მიღებული იქნებოდა შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ საქმეში არსებული ჭიათურის რაიონის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 23 დეკემბრის #525 ცნობით დასტურდებოდა, რომ წირქვალის თემის საკრებულოში მცხოვრები ნ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლი დაინგრა 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად. აღნიშნული სახლის მშენებლობა დაიწყო იმავე წელს და მშენებლობაზე დაიხარჯა 49000 მანეთი, რაც სახლის მთლიანად დამთავრებისათვის არ იყო საკმარისი, რის გამოც სახლის მშენებლობა არ დამთავრებულა. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სახლის დაზიანება გამოწვეული იყო სტიქიური მოვლენის - მიწისძვრის შედეგად.

რაიონულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, როგორც ჭიათურის რაიონის გამგეობის წარმომადგენელმა განმარტა, მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ვ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლი, იმავე რაიონის გამგეობის მიერ შექმნილმა კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა აღნიშნული საკითხი და აღმოაჩინა, რომ სახლი სრულად იყო აღდგენილი ვ. ხ-ძის სახსრებით, რასაც არც მოსარჩელე უარყოფდა. მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა ხელმძღვანელობდა "საქართველოში 1991 წელს მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივნისის #264 განკარგულებით, სადაც მითითებული იყო, რომ საქართველოში 1991 წლის მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩა 282 ოჯახი, მათ შორის, საჩხერის რაიონში - 221, ხოლო ჭიათურის რაიონში - 61 ოჯახი, რომლებიც ცხოვრობდნენ რკინიგზის ვაგონებში. ამ ოჯახების საბინაო პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალი თითოეული ოჯახისათვის გაეცა 5000 ლარი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელეს მიუღებელი თანხა აუცილებლად მიეცემოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შესაბამის თანხას ჩაურიცხავდა, თუმცა ჯერ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ ზემოაღნიშნულ განკარგულებაში მითითებული, რკინიგზის ვაგონებში მცხოვრები ოჯახები.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა და მხარეებმაც დაადასტურეს, რომ მოსარჩელეს ჭიათურის რაიონის გამგეობამ შესთავაზა თანხის ნაწილის - ჯერ 1200 ლარის, შემდეგ კი 500 ლარის გადახდა, მაგრამ მოსარჩელემ აღნიშნული თანხის მიღებაზე უარი განაცხადა.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობოდა ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველებიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანი წარმოადგენდა სტიქიის შედეგს, რომლის ანაზღაურების მოთხოვნა ჭიათურის რაიონის გამგეობისგან უკანონო იყო, რადგან აღნიშნული ზიანი იყო სტიქიური უბედურების და არა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული მოქმედების შედეგი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებდა მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იკისრა სახელმწიფომ და ჭიათურის რაიონის გამგეობისთვის ზიანის ანაზღაურების უპირობოდ დაკისრება უკანონო იყო.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელწერილები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ ვ. ხ-ძემ მიწისძვრით დაზიანებული სახლის ასაშენებლად სხვადასხვა დროს ისესხა გარკვეული თანხა. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილები არ იყო სანოტარო წესით დამოწმებული. ამასთან, ხსენებული ხელ-

წერილების ნამდვილობის შემთხვევაშიც კი, არ შეიძლება მითითებული თანხის მოპასუხისთვის დაკისრება, რადგან მოპასუხეს ბრალი არ მიუძღოდა ზიანის მიყენებაში.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება ვ. ხ-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ჭუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 12 იანვრის განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხედ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ჩაება.

ჭუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ხ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ჭიათურის რაიონის გამგეობას ვ. ხ-მის სასარგებლოდ 13896 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

ჭუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 23 ივნისის განჩინებით გასწორდა ჭუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და ხსენებული გადაწყვეტილების გამოტანის თარიღად მითითებულ იქნა 2006 წლის 13 აპრილი.

ჭუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება ჭიათურის რაიონის გამგეობამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის განჩინებით ჭიათურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ჭუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად მთლიანად დაინგრა ჭიათურის რაიონის სოფელ . . .-ში მცხოვრები ნ. ხ-მის საცხოვრებელი სახლი, რომლის მემკვიდრესა და იმჟამინდელ მემპატრონეს ვ. ხ-მე წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ ვ. ხ-მის სახლი შეტანილ იქნა ახლად ასაშენებელი სახლების სიაში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, მიწისძვრით დანგრეული სახლის ასაშენებლად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი იყო 49655 მანეთი, რომელიც მიიტაცეს დაუდგენელმა პირებმა და სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე მითითებით (ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას), სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ სადავოდ არ გახადა ის გარემოება, რომ ვ. ხ-მე წარმოადგენდა მიწისძვრით დაზარალებულ პირს, რომლის მიმართაც სახელმწიფომ იკისრა გარკვეული მატერიალური ვალდებულებები, მაგრამ იმავდროულად დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვალდებულების ოდენობის დადგენის ნაწილში და დაასკვნა, რომ მითითებულ ნაწილში საქმე საჭიროებდა დამატებით შესწავლას.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა 49655 ლარის მიტაცების ნაწილში და მიიჩნია, რომ შესაბამისი დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას და მარტოოდენ მითითებული დადგენილების არსებობა სასამართლოს არ აძლევდა შესაბამისი დასკვნის გაკეთების საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლის შემადგენლობისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის ფაქტს, რასაც ადგილი არ ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში და რაც სასამართლოს ართმევდა მითითებული მტკიცებულების უპირობოდ გაზიარების პროცესუალურ შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მითითება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილებით ნ. ხ-მისათვის 49655 რუსული მანეთის გამოყოფის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილება მოიცავდა 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის, მოსახლეობის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველი რიგის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობი-

ექტების აღდგენის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს და განსაზღვრავდა კონკრეტული ზარალის დამდგენი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობას. მითითებული დადგენილების მე-14 პუნქტის შესაბამისად, მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი დახმარების აღმოჩენა უნდა მომხდარიყო შემდეგი გაანგარიშებით: ოჯახებს, რომელთაც დაენგრათ საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობები, გაუნადგურდათ ავეჯი და სხვა ქონება - ერთ ოჯახზე 4000 მანეთი და ოჯახის ყველა წევრზე დამატებით - 500 მანეთი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული დადგენილება განსაზღვრავდა მხოლოდ გასაცემი საკომპენსაციო თანხის ოდენობას. თუ სააპელაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ დადგენილებას მიიჩნევდა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად, იგი ვალდებული იყო, მითითებულ დადგენილებაზე დაყრდნობით, დაესაბუთებინა დაკისრებული თანხის ოდენობა.

საკასაციო სასამართლომ არსებითად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დაედგინა და გამოკვლია, რა ნაწილში და რა ოდენობით აღიარა სახელმწიფომ შესაბამისი ვალდებულება და აღიარებული იყო თუ არა ვალდებულება 49655 მანეთის ოდენობით. საკასაციო სასამართლომ ასევე ყურადღება მიაქცია "საქართველოში 1991 წელს მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივნისის #264 დადგენილებას და აღნიშნა, რომ, თუ სააპელაციო სასამართლო დასკვნინდა, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან არ მომხდარა საკომპენსაციო თანხის კონკრეტული ოდენობის აღიარება, საჭირო იყო სააპელაციო სასამართლოს ემსჯელა ზემოაღნიშნული დადგენილების ვ. ხ-ძესთან მიმართებაში გამოყენების შესაძლებლობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება; ვ. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას ვ. ხ-ძის სასარგებლოდ 6134 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ხ-ძე იყო მიწისძვრით დაზარალებული. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების მე-14 პუნქტის თანახმად, მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი დახმარების აღმოჩენა უნდა განხორციელებულიყო შემდეგი გაანგარიშებით: ოჯახებისათვის, რომელთაც დაენგრათ საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობები, გაუნადგურდათ ავეჯი და სხვა ქონება - ერთ ოჯახზე 4000 მანეთი და ოჯახის თითოეულ წევრზე დამატებით - 500 მანეთი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. ხ-ძის ოჯახი შედგებოდა ხუთი წევრისაგან. საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 20 სექტემბრის #2175/28-04 მიმართებით, რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, დადგენილი იყო საბჭოთა მანეთის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1991 წლის მდგომარეობით. აღნიშნული მიმართვის დანართით კი დასტურდებოდა, რომ 1991 წლის მაისის მონაცემებით, 100 აშშ დოლარის კონვერტირებადი კურსი შეადგენდა 178 რუსულ მანეთს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ იმდროინდელი 100 აშშ დოლარი უდრიდა 168 ლარს. ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების მე-14 პუნქტიდან გამომდინარე, ვ. ხ-ძეს უნდა ანაზღაურებოდა 6134 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მას უნდა ანაზღაურებოდა 49655 მანეთი შესაბამისი კურსით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მიწისძვრით დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების მე-14 პუნქტით, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაასაჩივრა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურების ამავე გამგეობისათვის დაკისრებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების მე-13 პუნქტის თანახმად, მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობაზე ანგარიშსწორების ვალდებულება თავის თავზე აიღო საქართველოს მთავრობამ და უშუალოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე წარედგინა მიწისძვრით დაზიანებული შენობების რემონტისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის შესახებ წინადადება რესპუბლიკის სამინისტროებიდან და უწყებებიდან, რაიონის პრეფექტურებიდან მიღებული გაანგარიშებების საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლში მითითებული გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო.

2007 წლის 23 ოქტომბერს ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და ამავე პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განცხადებას თან ერთოდა შპს "საქართველოს ფოსტის" ფილიალის "ჭიათურის ფოსტის" 2007 წლის 10 სექტემბრის ცნობა და საფოსტო ქვითრის ასლი, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვადაში ჩააბარა საკასაციო საჩივრის შემცველი გზავნილი შესაბამის ფოსტას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადება დაკმაყოფილდა - გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდა წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 2 ნოემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 იანვრის განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 28 თებერვალს, 14.00 საათზე.

2008 წლის 8 თებერვალს ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 27 მარტს, ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განჩინებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების (განჩინების) მიღებამდე შეჩერდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ვ. ხ-მე არის 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული, რომლის სახლიც მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა და დაინგრა, ხოლო ვ. ხ-მის დედას - ნ. ხ-მეს ჭიათურის რაიონის გამგეობამ (უფლებამონაცვლე - ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) აცნობა, რომ აღნიშნული სახლის აღდგენის დამთავრება არ მოხერხდა თანხის სიმციროს გამო და დაფინანსების შემთხვევაში, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო კომისიაში პერსონალურად იქნებოდა განხილული ნ. ხ-მის საცხოვრებელი სახლის საკითხი და მიღებული იქნებოდა შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ კასატორი სადავოდ ხდის და კასაციის მიზეზად მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების მე-13 პუნქტის თანახმად, მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობაზე ანგარიშსწორების ვალდებულება თავის თავზე აიღო საქართველოს მთავრობამ და

უშუალოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე წარედგინა მიწისძვრით დაზიანებული შენობების რემონტისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის შესახებ წინადადება რესპუბლიკის სამინისტროებიდან და უწყებებიდან, რაიონის პრეფექტურებიდან მიღებული გაანგარიშებების საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი სადავოდ არ ხდის ვ. ხ-ძის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას და ჭიათურის რაიონის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) წარმომადგენელმა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზეც განმარტა, რომ მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ვ. ხ-ძის საცხოვრებელი სახლი, იმავე რაიონის გამგეობის მიერ შექმნილმა კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა აღნიშნული საკითხი და აღმოაჩინა, რომ სახლი სრულად იყო აღდგენილი ვ. ხ-ძის სახსრებით, რასაც არც მოსარჩელე უარყოფდა. მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე მიუთითა, რომ ჭიათურის რაიონის გამგეობა (უფლებამონაცვლე - ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ხელმძღვანელობდა "საქართველოში 1991 წელს მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივნისის #264 განკარგულებით, სადაც მითითებული იყო, რომ საქართველოში 1991 წლის მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩა 282 ოჯახი, მათ შორის, საჩხერის რაიონში - 221, ხოლო ჭიათურის რაიონში - 61 ოჯახი, რომლებიც ცხოვრობდნენ რკინიგზის ვაგონებში, ხოლო ოჯახების საბინაო პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა თითოეული ოჯახისათვის გაეცა 5000 ლარი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოსარჩელეს კი მიუღებელი თანხა აუცილებლად მიეცემოდა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შესაბამის თანხას ჩაურიცხავდა, თუმცა ჯერ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ ზემოაღნიშნულ განკარგულებაში მითითებული, რკინიგზის ვაგონებში მცხოვრები ოჯახები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების მე-13 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაავალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისთვის მიწისძვრით დაზიანებული შენობების რემონტისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის შესახებ წინადადების წარდგენა. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ამ შემთხვევაში მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების უკანონობის თაობაზე და კასატორის ყურადღებას მიაპყრობს საქმეში წარმოდგენილ ჭიათურის რაიონის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 27 ოქტომბრის #924 წერილზე ვ. ხ-ძისადმი, რომლითაც დასტურდება ამავე გამგეობისათვის ტრანსფერით შესაბამისი თანხის გამოყოფის ფაქტი, კერძოდ, ამ წერილში მითითებულია, რომ 1998 წელს გამოიყო ტრანსფერი მიწისძვრით დაზარალებულთათვის, რომელიც იმ დროს მმართველი იყო პედაგოგთა ხელფასების დასაფარავად და შემდგომ იგი უნდა აღედგინა ადგილობრივ ბიუჯეტს, ხოლო იმ დროისათვის ხსენებული თანხა აღდგენილი და გადარიცხული იყო მიზნობრივად.

გარდა ამისა, "საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული იყო, რომ მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რაიონების პრეფექტურებს დაუყოვნებლივ უნდა შეედგინათ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო, აუცილებელი პირობების უზრუნველყოფის პირველი რიგის სამუშაოთა ნუსხა და მათ ხელთ არსებული ფულადი და მატერიალური რესურსების ფარგლებში შესდგომოდნენ აღდგენით სამუშაოებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ შესაბამისი რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, აღდგენითი სამუშაოების განხორციელება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა "საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის #352 დადგენილება და სწორად მიიჩნია, რომ აღნიშნული დადგენილების მე-14 პუნქტის თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოსარჩელე ვ. ხ-ძის სასარგებლოდ 6134 ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რის გამოც არ

არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ჭიათურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაზიდვის ხელშეკრულება; ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისათვის

განჩინება

ბს-611-583 (კ-08) 3 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "საქართველოს რკინიგზამ" სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი სს "ფოთის პორტის" მიმართ, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ს.ს. "ფოთის პორტის" სათანადო მოპასუხით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" შეცვლის თაობაზე და საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის რაიონულ საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" მიერ 2007 წლის 16 თებერვალს შედგენილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და დადაგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაგენილად მიიჩნია, რომ შპს "სჯს ჯორჯიას" მიერ ჩატარებულ იქნა საგზავნის ინსპექცია. ამ დროისათვის ტვირთი მის მესაკუთრეს, შპს "სილკ როუდ გრუპს" ჰქონდა მიღებული შპს "ჩელენ ენერჯის" ნავთობ ტერმინალზე. ტვირთის ინსპექტირებას და ლაბორატორიულ შემოწმებას ესწრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სს "ფოთის პორტის" წარმომადგენელი, ინსპექტორი ზ. შელია, ხოლო შპს "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენელი იქ არ ყოფილა. შპს "სჯს ჯორჯიას" მიერ ჩატარებული ინსპექტირებით გამოირკვა, რომ #79700217 ვაგონზე ადგილი ჰქონდა დანაკლისს, კერძოდ, გამოვლინდა საწვავის დანაკარგი 6595 კგ-ს ოდენობით, ამასთან აღმოჩნდა რომ საგზაო უწყისში ტვირთგზავნის მიერ ნაჩვენები ორი დამლა (ლუქი) დარღვეული არ ყოფილა.

საბაჟოს ინსპექტორმა ჩათვალა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის", როგორც საქონლის გადამზიდველის მხრიდან ადგილი ჰქონდა საბაჟო სამართალდარღვევას, კერძოდ, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გატანა/გასვლა, რომელსაც თან ახლავს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა. ამასთან დაკავშირებით საბაჟო ინსპექტორ ზ. შელიას მიერ

შედგენილ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც შპს "საქართველოს რკინიგზას" სან-
ქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 3024,52 ლარის ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ საბაჟო სამარ-
თალდარღვევის ოქმი დამრღვევი მხარის მონაწილეობით შედგა და გასაცნობად იგი შპს "საქარ-
თველოს რკინიგზას" წარედგინა, რამდენადაც რკინიგზის სადგურ "ფოთის" უფროსი შპს "საქარ-
თველოს რკინიგზის" წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი არ ყოფილა და ოქმის
მისთვის გასაცნობად წარედგენა არ მოიცავს საქართველოს საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლით გან-
საზღვრულ წესს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით. ოქმი გასაცნობად
წარედგინება საქმის წარმოების მონაწილე ყველა პირს, მათ უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები,
რომლებიც აისახება ოქმში (235-ე მუხლის მე-4 პუნქტი) და სამართალდარღვევის ჩამდენს უფ-
ლება აქვს, წარმოადგინოს საქმეზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარ-
სთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს საკუთარ ხელმოწერაზე უარის მიზეზები. სასამარ-
თლომ მიუთითა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა", როგორც ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქ-
ცეული საქონლის გადამზიდველი, რომელსაც საქონელი გადაეცა საბაჟო ორგანოსაგან შეთანხმე-
ბით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ვალდებული იყო
დანიშნულების საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარედგინა საქო-
ნელი საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად და თანმხლები დოკუმენ-
ტებით, რაც მოსარჩელემ შეასრულა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისა და საქართველოს სარკი-
ნიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის კოლეგიის გერთიანებული სხდომის მიერ 1998 წლის 15
თებერვალს დამტკიცებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადა-
ადგილებული საბაჟო ტვირთის საბაჟო კონტროლისა და გაფორმების მექანიზმის შემდგომი სრულ-
ყოფის ღონისძიებათა შესახებ ინსტრუქციის მე-8 პუნქტის თანახმად, საბაჟო ორგანოს და სასაზ-
ღვრო რკინიგზის წარმომადგენლები ერთობლივად ამოწმებენ შემოსულ ტვირთზე (თანმხლები სა-
ბუთების მიხედვით) არსებული პლომბების ვარგისიანობას და მის შესაბამისობას საბუთებთან. ინ-
სტრუქციის აღნიშნული წესიდან გამომდინარე მხარეებმა ტვირთის საქართველოს საზღვრის გად-
მოკვეთისას საწვავით დატვირთული ვაგონის ზედნადებით დაადასტურეს, რომ #79700217 ვაგონ-
ზე 2 პლომბი იყო დადებული, რაც აღნიშნულია ზედნადების 45-ე გრაფაში. ტვირთის ზედნა-
დებში არ არის მითითებული, რომ ვაგონს სხვა რაიმე პლომბი ჰქონდა დადებული. ტვირთის
ტერმინალში აზომვისას დადასტურებულ იქნა იმ პლომბების მთლიანობა, რაც ზედნადებში იყო
მითითებული, რასაც მოპასუხეც არ უარყოფს. ეს კი სასამართლოს აზრით იმ გარემოებაზე მიუ-
თითებს, რომ გადამზიდველმა რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა ტვირთი, იგივე სახით მიიტანა და-
ნიშნულების ადგილზე და რკინიგზის ტვირთის გადაზიდვის წესების 22-ე თავის 332-ე პუნქტით
გათვალისწინებულ კომერციულ წუნს ადგილი არ ჰქონია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ტვირთის
მიმდებ, შპს "სილკ როუდ გრუპს" გადამზიდველისათვის არანაირი პრეტენზია არ წაუყენებია
ტვირთის დანაკლისთან დაკავშირებით და მან ტვირთი ჩაიბარა, რაც დაცლილ იქნა ტერმინალზე.
ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საბაჟო კოდექ-
სის 248-ე მუხლის დეფინიცია საბაჟო სამართალდარღვევად მიიჩნევს საბაჟო ზედამხედველობის
ქვეშ არსებული საქონლის დაკარგვის, განადგურების ან უკანონო განკარგვის გზით გატანა/გას-
ვლას, მოცემულ შემთხვევაში კი საბაჟო ზედამხედველობის ზონიდან ტვირთის უკანონო გას-
ვლის/გატანის ფაქტი არ ყოფილა დადგენილი, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო საბაჟო სამართალ-
დარღვევის საფუძველი. საბაჟოს ინსპექტორმა, რომლის მიერაც შედგენილ იქნა საბაჟო სამართალ-
დარღვევის ოქმი, მასში დააფიქსირა ზენორმატიული დანაკარგი, თუმცა ოქმში არ არის დასაბუ-
თებული, რაში გამოიხატა შპს "საქართველოს რკინიგზის" ბრალი, რასაც რეალურად არც ჰქონია
ადგილი.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის
1-ლი პუნქტი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი
პუნქტი და 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები სასამართლომ მიიჩნია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძ-
ვლად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინის-
ტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ საბაჟო "დასავლეთმა".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის
განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა საქმეზე ბათუმის საქა-
ლაქო სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ზედნადებით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ
#79700217 ვაგონზე 2 დამლა იყო დადებული, ხოლო სხვა რაიმე დამლა ჰქონდა თუ არა ვაგონს

ამის თაობაზე ზედნადებში არაფერია აღნიშნული. ტვირთის ტერმინალში აზომვისას დადასტურებული იქნა დამღების მთლიანობა. აღნიშნული მხარეებმაც არ უარყვეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ გადამზიდველმა რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა ტვირთი, იმავე მდგომარეობაში ჩააბარა და მიიტანა დანიშნულების ადგილზე. სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ტვირთის მიმღებს არანაირი პრეტენზია არ წაუყენებია ტვირთის გადამზიდველისათვის.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლი.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი წარმოადგენს კანონის დარღვევით შედგენილ აქტს, რამაც გამოიწვია მხარის მიმართ უსაფუძვლო სანქციის დაკისრება და შედეგად შპს "საქართველოს რკინიგზის" კანონიერი ინტერესის უკანონო შელახვა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ). კასატორმა გასაჩივრებული განჩინება უკანონოდ მიიჩნია და მოითხოვა მისი გაუქმება.

კასატორის მოსაზრებით საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის სამართლებრივი გარემოება, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა" პასუხისმგებელია საბაჟო ოქმში აღნიშნული სამართალდარღვევისათვის, ვინაიდან შპს "საქართველოს რკინიგზა" წარმოადგენს გადამზიდველს, რომელსაც საქართველოს საბაჟო კოდექსის, საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები და მათგან გამომდინარე, პასუხისმგებლობებიც.

კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გადაზიდვის დროს შპს "საქართველოს რკინიგზისა" და ტვირთგამგზავნის შორის გაფორმდა ზედნადები, რაც, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მეორე მუხლის "ო" პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას. ზედნადები შეიცავს გადაზიდვისათვის განკუთვნილი ტვირთის ყველა მონაცემებს, ტვირთის მასისა და ზონის ამსახველი მონაცემების ჩათვლით.

კასატორმა მიუთითა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1773 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს რკინიგზა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს; კასატორის აზრით, აღნიშნულის ერთ-ერთ დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების 2007 წლის 6 თებერვლის აღრიცხვის მოწმობა #274324, რომლის მე-20 გრაფაში იგი დაფიქსირებულია პასუხისმგებელ პირად. საბაჟო ორგანო კი ამავე ბრძანების მე-6 მუხლის, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის მოძრაობის მაკონტროლებელ ორგანოს. კასატორის აზრით, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 36-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, გადატვირთვის პუნქტში (რომელსაც წარმოადგენდა ფოთის სადგური) გადაცემამდე მისი დაუცველობისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება ტვირთის გადამცემს, ანუ რკინიგზას, ხოლო ტვირთის გადაცემის შემდგომ მიმღებ მხარეს, რომელსაც წარმოადგენდა ასევე რკინიგზის შემადგენლობაში მყოფი "ფოთის სადგური". კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 676-ე მუხლის თანახმად, გადამზიდველი ვალდებული იყო, ტვირთის მიღებისას შეემოწმებინა ზედნადებში აღნიშნულ მონაცემთა სისწორე, რის საშუალებას მას ასევე აძლევდა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მე-12 მუხლის მე-8 ნაწილი.

კასატორმა მიუთითა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 46-ე მუხლზე, და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, ტვირთის დანაკლისის შემთხვევაში, რკინიგზას ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ დანაკლისი მოხდა ტვირთგამგზავნის მიზეზით ან ტვირთის ბუნებრივი თვისების გამო. კასატორის აზრით, აღნიშნული რკინიგზის მიერ საქმეში არსებული ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ იქნა დადასტურებული, რაც საბაჟოს მხრიდან წარმოადგენდა შპს "საქართველოს რკინიგზის" დაჯარიმების ერთ-ერთ საფუძველს. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ტვირთის გადაზიდვისას წარმოშობილ ზიანს რკინიგზა ანაზღაურებს ტვირთის დაკარგვის ან დანაკლისის შემთხვევაში, დაკარგული ტვირთის ან დანაკლისის ღირებულების ოდენობით.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ტვირთის მასა სწორად მიიჩნევა თუ დანიშნულების რკინიგზის სადგურზე დადგენილ მასასა და გაგზავნის რკინიგზის სადგურზე დადგენილ მასას შორის განსხვავება არ აღემატება ტვირთის მასის ბუნებრივი

დანაკლისის ზღვრულ ნორმას. აღნიშნულ შემთხვევაში სადავო ვაგონზე დანაკლისმა შეადგინა 6 ტონა და 595 კილოგრამი, რაც შეუძლებელია ჩაითვალოს ბუნებრივ დანაკლისად.

კასატორი თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდგომ შპს "საქართველოს რკინიგზა" საბაჟო ორგანოს წინაშე წარმოადგენდა ერთადერთ, კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს, რომლის მიმართაც საბაჟო ორგანოს მიერ სრულიად კანონიერად განხორციელდა ზემოთ მითითებული ღონისძიებები. აღნიშნულის შესახებ კი არ იმსჯელა სასამართლომ. საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ გასაჩივრებული განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ისე, რომ სასამართლო პროცესის შესახებ ბათუმის რეგიონალურ ცენტრს შეტყობინება საქმის განხილვის თაობაზე არ მიუღია, რის შედეგად დარღვეულ იქნა საქმეში მონაწილე მხარის კანონით დაცული ინტერესები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ #79700217 ვაგონზე ინსპექტირების ჩატარების შედეგად გამოვლინდა საწვავი დანაკარგი 6595 კგ.-ის ოდენობით. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ 2007 წლის 16 თებერვალს შედგენილ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი #000342 და შპს "საქართველოს რკინიგზას" დაეკისრა გადაზიდულ ტვირთზე გამოვლენილი ზენორმატიულ დანაკარგისათვის პასუხისმგებლობა საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად. საბაჟო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა/გასვლა, რომელსაც თან ახლავს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა, იწვევს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას ასეთ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით ან/და საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევას. სააპელაციო სასამართლომ რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" მიერ 2007 წლის 16 თებერვალს შედგენილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ბათილად ცნო იმ საფუძველზე, რომ ზედნადებში მხოლოდ ორი დამდა იყო მითითებული, რომელიც დადებული ჰქონდა #79700217 ვაგონს და ტვირთის აზომვისას დადასტურებული იქნა დამდების მთლიანობა, აღნიშნული კი სასამართლომ იმის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია, რომ გადამზიდველმა რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა ტვირთი, იმავე მდგომარეობაში ჩააბარა და მიიტანა დანიშნულების ადგილზე. საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მოსაზრება, რადგან სასამართლომ არ გამოარკვია, შპს "საქართველოს რკინიგზამ" გადაზიდვის დაწყებამდე სწორად იმ რაოდენობის ტვირთი ჩაიბარა, რამდენიც ჩაიტანა ფოთში; ზედნადებში მითითებული წონა შეამოწმა თუ არა გადაზიდვის დაწყებამდე და საწვავის წონის დანაკლისის თაობაზე გამოთქვა თუ არა პრეტენზია, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 676-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, გადამზიდველს ევალება ტვირთის მიღებისას ტვირთის რაოდენობის შემოწმება. ამავე მუხლის მეორე ნაწილით თუ გადამზიდველს არა აქვს სათანადო საშუალება იმისათვის, რომ შეამოწმოს ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტში აღნიშნული მონაცემები, მაშინ მას ზედნადებში შეაქვს პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს. ამგვარადვე უნდა შეიტანოს მან ისეთი პირობები, რომლებიც შეეხება ტვირთის გარეგნულ მდგომარეობასა და მის შეფუთვას. ეს პირობები გამგზავნისათვის არ არის სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან ისინი ზედნადებში აშკარად აღიარა.

საქმეში წარმოდგენილია #79700217 ვაგონის შემოწმებისას შპს "შეშე გეორგია-ს" 2007 წლის 14 თებერვლის აქტი იმის შესახებ, რომ ვაგონს არ აქვს "შეშე"-პლომბი. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი ითვალისწინებს რკინიგზის გათავისუფლებას ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან გადასაზიდად მიღებული ტვირთის დაკარგვისათვის, დაზიანებისათვის, გაფუჭებისათვის ან დანაკლისისათვის, თუ ტვირთი მიტანილ იქნა ტვირთამგზავნის გამართული ჩამკეტ-საპლომბი მოწყობილობების მქონე წესიერული ვაგონით (კონტინერით) და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვირთის დაცულობას. ამ ნორმის თანახმად საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ არ გამოარკვია ორი დამ-

დის გარდა გადაზიდვის პროცესში საჭირო იყო თუ არა სხვა დამცავი მექანიზმის გამოყენება, რომელთა ჯეროვანი განხორციელების შემთხვევაში ტვირთი დაცული იქნებოდა აღნიშნული დანაკლისისაგან.

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად გადასაზიდად ტვირთის მიღებიდან მის გაცემამდე რკინიგზას ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაუცველობისათვის, თუ ის ვერ დაამტკიცებს, რომ ტვირთი დაიკარგა, დაზიანდა, გაფუჭდა ან ადგილი ჰქონდა დანაკლისს: ა) ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების მიზეზით; ბ) ტვირთის ბუნებრივი თვისებების გამო; გ) ტარის (შეფუთვის) ნაკლოვანებების გამო, რომლებიც არ შეინიშნებოდა ტვირთის მიღების დროს მისი გარეგნული დათვალიერებისას ან ისეთი ტარის (შეფუთვის) გამოყენების გამო, რომელიც არ შეესაბამება ტვირთის თვისებებს; დ) გადასაზიდად იმ ტვირთის ჩაბარების გამო, რომლის ტენიანობა აღემატება დადგენილ ნორმებს.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გადაზიდული ტვირთის დანაკლისის გამომწვევი მიზეზი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დარღვევისათვის

განჩინება

#ბს-1169-1131(კ-08) 15 აპრილი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

28.03.07წ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და შპს "...-თვის" სახელმწიფო შესყიდვის პირობების დარღვევით გამოწვეული საჯარიმო თანხის, 43 537 ლარისა და 56 თეთრის დაკისრება მოითხოვა. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს "...-მა" აიღო ვალდებულება 2006 წლის ბოლომდე 115552 ლარის სანაცვლოდ მიეწოდებინა ფინანსთა სამინისტროსათვის 32000 ცალი ერთჯერადი ლუქი. ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიწოდებულს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 1%-ის ოდენობით. შპს "...-მა" დაარღვია მიწოდების ვადები, რისთვისაც პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 43 537,56 ლარი.

შპს "...-მა" უარყო სასარჩელო მოთხოვნა და წარდგენილი შესაგებლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს "...-ს" შორის გაფორმებული 18.10.06წ. ხელშეკრულების 6.1 პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვა, რადგან ვადების დარღვევა გამოწვეული იყო ფინანსთა სამინისტროს ბრალით, ამასთან, საჯარიმო სანქცია 1%-ის ოდენობით არ შეესაბამებოდა გამოცხადებული ტენდერის პირობებს, რომელიც 0.1% ითვალისწინებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.07წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს "...-ს" დაეკისრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ 18.10.06წ. #517 ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული საჯარიმო თანხის 0.1%-ის გადახდა, შპს "...-ის" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 18.10.06წ. #517 ხელშეკრულების 6.1 პუნქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.06.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიუთითა შემდეგი: "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ეს ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა ჩატარების შესახებ განცხადება. ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია, მან ცალმხრივად შეცვალა პირობა, ათჯერ გაზარდა პირგასამტეხლოს ოდენობა და ნაცვლად 0.1%-ისა მიუთითა 1%, რითაც დაარღვია ზემოხსენებული ნორმა. სასამართლომ, ასევე, არამართებულად მიიჩნია "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის გამოყენების შესაძლებლობა, რადგან იგი არ ეხება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ხოლო ასეთის შემთხვევაში განხორციელებულ ქმედებას არ აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.06.08წ. განჩინების გაუქმება მოითხოვა, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება დაუსაბუთებლად მოხდა. ამასთან, შპს "...-ს" თავისი ხელმოწერით დაეთანხმა ხელშეკრულების პირობას. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულების 6.1 პუნქტი უკანონოდ ცნო ბათილად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 01.11.08წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე 28.11.08წ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით წარმოადგინა მოსაზრება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის შესაბამისად. საკასაციო პალატის 21.01.09წ. განჩინებით სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის შპს "...-ის" წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ სცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.06.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს "...-ს" შორის 18.10.06წ. დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #517, რომლის მიხედვით შპს "...-ს" სამინისტროსათვის უნდა მიეწოდებინა 32000 ერთჯერადი ლუქი.

მიწოდება უნდა მომხდარიყო ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის მიხედვით, ეტაპობრივად, დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით, 2006 წლის ბოლომდე. აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო სამინისტროს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ხელშეკრულება ემსახურება სახელმწიფოს აუცილებელ ფუნქციათა განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესყიდვას, ამდენად, სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სახეუა ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადებაზე ორმხრივი და ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენის შემდეგ, ხელშეკრულება თანაბარი ძალით ხდება ორივე მხარისათვის სავალდებულო და არ დაიშვება მისი პირობების ცალმხრივი შეცვლა, უკანასკნელი ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტთან შეთანხმების არსს.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადების წესს განსაზღვრავს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი და საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 03.01.06წ. #1 ბრძანებით დამტკიცებული დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ". ამდენად, სატენდერო პირობის ცალმხრივად შეცვლის საფუძველს არ ქმნის და ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის მე-9 და მე-17 მუხლები, ვინაიდან ხსენებული კანონი არ არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვებს, ხოლო "მომხმარებელად" მიიჩნევა პირადი საჭიროებისათვის საქონლის შემქმნელი, შემკვეთ ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესყიდვა როგორც წესი ხორციელდება ტენდერის საშუალებით. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ტენდერის გამოყენების შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაიცვას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით დადგენილი მოთხოვნები. საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის კასატორის მითითება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლზე. აღნიშნული მუხლის თანახმად, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება ქვეყნდება საჯაროდ და მასში უნდა მითითდეს ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისათვის. სახელმწიფო, ასეთი პირობების დადგენით და წინასწარი გამოქვეყნებით, ადასტურებს თავის ნებას შეიბოჭოს ამ პირობებით და სწორედ მათი გათვალისწინებით დადოს ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან. სწორედ, ინფორმაციის გამოქვეყნების იურიდიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება. ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს ტენდერის მონაწილეთა ინტერესების დაცვას, რომელთაც კანონიერი ნდობა ჰქონდათ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიმართ და სწორედ მას დაუკავშირეს ტენდერში მონაწილეობისა და ხელშეკრულების დადების სურვილი, რადგან, კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული ინფორმაცია იქცევა ხელშეკრულების პირობად, რომლის შესრულება სავალდებულოა მხარისათვის.

ამდენად, ხელშეკრულების პირობებში ცვლილების შეტანის უფლება, უკავშირდება სანაცვლო ვალდებულების შესრულებას -კანონით დადგენილი წესით ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოაქვეყნებას საჯაროდ, იმავე საინფორმაციო საშუალებაში, რომელშიც თავდაპირველი განცხადება განთავსდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფინანსთა სამინისტროს ზემოაღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულება იდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სატენდერო კომისია სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებამდე. აღნიშნული ნორმის მე-3 პუნქტი ადგენს იმ მონაცემთა ჩამონათვალს, რომელსაც უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორის, ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი ("ვ" ქვეპუნქტი). საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 03.01.06წ. #1 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენს დოკუმენტა პაკეტს, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, სატენდერო პროცესის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დასადები ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე. მე-4 პუნქტში ჩამოთვლილია ის დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორისაა, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების შესახებ ცნობები. ამავე დებულების მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სატენდერო დოკუ-

მენტაციის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის და პრეტენდენტების მიერ მისი მიღების წესი განისაზღვრება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-14 მუხლით და ამ დებულებით. ნებისმიერი ცვლილებისა და სიახლის შესახებ უნდა ეცნობოს ყველა პრეტენდენტს. დებულების 19-ე მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციით და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე. ამავეს ადასტურებს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტიც, რომლის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების პირობების გათვალისწინებით ხდება ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის შედგენა.

ამდენად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება უკვე გამოქვეყნებული და გამარჯვებულ პრეტენდენტთან წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად. სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი თვითნებურად შეეცვალა პირგასამტეხლოს ოდენობა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მიუხედავად მხარის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ შეტანილი ცვლილება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ვერ იქცევა, მით უფრო, რომ გაუარესდა მხოლოდ ერთი მხარის მდგომარეობა, კერძოდ, ხელშეკრულების 6.2 პუნქტი შემსყიდველის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ოდენობას 0.1%-ით განსაზღვრავს, რაც მიმწოდებლისათვის დადგენილ სანქციასთან შედარებით ათჯერ უფრო მცირეა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას შეზღუდულია კანონით და უფლება არ აქვს მისი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება. მის მიერ უფლებამოსილების გადამეტებით განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობდა შპს "...-თვის" პირგასამტეხლოს 0.1%-ით და არა 1%-ით გადახდის დაკისრების, აგრეთვე, 18.10.06წ. #517 ხელშეკრულების 6.1 პუნქტის ბათილად ცნობის საფუძველი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.06.08წ. განჩინება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე
ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

#ბს-394-378(კ-08)

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

14.03.07წ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ჯ-იანმა და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოსაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის, 14400 ლარის, ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საკონკურსო კომისიის 30.12.03წ. გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #32-ში მდებარე არასაცხოვრებელი 44.87 კვ.მ-ის კონკურსის წესით იჯარით გაცემის შესახებ ჩატარებული აუქციონის შედეგებით ცნობილი იქნა გამარჯვებულად. მიუხედავად აღნიშნულისა, სამმართველო არ ასრულებს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას და არ აძლევს საიჯარო ფართით სარგებლობის საშუალებას. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.04.06წ. გადაწყვეტილებით ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს დაევალა გაეფორმებინა საიჯარო ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესით ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #32-ში მდებარე არასაცხოვრებელ 44.87 კვ.მ-ზე. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მისი არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხე ორგანიზაციას არ შეუსრულებია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ ხნის მანძილზე ვერ მოახერხა იჯარით აღებულ ფართში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, რითაც განიცადა 7000 ლარის ზარალი. იჯარით აღებულ ფართში დაგეგმილი ჰქონდა ინტერნეტ-კაფეს გახსნა, რისთვისაც სესხის ხელშეკრულებით მიღებული თანხით შეიძინა კომპიუტერები. იმის გამო, რომ საიჯარო ფართი არ გადასცეს, გაცილებით დაბალ ფასად გაყიდა შეძენილი კომპიუტერები, რითიც განიცადა 2100 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ზარალი. მოპასუხის კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო 14 400 ლარის ზიანი მიადგა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.08.07წ გადაწყვეტილებით გ. ჯ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს დაეკისრა 7000 ლარი გ. ჯ-იანის სასარგებლოდ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.04.06წ. გადაწყვეტილების თანახმად, ქ. ქუთაისში ... ქ. #32-ში მდებარე არასაცხოვრებელი 44.87 კვ.მ-ის კონკურსის წესით იჯარით გაცემის შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის 30.12.03წ. #40.7 ოქმის შესაბამისად გ. ჯ-იანთან ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს დაევალა გ. ჯ-იანთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა, საიჯარო ფართზე ხელშეკრულება არ გაფორმებულა და საიჯარო ფართი მოსარჩელეს თავისუფალ მდგომარეობაში არ ჩაჰბარებია. სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის განმარტება იმის თაობაზე, რომ იჯარის ხელშეკრულება არ ფორმდებოდა გ. ჯ-იანის ბრალით. სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. ჯ-იანმა მრავალჯერ მიმართა სამმართველოს, რაც ადასტურებდა მის ინტერესს ხელშეკრულების გაფორმებისადმი, თუმცა საიჯარო ფართი არ გამოთავისუფლებულა. სასამართლომ მიიჩნია, რომ იჯარის ხელშეკრულების გაუფორმებლობით გ. ჯ-იანს მიადგა ზიანი. სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება, ხოლო 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლოს განცხადებით, ვინაიდან კონკურსში გამარჯვების დღიდან მოსარჩელე აღნიშნული ფართის გამოყენებით მოელოდა სულ მცირე 7000 ლარის მოგებას, საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა სავარაუდო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.08წ გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 27.08.07წ. გადაწყვეტილება და გ. ჯ-იანს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.04.06წ. გადაწყვეტილებით ქუთაისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების სამმართველოს დაევალა გ. ჯ-იანთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება. საქმეში დაცული სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმიმერეთის სამხარეო სამმართველოს მიმართვების, ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამმართველო მიმართავდა გ. ჯ-იანს ხელშეკრულების გასაფორმებლად. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი სთავაზობდა ფართს გ. ჯ-იანს და მას არ შეეძლო ევარაუდა, რომ გ. ჯ-იანს ზიანი მიადგებოდა. სააპელაციო პალატის განცხადებით, ვინაიდან გ. ჯ-იანს არ უცნობებია სამმართველოსათვის, რომ აპირებდა იჯარით აღებულ ფართში ინტერნეტ-კაფეს გახსნას, მიყენებული ზიანი წარმოადგენდა მეწარმის რისკს. სასამართლომ მიუთითა, რომ გ. ჯ-იანისათვის ცნობილი იყო სადავო ფართის სხვა პირის მფლობელობაში არსებობის ფაქტი, თუმცა არ მოუთხოვია მისთვის ფართის გამოთავისუფლება. გ. ჯ-იანი მხოლოდ განცხადებებით მიმართავდა სამმართველოს, მაგრამ ფაქტობრივად ფართის რეალურად მიღებისათვის მოქმედებებს არ ახორციელებდა და მას ზიანი მისი მაღალი ხარისხის ბრალეული მოქმედებით მიადგა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ჯ-იანს მოპასუხე ორგანიზაციასთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებით შეეძლო ზიანის თავიდან აცილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯიშკარიანმა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმის მასალებში დაცულია საიჯარო ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტები, რომელთა არსებობაც მისთვის ცნობილი არ ყოფილა, სამმართველოს არასოდეს მიუერთავს მისთვის ხელშეკრულების გაფორმებისათვის. საქმის მასალებში დაცულია გ. ჯ-იანის 10-ზე მეტი განცხადება, რომლითაც იგი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სადავო ფართის გადაცემას ითხოვდა. არც ერთ განცხადებაზე პასუხი არ მიუღია და მთელი ამ დროის განმავლობაში სადავო ფართი სხვა პირს ეკავა. განცხადებებში უთითებდა, რომ ფართის გადაუცემლობის გამო ვერ იწყებდა სამეწარმეო საქმიანობას და ადგებოდა ზიანი. კასატორის განცხადებით სამმართველოს არ შეუთავაზებია მისთვის ფართის დაკავება და სააპელაციო სასამართლოს მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით სინამდვილეს არ შეესაბამება. მოპასუხის ინიციატივით დაკითხული მოწმე ქ. რ-ძის ჩვენებითაც დასტურდებოდა, რომ სადავო ფართი ისევ მესამე პირს ჰქონდა მფლობელობაში, რომელმაც გ. ჯ-იანის არაერთი მიმართვის მიუხედავად ფართი არ გაათავისუფლა.

სსკის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განხილული იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და გ. ჯ-იანის საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 17.05.99წ. #1-3/274 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით მართვის (გადაცემის) წესის შესახებ" დებულების 9.7 მუხლის თანახმად ქონების სარგებლობის უფლება კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით, ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები იფარება გამარჯვებულის მიერ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.04.06წ. გადაწყვეტილებით დაგენილია, რომ 30.12.03წ. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის თანახმად სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების კონტროლის განყოფილებას დაევალა გ. ჯ-იანთან არასაცხოვრებელ 44,87 კვ.მ-ზე კანონით დადგენილი წესით საი.არო ხელშეკრულების გაფორმება. ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფროსის 20.09.04წ. #63 ბრძანების მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #32-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის აღებასთან დაკავშირებით გ. ჯ-იანთან საიჯარო ხელშეკრულება ფართის ფაქტიურად ჩაბარების დღიდან - 2004 წლის 16 აგვისტოდან უნდა გაფორმებულიყო. მიუხედავად ამისა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 19.04.06წ. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #32-ში მდე-

ბარე 44,87 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე საიჯარო ხელშეკრულება გ. ჯ-იანთან სათანადო ზე-სით არ დადებულა. სკ-ის 106-ე მუხლის თანახმად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს, თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს. ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსათვის კანონიერ ძალაში მყოფი 19.04.06წ. გადაწყვეტილებით გ. ჯ-იანთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დავალების მიუხედავად, ხელშეკრულება დღემდე არ დადებულა. საქმეში დაცულია გ. ჯ-იანის არაერთი განცხადება 19.04.06წ. გადაწყვეტილების აღსრულების, ფართის გადაცემის შესახებ. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ჯ-იანი მხოლოდ განცხადებებით მიმართავდა მოპასუხე ორგანიზაციას და ფართის გადაცემისათვის არ მიმართავდა კონკრეტული ქმედებებისათვის. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსადმი განცხადებით მიმართვა კანონიერი მიზნის მიღწევის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე, სასამართლოს მიერ არ დადგენილა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების მიღების, მათი განხილვის ფაქტები, გარდა ამისა, არ არის დადგენილი სამართველოს წარმომადგენლის მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი 12.01.04წ. #1451 და 26.04.07წ. #1616 საიჯარო ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების პროექტების გ. ჯ-იანისათვის გაცნობის, მის მიერ ხელშეკრულებების ხელმოწერაზე უარის თქმის ფაქტები. ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 19.04.06წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სკ-ის 361-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით სასამართლოს არ შეუსრულებია ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ამდენად 22.01.04წ. #1451 საიჯარო ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტი არ ადასტურებს გ. ჯ-იანის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. რაც შეეხება ეკონომიური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროს მიერ 26.04.07წ. ხელმოწერილ ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალები არ შეიცავს მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების და მისი ნაწილის - მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უარის თქმის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა. იმისათვის, რომ მხარემ მიიღოს ოფერტი, ის ცნობილი უნდა იყოს აქცეპტანტისათვის, ოფერტის შესახებ ნების გამოხატვა ნამდვილია მაშინ, როდესაც იგი აქცეპტანტს, არათანმყოფ პირს მიუვა. ამდენად, საქმეზე დადგენას საჭიროებს გ. ჯ-იანისათვის ხსენებული დოკუმენტაციის წარდგენის ფაქტი.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და მხარეები არ დატოვებენ იმაზე, რომ გ. ჯ-იანმა მიიღო მონაწილეობა არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის მიზნით ორგანიზებულ კონკურსში და გაიმარჯვა. კანონმდებლობის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულის ნივთი უნაკლო მდგომარეობით უნდა გადასცემოდეს. მოწმის ჩვენება, ადგილზე დათვალიერება, ფართის საჯარო რეესტრში გატარების საჭიროება არ ადასტურებს სამმართველოს მიერ ამ მოვალეობის შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანი წარმოადგენს მეწარმის რისკს, გ. ჯ-იანს შეეძლო საიჯარო ხელშეკრულების დადებით აეცდინა ანდა შეემცირებინა ზიანი, გ. ჯ-იანის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სწორედ სამმართველოს უმოქმედობა, კერძოდ საიჯარო ხელშეკრულების გაუფორმებლობა და არასაცხოვრებელი ფართის გადაუცემლობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსკ-ის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტი), რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს და იგი უნდა გაუქმდეს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სათანადო შეფასება მისცეს მათ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ჯ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.08წ. გადაწყვეტილება და საქმე

ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება ვაგონების მოცდენის გამო

განჩინება

#ბს-1456-1414 (კ-08) 1 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "... " 2001 წლის აგვისტოში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის გაწეული მომსახურების საფასურის, სულ 26358,57 ლარის გადახდის დაკისრება.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "... " სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელე შპს "... " სასარგებლოდ 26.359 ლარის (ოცდაექვსი ათას სამასორმოცდაცხრამეტი ლარი) გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 13 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამოღებული იქნა მოპასუხეთა სიდიდან და საქმეში ჩაბმული იქნა მესამე პირად.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს "... " სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად; მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელე შპს "... " სასარგებლოდ დაეკისრა 26.359 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულების თანახმად აზერბაიჯანის პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოსათვის ჰუმანიტარული სახით დახმარება 1000 ტონა დიზელის საწავი მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომლის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა დაევალა შპს "... ", ხოლო ხარჯების გადახდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შპს "... " 1000 ტონა დიზელის საწავის ტრანსპორტირება მთლიანად უზრუნველყო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულების მე-6 პუნქტით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ვალდებულია მოსარჩელეს ტრანსპორტირების ხარჯი აუნაზღაუროს 26.359 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382.2 მუხლის შესაბამისად მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები და დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარება 1000 (ათასი) ტონა დიზელის საწვავი, რომელიც ტრანსპორტირებული იქნა შპს "... " მიერ და მიღებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მიერ.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტს სადავოდ არ გაუხდია ჰუმანიტარული დახმარების 1000 (ათასი) ტონა დიზელის საწვავის საქართველოში შპს "... " მიერ ტრანსპორტირების, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებისა და განაწილების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ "აზერბაიჯანიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარების (დიზელის საწვავი) განაწილების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულების მეორე პუნქტით საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს დაევალია მითითებული ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული 1000 ტონა დიზელის საწვავის მიღების უზრუნველყოფა; ხოლო ამავე განკარგულების მეექვსე პუნქტით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან უნდა უზრუნველყოფილი იქნას თანხების გამოყოფა ამ ჰუმანიტარული დახმარების ხარჯების ასანაზღაურებლად.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არ გამოიყენა ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს 1998 წლის 22 ოქტომბრის #59 ბრძანება, რომლითაც განსაზღვრული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დახმარების გზით შემოტანილი საქონლის ჰუმანიტარული ხასიათის დადგენის წესი. სააპელაციო პალატის განმარტებით "აზერბაიჯანიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარების (დიზელის საწვავი) განაწილების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულებით განსაზღვრულია სპეციალური წესი და სუბიექტი აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარების ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტს მითითებული განკარგულების მეექვსე პუნქტი, რომლითაც მას დაევალია ამ ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით კასატორი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მარტის განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის შპს "... " სასარგებლოდ ვაგონების მოცდენისათვის 8914.2 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მარტის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულების მე-6 პუნქტით დადგენილი იყო მოცემული ჰუმანიტარული საწვავის განაწილების სპეციალური წესი და კონკრეტული სუბიექტი ტვირთის შემოტანისა და განაწილებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების თვალსაზრისით, რაც ფინანსთა სამინისტროს ევალებოდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული განკარგულების მე-6 პუნქტი ზოგადად მიუთითებს ხარჯების ანაზღაურებაზე და არა მხოლოდ ტვირთის გადაზიდვის საფასურზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის გადაზიდვა-გადაყვანის მეთორმეტე თავის გადაზიდვა-გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯი გულისხმობს, როგორც უშუალოდ ტვირთის გადაზიდვაზე გაწეულ ხარჯს, ისე ვაგონების მოცდენისათვის გამოწვეულ ხარჯებს; სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის დადგომა და მისი ოდენობა, აქამდე დავის საგანს არ წარმოადგენდა, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმნით.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულების მე-5 პუნქტით საქართველოს შემოსავლების სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტსა და შპს "... " დაევალა 1000 ტონა დიზელის საწვავის ტრანსპორტირებისა და განბაჟების ხარჯების გაანგარიშებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენის უზრუნველყოფა, ხოლო ამავე განკარგულების მე-6 პუნქტის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფდა აღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით პრეზიდენტის ფონდიდან სესხების გამოყოფას; კასატორის მოსაზრებით, მოცემული განკარგულების მე-6 პუნქტში მითითებულ ხარჯებში იგულისხმება ტრანსპორტირების ხარჯები, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ტვირთის დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვის, მისი ჩატვირთვის, გადმოტვირთვისა და სხვა ხარჯებს; რაც შეეხება რკინიგზის ვაგონების მოცდენით გამოწვეულ ზიანს, კასატორი თვლის, რომ იგი გამოწვეულია წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებების შედეგად და შესაბამისად ვაგონების დაყოვნებით წარმოქმნილი ხარჯები ვერ იქნება ტვირთის ტრანსპორტირების საფასურის შემადგენელი ნაწილი. ამასთან, კასატორი მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 თავი ადგენს გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილეთა-ტვირთის გამგზავნი, გადამზიდველი, მიმღები პასუხისმგებლობის საფუძვლებს, მათ შორის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირთა წრეს. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენდა გადაზიდვის ხელშეკრულების უშუალო მონაწილეს (ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები) და შესაბამისად იგი ვერ იქნება პასუხისმგებელი რკინიგზის ვაგონების მოცდენის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

კასატორმა ასევე არ გაიზიარა სასამართლოს განმარტება, რომ თითქოს რკინიგზის ვაგონების მოცდენით გამოწვეული ზიანი და მისი ოდენობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია; აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სადავოდ ხდიდა მოსარჩელის როგორც მოთხოვნას ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე აღნიშნული ზიანის არსებობის ფაქტს. შესაბამისად მისი აზრით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, თუ რამდენად დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით რკინიგზისადმი მიყენებული ზიანის ფაქტი და მისი მოცულობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 ნოემბრის #1234 განკარგულებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჰუმანიტარული დახმარების სახით საქართველოს გამოეყო 1000 ტონა დიზელის საწვავი. ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული 1000 ტონა დიზელის საწვავის მიღების უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს; ხოლო ამავე განკარგულების მე-6 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან უნდა უზრუნველყოფდა შესაბამისი თანხების გამოყოფა აღნიშნული ჰუმანიტარული დახმარების ხარჯების ასანაზღაურებლად. ჰუმანიტარული ტვირთი-1000 ტონა დიზელის საწვავი საქართველოში შემოიტანა შპს "... ", ხოლო მიიღო და გაანაწილა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით კასატორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მარტის განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის შპს "... " სასარგებლოდ ვაგონების მოცდენისათვის 8914,2 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 24 მარტის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვაგონის მოცდენის გამო ზიანის დადგომა და მისი ოდენობა აქამდე დავის საგანს არ წარმოადგენდა და აღნიშნული დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმნით. რო-

გორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა 2005 წლის 23 მაისის საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია რა ივლის-ხმება ვაგონის მოცდენის ხარჯში; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის სხდომაზე აპელანტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავოა ვაგონების მოცდენის საფასურიც, საქმეში წარმოდგენილი დაანგარიშება კი სრულად გაუგებარია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აპელანტის ზემოაღნიშნული განმარტების მიუხედავად ისე დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, რომ არ გამოიკვლია ის კონკრეტული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ერთის მხრივ, ვაგონების მოცდენას და მეორეს მხრივ, ვაგონების მოცდენილი საათების რაოდენობის მიხედვით 8914,2 ლარის ზიანის მიყენების ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო

განჩინება

#ბს-819-783(კ-09)

25 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 19 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 31 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ობიექტების დაცვის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ვალდებული იყო დაეცვა შპს "საქართველოს რკინიგზის" ობიექტები, ხოლო მოპასუხე იღებდა ვალდებულებას ყოველწლიურად აენაზღაურებინა გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შეასრულა, ხოლო მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებების პირობები, კერძოდ, მოპასუხეს არ გადაუხდია შემდეგი

თვეების დაცვის მომსახურების ღირებულება სრულად: 2007 წლის იანვრის - 1675 ლარი, 2007 წლის მარტის - 1707,40 ლარი, 2007 წლის მაისის - 3126,18 ლარი, 2007 წლის ივლისის - 146,54 ლარი, 2007 წლის ოქტომბრის - 1517,18 ლარი, 2007 წლის ივლისის - 146,54 ლარი, 2007 წლის 1 დეკემბრის - 1645 ლარი, 2008 წლის იანვრის - 1547 ლარი, 2008 წლის თებერვლის - 4028 ლარი, 2008 წლის მარტის - 6142,02 ლარი, რის გამოც შპს "საქართველოს რკინიგზას" დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ გააჩნია დავალიანება საერთო ჯამში 21534.21 ლარის ოდენობით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა შპს "საქართველოს რკინიგზას" მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 21534,21 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა - შპს "საქართველოს რკინიგზას" სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების 21534.21 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით". იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ". 2007 წლის 31 მარტს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს შორის წარმოიშვა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, ხელშეკრულების საფუძველზე დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ვალდებული იყო დაეცვა შპს "საქართველოს რკინიგზის" ობიექტები, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებული იყო გადაეხადა შესაბამისი საზღაური. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს, ხოლო იმავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. სახელშეკრულებო მოთხოვნათა კეთილსინდისიერ შესრულებას მხარეებს ავალდებულებდა თვითონ ხელშეკრულებაც.

2007 წლის 31 მარტს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის დადებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.2.1 მუხლი დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ავალდებდა უზრუნველყო დასაცავი ობიექტების დაცვა. ამასთან, 3.2.5. მუხლის მიხედვით დაცვის პოლიცია ვალდებული იყო უპირობოდ აენაზღაურებინა შემსყიდველისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომელიც მას მიადგებოდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ასევე, იმავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1. მუხლის თანახმად მიმწოდებელი ვალდებული იყო უპირობოდ აენაზღაურებინა მისი თანამშრომლების მიზეზით შემსყიდველისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, რომელიც მას მიადგებოდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. ამასთან, 8.2. მუხლის მიხედვით შემსყიდველს უფლება ჰქონდა უპირობოდ გამოეკვეთა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან 8.1. პუნქტში მითითებული მიზეზით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა. ამრიგად, ხელშეკრულების მიხედვით დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ვალდებული იყო დაეცვა შპს "რკინიგზის ობიექტები" ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ხოლო რკინიგზა ვალდებული იყო ამისათვის გადაეხადა მომსახურების თანხა. ასევე, მიმწოდებელი ვალდებული იყო უპირობოდ აენაზღაურებინა მისი თანამშრომლების მიზეზით შემსყიდველისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, ხოლო შემსყიდველს უფლება ჰქონდა უპირობოდ გამოეკვეთა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ დასაცავი ობიექტებში ხშირად ჰქონდა ადგილი ქურდობის ფაქტებს და დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სათანადოდ ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლებას აძლევდა მოსარჩელისათვის მისაცემი მომსახურების თანხიდან გამოეკვეთა მათზე მიყენებული ზიანის ოდენობის თანხა. სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" მიყენებულ ზიანში, კერძოდ, ქურდობის ფაქტში, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების ბრალი და მათზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება არ დასტურდება. ხელშეკრულებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დაცვის პოლიცია მხოლოდ მაშინ იყო ვალდებული შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" ზიანი აენაზღაურებინა, თუ ზიანის მიყენება დაცვის პოლიციის თანამშრომლების ბრალით მოხდებოდა, ანუ თუ ადგილი ექნებოდა მათი მხრიდან დასაცავი ობიექტების არასათანადო დაცვას. სასამართლოს განმარტებით, საყურადღებოა ხელ-

შეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1.7 მუხლი, რომლის მიხედვითაც შემსყიდველი ანუ შპს "საქართველოს რკინიგზა" ვალდებული იყო, დასაცავ ობიექტებზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, სათავსოები და ვაგონები მიმწოდებლის ანუ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლისათვის ჩაებარებინა დაკეტილ და დალუქულ მდგომარეობაში მიღება-ჩაბარების აქტით ან სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ვალდებულებას კისრულობდა დაეცვა მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც მას დაკეტილ და დალუქულ მდგომარეობაში გადაეცემოდა და რაც დადასტურებული იქნებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით ან სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. დაცვის პოლიცია ვერ აიღებდა ვალდებულებას იმ ტერიტორიისა და მასზე განთავსებული ობიექტების დაცვაზე, რომლებიც დაკეტილ და დალუქულ მდგომარეობაში არ გადაეცემოდა. საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მიღება-ჩაბარების აქტი ან ჟურნალი, საიდანაც დადასტურდება, რომ გაქურდული ობიექტები დასაცავად ჩაბარებული ჰქონდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი ცნობები ამა თუ იმ ობიექტის გაქურდვის შესახებ, არ წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ ზიანის მიყენებაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს მიუძღვით რაიმე ბრალი. მითითებული ცნობები ადასტურებენ მხოლოდ ობიექტების გაქურდვის ფაქტს და არა დაცვის პოლიციის თანამშრომლების ბრალულობას. ამასთან, ზიანის მიყენებაში ამა თუ იმ პირის ბრალულობა დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მხოლოდ წინასწარი გამოძიების დაწყება ქურდობის ფაქტზე არ ნიშნავს იმას, რომ ქურდობა გამოწვეული იყო დაცვის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ".

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზასა" და დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2007 წლის 31 მარტს დაიდო #07-131 ხელშეკრულება, რომლის სპეციფიკური პირობების 3. 2. 1 და 3. 2. 2 პუნქტების შესაბამისად, დაცვის პოლიციამ იკისრა ვალდებულება რკინიგზის ობიექტების დაცვის უზრუნველყოფაზე და "პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ნაკისრი მოვალეობების, ანუ რკინიგზის ობიექტების სათანადო დაცვის კეთილსინდისიერად შესრულებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კონტრაქტის მიერ ვალდებულების დარღვევისა და არაჯეროვანი შესრულებისთვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აპელანტის განმარტებით, სწორედ აღნიშნული ნორმის შესაბამისად, დაცვის პოლიციამ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3. 2. 5 პუნქტებით იკისრა ვალდებულება რკინიგზისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის უპირობოდ ანაზღაურებაზე. აღნიშნული ვალდებულება აღიარებულია ასევე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლით, ხოლო 8.2 მუხლის მიხედვით, რკინიგზა, როგორც შემსყიდველი, უფლებამოსილია, უპირობოდ გამოქვითოს დაცვის პოლიციისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა.

აპელანტის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი და დაცვის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ ხელშეკრულების 3. 2. 5, 8.1 და 8.2 მუხლები ამ ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენდნენ, რომელთა გარეშეც ამ ხელშეკრულების დადებაზე შპს "საქართველოს რკინიგზა" არ დათანხმდებოდა.

საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით ასევე არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, ვინაიდან მათ მიერ წარმოდგენილი მასალებით უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომ "საქართველოს რკინიგზას" მოსარჩელე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით და რკინიგზის ობიექტებზე არასათანადო დაცვით, მიადგა 21 535 ლარის მატერიალური ზიანი.

აპელანტის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ წარმოეშვა მიყენებული მატერიალური ზიანის უპირობოდ ანაზღაურების ვალდებულება, ხოლო რკინიგზამ, თავის მხრივ, ისარგებლა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებით და ასანაზღაურებელი თანხიდან დაცვის პოლიციას გამოუქვითა მიყენებული მატერიალური ზიანის თანხა - 21 535 ლარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უც-

ვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ".

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების თაობაზე და თვლის, რომ სასამართლოს მხრიდან დავის გაწყვეტისას ადგილი არა აქვს საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლო მხრიდან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების გამოყენებას და ამავე კოდექსის 327-ე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე თვლის, რომ წარმოშობილი დავა უნდა გადაწყვედეს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

2007 წლის 31 მარტს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს "საქართველოს რკინიგზას" შორის დადებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.2.1 მუხლის შესაბამისად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ევალებოდა უზრუნველყო დასაცავი ობიექტის დაცვა, ამავე ხელშეკრულების 3.2.5 მუხლის თანახმად, დაცვის პოლიცია ვალდებული იყო, უპირობოდ აენაზღაურებინა შემსყიდველისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომელიც მას მიადგებოდა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ასევე ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლის თანახმად, მომწოდებელი ვალდებული იყო, უპირობოდ აენაზღაურებინა მისი თანამშრომლების მიზეზით შემსყიდველისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი, რომელიც მას მიადგებოდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პირობებისა და სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმის მხედველობაში მიღებით საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს დაცვის პოლიციის მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ ამავედროულად, დავის არსებითად სწორი გადაწყვეტისათვის, საჭიროდ თვლის განისაზღვროს, არსებობს თუ არა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1.7 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ვალდებულია, დასაცავ ობიექტზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, სათავსოები და ვაგონები მიმწოდებლის თანამშრომლებს ჩააბაროს დაკეტილ და დალუქულ მდგომარეობაში მიღება ჩაბარების აქტით ან სპეციალურ ყურნალში ხელმოწერით.

ხელშეკრულების მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ევალებოდა იმ ობიექტების დაცვა, რომელიც მას დაკეტილ და დალუქულ მდგომარეობაში გადაეცემოდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

იმის გათვალისწინებით, რომ კასატორის მხრიდან დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ გაქურდული ობიექტები დაცვის პოლიციის თანამშრომლებს არ ჩაბარებიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხრის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია და თვლის, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პასუხსმგებლობის გამომრიცხავი ნორმები კასატორს ართმევს შესაძლებლობას, იმავე ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოახდინოს მომსახურების თანხების გაქვითვა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების მატერიალური თუ პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებების დადგენა

განჩინება

#ბს-824-788(კ-09)

25 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 25 ნოემბერს სსიპ "დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა (მიმწოდებელი) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემსყიდველი) შორის 2008 წლის 27 თებერვალს გაფორმდა #370101/34 ხელშეკრულება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის, მდებარე ... ქ. #6-ში, პოლიციის 19 სამტატო ერთე-

ულით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ; ხელშეკრულების თანახმად, ერთი თვის დაცვის მომსახურება პირველი ლოტისათვის შეადგენდა 9450 ლარს. ხელშეკრულების მე-3 მუხლით "მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება, "შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რაც პირნათლად იქნა შესრულებული. ხელშეკრულების მე-4 მუხლი გულისხმობს რა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად "მიმწოდებლისათვის" ხელშეკრულების ფასის ანაზღაურებას, "მიმწოდებლის" მიერ არასრულად იქნა გადახდილი მაისის თვის დაცვის მომსახურების საფასური. კერძოდ, გადასახდელი დარჩა 1950 ლარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 1950 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ "დაცვის პოლიციის დეპარტამენტის" სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ "დაცვის პოლიციის დეპარტამენტის" სასარგებლოდ დაეკისრა 1950 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დაცვის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ისე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" თანახმად, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ამოცანაა კერძო დაცვით საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, დადებული ხელშეკრულებების, სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონების, კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამდენად, ხელშეკრულების ფარგლებში კერძო თუ სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილება და მისი უშუალო, პირდაპირი ფუნქციაა, ანუ ამ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელე ითხოვს სადაო თანხების ანაზღაურებას, რის გამოც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ხოლო სზაკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ სამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

სასამართლოს მითითებით, მართალია, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობიდან დაიკარგა პორტაბელური კომპიუტერი, რითაც ზიანი მიადგა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ხსენებულ

ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხის მითითება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის არაჯეროვნად შესრულების გამო ზიანის თანხის გაქვითვის შესახებ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ იმისათვის, რათა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, აუცილებელია დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოსარჩელის მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს, ანუ არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მოსარჩელის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ ზიანს შორის. სასამართლოს განმარტებით, პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ეს პირდაპირ (უმშუალოდ) დაკავშირებულია ზიანთან. შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების (უმოქმედობის) უშუალო შედეგს. საქმის მასალებით ამჟამად მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (უმოქმედობას) და ზიანს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი და ის გარემოება, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს მიუძღვის ბრალი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის არსებული ზიანის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, დაეცვა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობა და მიმდებარე ტერიტორია, შესაბამისად, აიღო ვალდებულება, დაეცვა სამინისტროს ქონება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მსჯელობა, რომ მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. საქმის მასალების თანახმად თავად მოსარჩელე არ უარყოფს კომპიუტერის დაკარგვის ფაქტს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, რაც მის ბრალულ ქმედებაზე მიუთითებს. აღნიშნული გარემოება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ათავისუფლებს, დაამტკიცოს მოპასუხის აღიარების საწინააღმდეგო. ამასთან, მოსარჩელეს არ წარუდგენია და არც სასამართლოს მოუპოვებია მტკიცებულებები და გარემოებანი, რომლებიც მოსარჩელეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებდა. სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის არასწორად იქნა გადანაწილებული, რამაც გამოწვია არასწორი გადაწყვეტილების მიღება. სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება, გამოძიების დამთავრების შემდეგ დადასტურდება თუ არა მიზეზობრივი კავშირის არსებობა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (უმოქმედებას) და ზიანს შორის, რადგან მოსარჩელე მხარე აღიარებს ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების ფაქტს. მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა გარემოებები, რომლებზედაც თავის მოთხოვნებს ამყარებს, კერძოდ, მის მიერ ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების ფაქტი, მაგრამ საქმეში არ არის ამ მოთხოვნის დამამტკიცებელი არცერთი გარემოება. აპელანტის განმარტებით, სასამართლო უგულვებელყოფს იმ გარემოებას, რომ გამოძიების წარმატებით დამთავრებაც არ გაათავისუფლებს მოსარჩელეს პასუხისმგებლობისაგან, რაც მან სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე აიღო, რადგან სისხლისამართლებრივი დევნის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ექვიმტანილს დაკავება და არა იმის დამტკიცება, მოსარჩელემ დაარღვია თუ არა მოპასუხის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; სასამართლომ უგულვებელყო ხელშეკრულების საერთო პირობების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტი, რამაც გამოწვია მოსარჩელის მიერ მხარეებს შორის სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულების ნორმის დარღვევა და მოსარჩელის პასუხისმგებლობა ამ დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სადავოდ ხდის დაცვის პოლიციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯერონად შესრულების ფაქტს და მის დელიქტურ პასუხისმგებლობას. წარმოდგენილი სამართლებრივი ურთიერთობა თავისი სამართლებრივი ბუნებით, შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულ დავალების ხელშეკრულებას. ამდენად, სასამართლოს მიერ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამ გარიგების ტიპისათვის დამახასიათებელი და არა დელიქტური ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რის გამოც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორც ასეთი, წარმოდგენილ შემთხვევაში, განსახილველი საკითხი არ არის. ხელშეკრულების პირობების არაჯერონად შესრულება არ ნიშნავს იმავდროულად მოქმედების ან უმოქმედობის მართლწინააღმდეგობას. მართლწინააღმდეგობა სამართლებრივ ურთიერთობაში აღნიშნვს მოქმედი პოზიტიური სამართლის ნორმების საწინააღმდეგო ქმედებას. იგი დამახასიათებელია მხოლოდ დელიქტური, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებისათვის (ან უმოქმედობისათვის), რომლის განხორციელების შედეგად მოხდა კანონით დაცული სიკეთის ხელყოფა. სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფასდება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არასწორია და ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის დოგმატიკას, რადგან მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელა მხოლოდ იმ პირმა, რომელიც დაეუფლა კომპიუტერს მითვისების მიზნით და არა დაცვის პოლიციამ, რომელმაც თავისი უმოქმედობით ვერ უზრუნველყო სამინისტროს ქონების დაცვა, კასატორის მოსაზრებით, სასამართლო გადაწყვეტილებაში მოცემულია არა მხოლოდ სუბსუმციის ხარვეზი, არამედ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია და შესაბამისად, მისი არასწორი გამოყენება.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ასევე არასწორი შეფასება მისცა და უგულებელყო მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 2008 წლის 27 თებერვლის #370101/34 ხელშეკრულების პრეამბულის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად ითვლებიან: ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება; გ) გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი; დ) ტექნიკური დავალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის პოლიციის მიერ წარმოდგენილ იქნა "გასაწევი მომსახურების პირობების სრული აღწერა", სადაც მითითებულია, რომ "დაცვის პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს აღნიშნული ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და უსაფრთხოებას". აღნიშნული კი, პრეამბულის თანახმად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ არ მოიცავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თავად მოსარჩელის მიერ აღებულ ვალდებულებას, კერძოდ, პორტაბელურ კომპიუტერს. კომპიუტერი არის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი და მხარეებს შორის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული კომპიუტერების დაცვა ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების თაობაზე და თვლის, რომ სასამართლოს მხრიდან დაცვის გაწყვეტისას ადგილი არა აქვს საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების გამოყენებას და ამავე კოდექსის 327-ე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე თვლის, რომ წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით.

2008 წლის 27 თებერვალს ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მეორეს მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #370101/34 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი სამინისტროს ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობის, სოფ. წეროვანის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საგამოცდო სადგურისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვის მომსახურების შესყიდვაზე 2 ლოტად. ამავე ხელშეკრულებით მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაეწია შემსყიდველისათვის ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო შემსყიდველმა აიღო ვალდებულება აენაზღაურებინა ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გასაწევი მომსახურების ვადად განისაზღვრა პერიოდი 2008 წლის 1 მარტიდან 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების საერთო პირობების მე-8 მუხლის თანახმად, მიმწოდებელი იძლეოდა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას. ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრებოდა ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით. მიმწოდებელი ვალდებული იყო, შეტყობინების მიღებისთანავე განეხორციელებინა უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

ხელშეკრულების საერთო პირობების 7.1 მუხლის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩათვლებოდა მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობდა.

იმ გარემოებას, რომ დაცვის პოლიცია მატერიალურ პასუხისმგებლობას კისრულობდა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემულ ობიექტებზე, ასევე ადასტურებს საქმეში ს.ფ. 27-ზე წარმოდგენილი აქტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პირობებისა და სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმის მხედველობაში მიღებით საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს დაცვის პოლიციის მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ ამავედროულად, დაცვის არსებითად სწორი გადაწყვეტისათვის, საჭიროდ თვლის განისაზღვროს, არსებობს თუ არა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები.

როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების საერთო პირობების 7.1 მუხლის შესაბამისად, ობიექტი მიღებულად ითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

ხელშეკრულების მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ევალებოდა იმ ობიექტების დაცვა, რომელიც მას გადაეცემოდა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

იმის გათვალისწინებით, რომ კასატორის მხრიდან, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში, წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ გაქურდული ობიექტები დაცვის პოლიციის თანამშრომლებს არ ჩაბარებიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხრის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმა საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია და თვლის, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ნორმები კასატორს ართმევს შესაძლებლობას, იმავე ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოახდინოს მომსახურების თანხების გაქვითვა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზე არ არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების მატერიალური თუ პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. უსაფუძვლო გამდიდრება

განჩინება

ა.ს

№ბს-1436-1394(კ-08)

24 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: აქციების ღირებულებაში გადახდილი თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

14.11.05წ. ნ. ბ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა-გან 8459 ცალი აქციის ღირებულების დაბრუნება და საიჯარო საწარმო "... " სამართალმემკვიდრე სს "... " მიერ გაუცემელი დავალიანების ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 42 წელი მუშაობდა თბილისის საკონდიტრო საწარმო გაერთიანება "... ", თავდაპირველად რიგითი ინჟინერის, ხოლო შემდგომ გაერთიანების ... თანამდებობაზე. აღნიშნული ორგანიზაცია 1996 წლიდან გარდაიქმნა სს "... " და გასხვისდა საწარმოს საკონტროლო პაკეტი საწარმოს თანამშრომლებზე. ნ. ბ-მემ შეიძინა 8459 ცალი 12 350 აშშ დოლარის ღირებულების აქცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.01წ. გადაწყვეტილებით დადასტურებული იქნა საიჯარო საწარმოს კოლექტივის მიერ ს/გ "... " გამოსყიდვის ფაქტი და დადგენილი იქნა საიჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის იმ წევრთა საკუთრების უფლება, რომლებიც 07.07.93წ. მდგომარეობით ითვლებოდნენ საიჯარო კოლექტივის წევრებად. აღნიშნული დროისათვის იგი იყო "... " თანამშრომელი. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა საწარმოგაერთიანება "... " ბაზაზე შექმნილი სს "... " და ბათილად იქნა ცნობილი პრივატიზების ხელშეკრულება, რის გამოც მხარეები ვალდებულნი იყვნენ აღედგინათ პირვანდელი მდგომარეობა და დაებრუნებინათ აქციათა ღირებულება. 25.02.04წ. თანხის დაბრუნების თხოვნით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რაზეც სამინისტრომ განუმარტა, რომ უნდა მიემართა სასამართლოსათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.12.05წ. განჩინებით ნ. ბ-მის სარჩელი განსჯადობით გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

04.08.06წ. ნ. ბ-მემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს და აქციების ღირებულების - 12 350 აშშ დოლარის და მიყენებული ზიანის - 5000 აშშ დოლარის, სულ - 17 350 აშშ დოლარის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.02.07წ. განჩინებით ნ. ბ-მის სასარჩელო მოთხოვნა საწარმოთა მართვის სააგენტოსა და საიჯარო საწარმო "... " მიმართ სსკ-ის 83¹ მუხლის საფუძველზე დარჩა განუხილველი. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო განცხადება

განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.04.07წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.05.07წ. განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სს "...", ხოლო 12.06.07წ. საოქმო განჩინებით, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.11.07წ. განჩინებით ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გამო შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.11.07წ. გადაწყვეტილებით ნ. ბ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნ. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 12 350 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.08წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.11.07წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 22.07.94წ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს კოლეგიის #09.21.118 გადაწყვეტილებით "... ბაზაზე დაფუძნდა სს "... 01.04.93წ. მდგომარეობით საწარმოს მუშაკთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ, მათ შორის ნ. ბ-მემ, 30.03.95წ. განცხადებით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და სს "... აქციათა სერთო რაოდენობის 50.92%-ის ანუ სულ 14 8000 ცალი აქციის შემცველი აქციათა საკონტროლო პაკეტის, რომლის სრული ღირებულება შეღავათების გაუთვალისწინებლად შეადგენდა 216374.2 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. სს "... 30.03.95წ. #2 ოქმით აღნიშნული აქციების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტის მყიდველთა ჯგუფის სახელით გაფორმების უფლებამოსილება მიენიჭა სს "... გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 24.04.95წ. #19.08.230 დადგენილებით სს "... მიეცა 148 000 ცალი აქციის პირდაპირი შესყიდვის უფლება. რესპუბლიკური საბარათო და განცხადებების გადამამუშავებელი სააუქციონო ცენტრის 14.02.96წ. #7 საბარათო აუქციონის ჩატარების შედეგში სს "... აქციების მიმღებ პირთა სიაში შეყვანილი იყო ნ. ბ-მეც. სს "... აქციათა მყიდველების ჯგუფის მიერ გადახდილი იქნა 31 808 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა, რაც შეესაბამებოდა 21 756 ცალი აქციის საფასურს და სს "... დაევალა სერთიფიკატების გაცემა. სს "... მიერ #1135, #0806 და #0014 სერთიფიკატები გაცემული იქნა ნ. ბ-მის სახელზე, რომელთა თანახმადაც, ნ. ბ-მეს საკუთრებაში ჰქონდა 8459 ცალი აქცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.01წ. გადაწყვეტილებით დადასტურდა სს "... გამოსყიდვის ფაქტი, ამასთან დადგინდა საიჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის იმ წევრთა საკუთრების უფლება, რომლებიც ითვლებოდნენ საიჯარო კოლექტივის წევრებად, მათ შორის იყო ნ. ბ-მეც. იმავე გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 22.07.94წ. გადაწყვეტილება სს "... დაფუძნების შესახებ მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მართებულად დაეკისრა სადავო თანხის უკან დაბრუნება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო სამართალურთიერთობა უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო კოდექსის ნორმათა, კერძოდ, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების საფუძველზე და მასზე უნდა გავრცელებულიყო 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორის განმარტებით არ დასტურდება, რომ ნ. ბ-მე წარმოადგენდა სს "... აქციათა პაკეტის 50.93%-ის, 148 000 ცალი აქციის პირდაპირი მიყიდვის ფორმით შემქმნ პირთა ჯგუფის წევრს. იგი ასევე არ იყო მითითებული სს "... აქციათა პაკეტის ყიდვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის 31.03.95წ. წარდგენილ განცხადებაში. კასატორის აზრით არასწორია სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. ბ-მე წარმოადგენს

სს "... აქციონერს და მას გადახდილი აქვს 8459 ცალი აქციის ღირებულება 12 350 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა. სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული ნ. ბ-მის მიერ წარდგენილი სერტიფიკატებით წარმოშობილი უფლებების ნამდვილობა. კასატორი თვლის, რომ სკ-ის 61-ე, 976-ე მუხლების გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ნ. ბ-მის მიერ სახელმწიფოსათვის (ვი-თომ კრედიტორისათვის) 8459 ცალი აქციის ღირებულების - 12 350 აშშ დოლარის გადახდის დადგენის შემთხვევაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს კოლეგიის 22.07.1994წ. #09.21.118 გადაწყვეტილებით ს/გ "... ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება "...". "პრივატიზების პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის 29.05.1994წ. #178 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების) გარდაქმნის გზით შექმნილი სააქციო საზოგადოების პრივატიზაციის პროცესში საწარმოთა მუშაკების უფლებათა გაფართოების, აქციათა პაკეტის პირდაპირი მიყიდვის შესახებ" დებულების შესაბამისად სააქციო საზოგადოება "... აქციათა პაკეტის ყიდვის მსურველებმა, მათ შორის ნ. ბ-მემ, განცხადებით მიმართეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მოითხოვეს სს "... აქციათა საერთო რაოდენობის 50.92%-ის შესყიდვა პირდაპირი მიყიდვის წესით. სააქციო საზოგადოება "... (საწარმოო გაერთიანება "...") მუშაკთა საერთო კრების 27.03.95წ. ოქმის მიხედვით ნ. ბ-მემ ფიზიკურ პირთა ჯგუფში შედიოდა, რომლებმაც გამოთქვეს აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვის სურვილი, ამასთანავე ოქმის თანახმად სამინისტროს ეთხოვა აქციათა პირდაპირი მიყიდვა დადგენილ წესით მოეხდინა კრების მიერ უფლებამოსილ პირებზე. 30.03.1995წ. სს "... (საწარმოო გაერთიანება "...") მუშაკთა საერთო კრების #2 ოქმით აღნიშნული აქციების შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტის მიყიდველთა ჯგუფის სახელით გაფორმების უფლებამოსილება მიენიჭა სს "... გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ჯ. კ-შვილს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 24.04.1995წ. #19.08.230 დადგენილებით სს "... მიეცა 148 000 ცალი აქცისაგან შემდგარი აქციათა პაკეტის (საწესდებო კაპიტალის 50.93%) პირდაპირი შესყიდვის უფლება. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 24.04.1995წ. #19-08.230 დადგენილებით განსაზღვრული სს "... აქციათა მიყიდველთა ჯგუფის მიერ გადახდილ იქნა 31.808. აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა, რაც შეესაბამებოდა 21756 ცალი აქციის საფასურს და შესაბამისად, სს "... დაევალა სიაში მითითებულ პირებზე 12918 ცალი აქციის მფლობელობაზე სერტიფიკატების გაცემა. სს "... სერტიფიკატების გაცემა დაევალა აგრეთვე სახელმწიფო ქონები მართვის მინისტრის მოადგილის 27.03.95წ. და 14.02.96წ. წერილებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.01.წ. გადაწყვეტილებით დადასტურდა საჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის მიერ ს/გ "... ქონების გამოსყიდვის ფაქტი, დადგინდა საიჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის იმ წევრთა საკუთრები უფლება, ს/გ "... ქონებაზე, რომლებიც 1993წ. 7 ივლისის მდგომარეობით ითვლებოდნენ საჯარო კოლექტივის წევრებად. ამავე გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 22.07.94წ. გადაწყვეტილება სს "... დაფუძნების შესახებ, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილის 11.05.04წ. წერილით, იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოს არ უმსჯელია აქციათა შემქმნი პირებისათვის აქციათა ღირებულების ანაზღაურებაზე, ნ. ბ-მეს განემარტა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას და თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ მართებულად დაეკისრა ნ. ბ-მის მიერ გადახდილი აქციების ღირებულების გადახდა. საქმის მასალებით, კერძოდ "... ვიცე-პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი 31.10.1995წ. #1440 აქტით, რომელიც შედგენილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 20.05.1995წ. დადგენილებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დასტურდება, რომ ნ. ბ-მემ "პრივატიზების პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის 23.05.1994წ. #178 ბრძანებულების შესაბამისად პირდაპირი მიყიდვის წესით ქონების საფასურის ნაწილის დაფარვის მიზნით წარმოადგინა საპრივატიზებო ბარათები და შესაბამისად დაფარულ იქნა 12 000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა. საქმეში და-

ცული სს "...“ მიერ გაცემული #1135, #0806 და #0014 სერტიფიკატებით დასტურდება, რომ ნ. ბ-მეს საკუთრებაში ჰქონდა 8459 ცალი აქცია, მათ შორის 8425 ჩვეულებრივი სახელობითი აქცია, 11 შეღავათიანი, 20% ფასდაკლებით შეძენილი აქცია, 23 შეღავათიანი, უფასოდ მიღებული აქცია. წარმოდგენილი სერტიფიკატები სს "...“ სერტიფიკატის ნიმუშის შესაბამისია, სერტიფიკატების ნამდვილობას მოპასუხე სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას სადავოდ არ ხედა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უნდა ანაზღაურდეს სს "...“ აქციათა ღირებულების ის ნაწილი, რომლის შექენისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილ იქნა აქციის ღირებულება (ჩვეულებრივი და შეღავათიანი (20% ფასდაკლებით) შეძენილი აქციები), არ არსებობს უფასოდ მიღებული აქციების (23) ანაზღაურების საფუძველი, ვინაიდან კონდიციურ ვალდებულებაში მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება უსაფუძვლოდ შეძენილი ოდენობის ფარგლებში. ამასთანავე, კასატორი არ იყენებს 20% ფასდაკლებით შეძენილი აქციების ღირებულების ანაზღაურების ოდენობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში მოყვანილი გარემოებები, კერძოდ ის, რომ 30.03.95წ. საერთო კრებით განსაზღვრულ პირთა შორის, რომლებსაც მიეცათ საკონტროლო პაკეტის შესყიდვის უფლება, არ იყო მითითებული ნ. ბ-მე, სერტიფიკატის ნომერი (#1135) მინისტრის მოადგილის წერილის მიხედვით უნდა განეკუთვნებოდა შეღავათიან და არა ჩვეულებრივ სერტიფიკატთა რიცხვს, არ უარყოფენ აქციათა ღირებულების დასაფარავად თავის დროზე გადახდილი ექვივალენტური თანხის დაბრუნებაზე უარის თქმის საფუძველს. მოსარჩელის სახელზე გაცემული ჩვეულებრივი სახელობითი აქციების სერტიფიკატი არ არის გაუქმებული, გაყალბებულად ცნობილი. საკასაციო სასამართლო ეთანხმება პირველი და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას და თვლის, რომ სსკ-ის 24-ე, 33¹ მუხლების, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ მართებულად დაეკისრა ნ. ბ-მის მიერ გადახდილი მის მიერ შეძენილი აქციების ღირებულების გადახდა, ვინაიდან ბათილი გარიგების შესრულების შედეგად სამინისტრომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიძინა ნ. ბ-მისაგან თანხა, ადგილი აქვს უსაფუძვლო გამდიდრებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.01წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 22.07.1994წ. გადაწყვეტილება სს "...“ დაფუძნების შესახებ, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. ამდენად გაუქმდა ის კონკრეტული მიზეზი, რომლის გამოც ნ. ბ-მემ გადაიხდა აქციათა ღირებულების თანხა. საწარმოო გაერთიანება "...“ ბაზაზე შექმნილი სს "...“ გაუქმება, საწარმოს პრივატიზაციის ბათილად ცნობა იწვევს ორმხრივ რესტიტუციას (სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი), სკ-ის 61-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულება ბათილია მისი დადების მომენტიდან და მხარეები ვალდებული არიან დააბრუნონ ყველაფერი, რაც მიიღეს ბათილი გარიგების შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობდა ნ. ბ-მის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მართებულად დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ გადახდილი აქციის ღირებულების თანხა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზე არ არის დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), შესაბამისად სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.07.08წ. განჩინება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.